# სამყაროს შემეცნება

# 9

სახელმძღვანელო



ნუშაბა მამედოვა
ქონულ მაჰმუდოვა
სევილ ბაჰრამოვა

# სამყაროს შემეცნება 9

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების
მე–9 კლასისათვის "სამყაროს შემეცნების" საგნის
**სახელმძღვანელო**

**დამტკიცებულია აზერბაიჯანის რესპუბლიკის განათლების სამინისტროს 03.06.2016 წლის ნომერ 369–ე ბრძანებით.**

**© აზერბაიჯანის რესპუბლიკის განათლების სამინისტრო – 2017**

საავტორო უფლებები დაცულია. სპეციალური ნებართვის გარეშე ამ გამოცემის ან მისი რომელიმე ნაწილის ხელახალი გამოცემა, ასლის გადაღება, ელექტრონული საინფორმაციო საშუალებებით გავრცელება კანონით აკრძალულია.

**გამომცემლობა "Şərq-Qərb"**
გთხოვთ სახელმძღვანელოსთან დაკავშირებული თქვენი გამოხმაურება, შენიშვნები და წინადადებები გამოაგზავნოთ info@eastwest.az და derslik@edu.gov.az ელექტრონულ მისამართებზე.
წინასწარ მადლობას მოგახსენებთ ჩვენთან თანამშრომლობისათვის!

 

# Azərbaycan Respublikasının Dövlət Himni

*Musiqisi Üzeyir Hacıbəylinin,*
*sözləri Əhməd Cavadındır.*

Azərbaycan! Azərbaycan!
Ey qəhrəman övladın şanlı Vətəni!
Səndən ötrü can verməyə cümlə hazırız!
Səndən ötrü qan tökməyə cümlə qadiriz!
Üçrəngli bayrağınla məsud yaşa!
Minlərlə can qurban oldu!
Sinən hərbə meydan oldu!
Hüququndan keçən əsgər,
Hərə bir qəhrəman oldu!

Sən olasan gülüstan,
Sənə hər an can qurban!
Sənə min bir məhəbbət
Sinəmdə tutmuş məkan!

Namusunu hifz etməyə,
Bayrağını yüksəltməyə
Cümlə gənclər müştaqdır!
Şanlı Vətən! Şanlı Vətən!
Azərbaycan! Azərbaycan!



**ჰეიდარ ალიევი**

**აზერბაიჯანელი ხალხის საერთო ეროვნული ლიდერი**

# სარჩევი


I. სასწავლო ერთეული. ჩვენი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისთვის...6

1. ქუჩაში ქცევის კულტურა...7
2. ჩვენი უსაფრთხოების მიმართ უყურადღებოდ არ დარჩეთ...14
3. ჯანმრთელი ოჯახი ჯანმრთელი მომავლის საწინდარია...18
4. საგანგებო შემთხვევებისას წარმოქმნილი შედეგების აღმოფხვრა...22

პროექტი ...23

5. თანამედროვე ეპოქის გლობალურ-ეკოლოგიური პრობლემები...24

პროექტი: გლობალური ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტა...28

II. სასწავლო ერთეული. საზოგადოება და მისი კეთილდღეობა...29

1. ადამიანი სოციალურ პროცესებში...30
2. სამოქალაქო საზოგადოება...38
3. სამოქალაქო საზოგადოებაში დემოკრატიული პრინციპები...43
4. ადამიანის უფლებები...50
5. ჩვენი უფლებები დაცულია საერთაშორისო დონეზე...66
6. ეკონომიური სარგებლობა...74

III. სასწავლო ერთეული. კულტურა და ტოლერანტობა...81

1. ტოლერანტობა...82
2. კულტურებთა შორის ტოლერანტობა...90
3. რელიგიური ტოლერანტობა...98
4. სხვადასხვა რელიგიების მიმართ ტოლერანტობა...106
5. ქცევის და ზნეობის ნორმების ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა...114
6. კაცობრიობის წინაშე მორალური ვალდებულება...122
7. მსოფლიოს შეცნობა...129

დამატებები...134

# ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲔᲠᲗᲔᲣᲚᲘ

## ᲩᲕᲔᲜᲘ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

* გზაში ქცევის კულტურა
* ჩვენი უსაფრთხოების მიმართ უყურადღებოდ არ დარჩეთ
* ჯანმრთელი ოჯახი ჯანმრთელი მომავლის საწინდარია
* საგანგებო შემთხვევებით გამოწვეული მძიმე შედეგების აღმოფხვრა
* პროექტი
* თანამედროვე დროის გლობალურ-ეკოლოგიური პრობლემები
* პროექტი: გლობალური ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტა

# 1. გზაში მოქცევის კულტურა

თქვენ იცით, რომ ავტომობილის მართვის დროს უსაფრთხოების ღვედის გაკეთება არის აუცილებელი. მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად მოწმეები ვხდებით, რომ ჩვენი მშობლები ანდა ახლო ნათესავები ამ წესს არ იცავენ. სკოლაში გვასწავლიან, რომ აუცილებელია ქვეითმა მოსიარულემ ქუჩა გადაკვეთოს მონიშნულ გადასასვლელზე. მაგრამ ეს გადასასვლელი ცოტა შორს თუ არის, ზოგიერთები გზის სიახლოვეს ქუჩაში თვითნებურად გადასვლას უპირატესობას ნიჭებენ. ეს კი უბედური შემთხვევების მიზეზი ხდება. ასეთ შემთხვევებში, ალბათ წამოიჭრება შეკითხვა: “მართებულია ის, რაც გავაკეთეთ, და სწორად ვაფასებთ თუ არა ჩვენს საქციელს“.

როგორ შეიძლება აღმოიფხვრას ყველა ამგვარი შემთხვევა? რა არის საგზაო კულტურა? სახელმწიფო ამ მიმართულებით რა ღონისძიებებს ატარებს?

ადამიანის ქცევა, ლაპარაკი, მისი კულტურის ერთ-ერთი მაჩვენებელია. ქცევის წესების დაცვა, ამავე დროს, გარშემომყოფთა მიმართ პატივიცემის გამოხატულებაცაა. ამ თვალსაზრისით მძღოლისა და ქვეითად მოსიარულეებისთვის აუცილებელია რამდენიმე წესის ცოდნა და მათი დაცვა. ყურადღებიანობა და პასუხისმგებლობა ადამიანის კულტურაზე მეტყველებს.



„საგზაო მოძრაობის თაობაზე“ აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონის მე-18 მუხლის პირველ და მეხუთე პუნქტებში წერია:

მუხლი 18. საგზაო უსაფრთხოების ქცევის წესების მოქალაქეებისთვის სწავლა.

I. გზებში უსაფრთხოების ქცევის წესები, აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონმდებლობით თანახმად ისწავლება სკოლამდელ, ზოგადსაგანმათლებლო და განსაკუთრებით სასწავლო დაწესებულებებში, ასევე სხვა დაწესებულებებში.

V. საგზაო უსაფრთხოების ქცევის წესები მოქალაქეებს შეუძლიათ ისწავლონ მასმედიის საშუალებებითაც.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველო იმ ავარიების რიცხოვნების შესამცირებლად, რომელიც ადამიანთა მსხვერპლით მთავრდება, „საგზაო მოძრაობის წესების თაობაზე“ აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონის მეთვრამეტე მუხლის ხელმძღვანელობით შესაბამის ღონისძიებებს ახორციელებს, სარეკლამო ვიდეოკლიპების დემონ-სტრირებას ახდენს. ეს ღონისძიებები სრულად ვერ აღკვეთენ გზებზე სახიფათო მოვლენებს, ავარიები მაინც ხდება. ამგვარი ავარიები რომ არ მოხდეს.

მძღოლს უნდა ჰქონდეს სამძღოლო კულტურა, ფეხით მოსიარულეს კი ქუჩებსა და გზებზე გადასვლის კულტურა.



საგზაო მოძრაობის წესის დარღვევა, საჭის მთვრალ მდგომარეობაში მართვა, ღვედის არგ-ამოყენება, მოცემული ნორმაზე მეტი სიჩქარით ავტომობილის მართვა, რკინიგზის ხაზზე ან სხვა შეუსაბამო ადგილზე გზის გადაკვეთა — როგორი შედეგები შეიძლება გამოიწვიოს ამან? ამის თაობაზე ამხანაგებთან ერთად იმსჯელეთ და შედეგები წარმოადგინეთ.

თქვენი აზრით ამ ღონისძიებებში რომელი კულ-ტურული ქცევის წესები შეიძლება გახდეს მსჯელობის ობიექტი? თქვენ რომელ საკითხს თვლით მოსწავლეების ყურადღების გასამახვილებლად?

სამძღოლო კულტურა გზებზე უსაფრთხოდ მოძრაობისათვის ძალზე საჭიროა. კულტურული მძღოლი მოძრაობის სხვა მონაწ-ილეებს ეხმარება, თავად იცავს საგზაო მოძრაობის წესებს, საკუთარი მოვალეობა იცის და განახორციელებს.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მითითების საფუძველზე, ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით, რესპუბლიკაში "ყურადღება, ბავშვებო!" სახელ-წოდებით ტარდება „მოძრაობის უსაფრთხოების“ თვიური. ღონისძიების გატარების ძირითად მიზანია ბავშვების და მოზარდების მონაწილეობით საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების ამოფხვრის მიმართულებით პროფილაქტიკური ღონისძიებების გაძლიერება; ზოგადსაგამანათლებლო სკოლებში მოსწავლეებს უსაფრთხოების ქცევის ჩვევათა ფორმირირება; სასწავლო პროცესის ეფექტიანობის აღზრდისათვის სახელმწიფო საგზაო პოლიციის დახმარების გაზრდა.

არ უნდა დაგავიწყდეთ, რომ გზებზე არსებული ნიშნები, შუქნიშნები, სხვადასხვა მოწყობილობები, მძღოლისა და ფეხით მოსიარულეების, ერთი სიტყვით, მოძრაობის ყველა მონაწილეე-ბისთვის კანონის დაცვას, ადამიანის უსაფრთხოებას ემსახურება. ყველანი ვალდებული არიან ეს წესები შეასრულონ.

მაგრამ ხშირ შემთხვევებში, ფეხით მოსიარულეები, სანამ გადასასვლელზე გადავლენ, მდგომარეობას სათანადოდ არ აფასებენ. ფეხით მოსიარულემ უნდა გაითვალისწინოს, რომ მანქანა დიდი სიჩქარით შეიძლება მოძრაობდეს, ანდა მძღოლის უყურადღებობის გამო გზაში მომხდარ წამიერ ცვლილებებს მზად ვერ დახვდეს. ამიტომ, ფეხით მოსიარულეები გადასასვლელზე გადასვლის წინ უნდა დარწმუნდეთ, რომ მძღოლი გზას გითმობთ.





შემოდგომაზე დღე მოკლდება, მალე ღამდება. სიბნელის დროს, შავი და ან მუქი ტანსაცმელებით სიარული სასურველი არ არის, იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში მძღოლები შორი მანძილიდან ფეხით მოსიარულეების დანახვაზე სირთულეებს აწყდებიან. კარგი იქნება, თუ მძღოლის მიერ შორი მანძილიდან თქვენი დანახვისთვის შუქის ამრეკლავ აქსესუარებს გამოიყენებთ. ზოგ სახელმწიფოებში ღამე შუქის ამრეკლავი აქსესუარების გამოყენება სავალდებულოა.

ავტობუსებში ასვლის და ჩასვლის ჩვევების ცოდნაც მეტისმეტად საჭიროა. ზოგჯერ ბავშვები, ასევე უფროსებიც, ვიდრე მძღოლი ავტობუსის გაჩერებაზე საჭირო ადგილზე გაჩერდება, სასწრაფოდ ჩახტომა-ამოხტომას ცდილობენ, ანდა, ზოგჯერ ტრანსპორტში ხმამაღლა საუბრობენ, რაც მძღოლს ყურადღებას უფანტავს.

არ დაგავიწყდეთ, რომ ქუჩებზე ფეხით მოსიარულეთათვის სპეციალური გადასავლელი არსებობს და აუცილებლად ამ გადასასვლელით უნდა ისარგებლოთ.

გზებზე ბევრნი მოძრაობენ თვითნებურად, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევით. მათ კი საგზაო მოძრაობის წესების მოთხოვნილების შესაბამისად უნდა იმოქმედონ. ისწავლეთ თავისუფლად სწორი გადაწყვეტილების მიღება.

მოცემული მოვლენები ამხანაგებთან ერთად გაანალიზეთ და არასამართლებრივი მხარეები დაადგინეთ. შედეგები "საგზაო მოძრაობის თაობაზე" აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონის 36-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად გააანალიზეთ.

**მოვლენა 1.** წვიმა მოდიოდა. აიგუნს ხელში ქოლგა ეჭირა, ავტობუსის გაჩერებაზე ტროტუარის ნაპირზე იდგა. მისი ძმა აიდინი კი მის უკან იდგა. შორიდან, დიდი სისწრაფით, მისაბმელიანი სატრანსპორტო საშუალება ახლოვდებოდა. აიგუნმა ძმას რამდენჯერმე დაუძახა რათა მასთან მისულიყო. მიუხედავად ამისა, აიდინმა ყურადღება არ მიაქცია და ადგილიდან არ განძრეულა. ამ მოვლენის კრიტიკული შეფასებით დაადგინეთ ვინ დაუშვა შეცდომა, დაადგინეთ, რომელი საგზაო მოძრაობის წესით უნდა ემოქმედათ.

**მოვლენა 2.** რუსტამი საღამოთი სამსახურიდან სახლში ბრუნდებოდა. დაძაბული სამუშაო დღის შემდეგ აშკარად დაღლილი იყო. მისი საცხოვრებელი სახლი ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე მდებარეობდა. გარშემო სხვადასხვა საგზაო მოძრაობის ნიშნები იყო განთავსებული, ამასთანავე, ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელიც იყო. ძალიან დაღლილი და მოთენთილი რუსტამი გზის მოპირდაპირე მხარეზე გადავიდა და სახლში მივიდა. რაში იყო რუსტამის შეცდომა? გაარკვიეთ, საგზაო მოძრაობის რომელი წესები უნდა დაეცვა მას.

**მოვლენა 3.** სოლმაზ მასწავლებელს მეექვსე კლასის მოსწავლეები ექსკურსიაზე მიჰყავდა, ერთმანეთს ხელი-ხელ ჩაკიდებული ხუთი გოგონა გზაზე გადავიდა. გზაზე გადასვლისას ადილთან საუბრით გართულს ნათიკს ქუდი გაუვარდა და მის აღებას ეცადა. მასწავლებელმა მას მიმართა: „არ გაჩერდე! გააგრძელე გზა!". ამ სიტყვების შემდეგ მან გზა სასწრაფოდ გადაკვეთა. ამ მოვლენისადმი კრიტიკულად მიდგომით დაადგინეთ ვინ დაუშვა შეცდომა, საგზაო მოძრაობის რომელი წესი დაირღვა.

**მოვლენა 4.** ლამანი თავის ძმასთან ერთად გზის ნაპირზე იდგა. შუქნიშნის მწვანე შუქის ანთებას ელოდებოდნენ, რაც ფეხით მოსიარულეებს გადასვლის ნებას აძლევდა. ამ დროს ერთი ავტომანქანა გაჩერდა და მძღოლმა მათ ხელით აჩვენა, რომ გზის გადასვლა შეიძლება. ლამანი სასწრაფოდ გზაზე გადავიდა, მისი ძმა თუნარი კი ადგილზე დარჩა და არ გადავიდა. თქვენი აზრით, რომელი მათგანი მოიქცა სწორად? ვინ დაუშვა შეცდომა და რა იყო შეცდომის არსი?

# აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონი „საგზაო მოძრაობის წესების შესახებ“

მუხლი 36. საგზაო მოძრაობის მონაწილეობების ძირითადი მოვალეობები და უფლებები.

I. საგზაო მოძრაობის მონაწილეებმა:

1) უნდა დაიცვან საგზაო მოძრაობის წესები, ევალებათ ამ კანონის მოთხოვნათა ცოდნა და შესრულება, რაც უზრუნველყოფს მათ უსაფრთხოებას;

2) ვალდებული არიან დაემორჩილონ საგზაო მოძრაობის რეგულირებაში გამოყენებულ რეგულაციებს და შუქნიშნების სიგნალებს, საგზაო ნიშნებს, გზის სამუშაოებისას გამოყენებულ ხმოვან და შუქის ნიშნებს, ზოგიერთი სატრანსპორტო საშუალებების განმასხვავებელი ნიშნებს და სატრანსპორტო საშუალებების სიგნალებს.

3) შექმნან საგზაო მოძრაობისთვის უსაფრთხოებისათვის სათანადო პირობები, თავისი მოქმედებით ანდა უმოქმედობით არ უნდა მიაყენოს ზიანი მოძრაობის სხვა მონაწილეებს, მათ სატრანსპორტო საშუალებებს და სხვა ქონებას.

4) არ უნდა დააზიანონ გზის საფარი, არ გააჭუჭყიანონ, არ უნდა დააზიანონ გზის ნიშნები, არ უნდა დადგნენ მის წინ და არ დაფარონ იგი, თვითნებურად არ უნდა მოაწყონ საგზაო ნიშნები, შუქნიშნები და მოძრაობის ორგანიზაციის სხვა ტექნიკური საშუალებები.

5) აკრძალულია მოძრავი სატრანსპორტო საშუალებებიდან ნივთებს ან მასალების გადაყრა, გადმოტვირთვა, რაც საგზაო მოძრაობას ხელს უშლის, ანდა გზაში ტრანსპორტის მიტოვებით წინაღობის შექმნა და მოძრაობის გართულება, საგზაო მოძრაობისათვის საფრთხის შექმნა (ამნაირი დაბრკოლების აღმოფხვრისათვის საჭიროა ღონისძიებების ჩატარება. თუ სასწრაფოდ ამისი საშუალება არ არის, სახელდახელოდ მოპოვებული საშუალებებით მოძრაობის სხვა მონაწილეების გაფრთხილება და აზერბაიჯანის რესპუბლიკის შესაბამისი აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოსათვის ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა);

6) საგზაო მოძრაობის კანონმდებლობის დაცვის თაობაზე აზერბაიჯანის რესპუბლიკის შესაბამისი სააღმასრულებლო ხელისუფლების ორგანოების განკარგულების შესრულება.

7) სატრანსპორტო, საგზაო, კომუნალური და სხვა დაწესებულებების და ორგანიზაციების თანამდებობის პირები, მუშები, რომელნიც გზებზე ნებისმიერ სამუშაოებს ატარებენ, ასევე სხვა პირები, უნდა ერიდონ დაბრკოლებების შექმნას და სხვა მოქმედებას, რომელიც დადგენილ საგზაო მოძრაობის წესებზე უარყოფით გავლენას ახდენს.

II. საგზაო მოძრაობის ყველა მონაწილე, რომელიც საგზაო წესებს იცავს, უფლება აქვს სხვა პირებისგანაც მოითხოვოს ამ წესების დაცვა.

მუხლი 40. ფეხით მოსიარულეთა მოვალეობანი:

1. ფეხით მოსიარულე:

1) ტროტუარზე ფეხით მოსიარულე მოძრაობს ისე, რომ არ გაუძნელოს გადაადგილება სხვა მოსიარულეებს და ველოსიპედით მოსარგებლეებს. (ფეხით მოსიარულეები, რომელნიც მძიმე ტვირთს ეზიდებიან, ასევე ის პირები, რომელნიც უძრავო ინვალიდის ეტლით გადაადგილდებიან, თუ ტროტუარზე ფეხით მოსიარულეებს დაბრკოლებებს შეუქმნიან, მათ უნდა იმოძრაონ სავალი ტროტუარის გარე ხაზზე;

2) რკინიგზის, საავტომობილო გზის, ქუჩების გადასასვლელებზე, ფეხით მოსიარულეებმა უნდა ისარგებლონ მიწისქვეშა და მიწისზედა გადასასვლებით.

3) ფეხით მოსიარულემ საცხოვრებელი პუნქტების საზღვრებს გარეთ გზაზე გადაადგილებისას სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის მიმართულების საწინააღმდეგოდ უნდა იმოძრაოს. (პირები, რომელნიც ინვალიდების ეტლებით მოძრაობენ, მოტოციკლს, მოპედს, ველოსიპედს მართავენ, ასეთ შემთხვევებში მოძრაობენ სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის მიმართულებით);

4) საერთო სარგებლობაში მყოფ სატრანსპორტო საშუალებას და ტაქსს, ტროტუარზე უნდა დაელოდოს, მისი არარსებობის შემთხვევაში კი გზის ძგიდეზე უნდა დადგეს. (პუნქტებში, რომელშიც სპეციალურად ამაღლებული სამგზავრო მოედნები არ არსებობს, სატრანსპორტოს საშუალებიდან ჩასვლის შემდეგ მოქალაქემ დაუყოვნებლივ უნდა დატოვოს გზის ტრანსპორტისათვის განკუთვნილი ნაწილი);

5) ადგილებში, სადაც მოძრაობა არის დარეგულირებული, უნდა დაემორჩილოს მარეგულირებელის ნიშანს, ანდა შუქნიშანს.

6) გზის სამოძრაო ნაწილში, თუ საჭირო არ არის, არ უნდა დაყოვნდეს და არ უნდა გაჩერდეს.

7) უპირატესად მოძრაობის უფლების მქონე, წითელი ანდა ცისფერი მოციმციმე შუქით და განსაკუთრებული ხმოვანი სიგნალით აღჭურვილი და მოსარგებლე სატრანსპორტო საშუალების მოახლოების დროს გზის სამოძრაო ნაწილზე არ უნდა გადავიდეს (საგზაო მოძრაობის ნაწილში მყოფებმაც კი ამ სატრანსპორტო საშუალებებს გზა უნდა დაუთმონ და სწრაფად გაუნთავისუფლონ გზის სამოძრაო ნაწილი);

8) გაჩერებული სატრანსპორტო საშუალებიდან გადმოსვლისას, მხედველობის არეალის შეზღუდვის დროს და სხვა დაბრკოლებათა არსებობისას უნდა დარწმუნდეს რომ მას არ უახლოვდება სატრანსპორტო საშუალება;

9) მხედველობის ზონაში ორივე მხრიდან გადასასვლელი, ან გზაჯვარედინი თუ არ არის, სადაც არ არის გამყოფი ზოლი და არც ბარიერია დახაზული, გზის იმ ნაკვეთებში, რომელიც კარგად ჩანს, მოძრაობის მონაწილემ მართკუთხა საგზაო ნიშნის ქვეშ უნდა გაიაროს.

10) სიბნელის დადგომისას გზის იმ ნაწილებში, რომელიც არ არის განათებული, მაშინ უნდა გაიაროს, როცა სხვა სატრანსპორტო საშუალება არსაიდან არ მოჩანს.

II. ფეხით მოსიარულე მხოლოდ მაშინ უნდა გადავიდეს არარეგულირებად გადასასვლელზე, როცა სათანადოდ დააკვირდება მდგომარეობას, შეაფასებს სხვა ტრანსპორტის მოძრაობის სიჩქარეს და დარწმუნდება რომ არსაიდან ხიფათი არ ემუქრება.

III. ფეხით მოსიარულეები, რომლებმაც ვერ მოასწრეს გადასვლა ქუჩის მეორე მხარეს, გზის შუაში, ტრანსპორტის მოძრაობების გამყოფ შუა ხაზზე უნდა გაჩერდნენ და დაელოდნენ შუქნიშნის სათანადო სიგნალს.

IV. ორგანიზებულმა ფეხით მოსიარულე ჯგუფებმა, უნდა იარონ სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის მიმართულებით, გზის სავალი ნაწილის მარჯვენა მხრით, ჯგუფურად, რომლის ერთ რიგში არ უნდა იყოს ოთხ კაცზე მეტი. ჯგუფის წინ და უკან – მარცხენა მხარეზე უნდა იყვნენ დამკვირვებლები, მათ ხელში უნდა ეკავოთ პატარა წითელი დროშები, საღამოს ბინდის დროს და შეზღუდული მხედველობის პირობებში კი ანთებული ნათურები: წინ თეთრი, უკან წითელი შუქის ფანარი უნდა ეჭიროთ.

V. ბავშვებს ჯგუფურად გადაადგილება, გზის იმ მონაკვეთზე, რომელსაც არ გააჩნია ტროტუარი, დასაშვებია მხოლოდ დღის შუქზე და ისიც მხოლოდ უფროსების თანმხლებით.

# 2. საკუთარი უსაფრთხოება ჩვენივე ზრუნვის საგანი უნდა იყოს

თქვენ უკვე მეცხრე კლასის მოსწავლეები ხართ, თქვენი უმრავლესობა დამოუკიდებლად დადის სკოლაში, მაღაზიაში, სარგებლობთ საზოგადოებრივი ტრანსპორტით, ყოველდღიურ ცხოვრებაში სასიხარულო მოვლენებთან ერთად, სამწუხაროდ, შეიძლება გადააწყდეთ სხვადასხვა არასასიამოვნო მოვლენებს და აღმოჩნდეთ საშიშ მდგომარეობაში.

**თქვენი აზრით, საიდან შეიძლება მოდიოდეს ეს საშიშროება?**

ხშირად მშობლები გარკვეული საშიშროებისაგან დაცვის მიზნით თავის შვილებს გარეთ გასვლის უფლებას არ აძლევენ. თქვენი აზრით, ამით ბავშვებს შეიძლება ავაცილოთ რომელიმე საშიშროებათაგანი? ხშირია გაუფრთხილებლობა, უყურადღებობა: უთოს ჩართულად დატოვება დენის წყაროში, შესასვლელი კარის ღიად დატოვება, სიმაღლიდან გადმოვარდნა, ონკანის ღიად დარჩენა, სახლში უცხო ადამიანის შეშვება, ბასრი და მჭრელი ნივთების მოუხერხებლად გამოყენება, წამლების არადანიშნულებისამებრ მიღება, ვადაგასული საჭმელებით მოწამვლა, საყოფაცხოვრებაში საქმიანობაში გამოყენებული საშიში ქიმიური ნივთიერებები და ა.შ. ყოველივე ამან შეიძლება გარკვეული საფრთხეები შექმნას.

**ამრიგად, როგორ შეიძლება უზრუნველყოთ ჩვენი უსაფრთხოება?**











ყოველდღიური ჩვენი ცხოვრება მრავალფეროვანი რომ იყოს, დროთა განმავლობაში გასართობ და სავაჭრო ცენტრებს, პარკებს, დასასვენებელ ცენტრებს, პლაჟებს, კინოებს, თეატრებს, მუზეუმებს მივაშურებთ ხოლმე. ამნაირ საზოგადოებრივ ადგილებში სადაც ვერთობით, დიდ სიამოვნებას ვერ მივიღებთ, თუ დარწმუნებული არ ვიქნებით საკუთარ უსაფრთხოებაში.



საბავშვო გასართობ ცენტრებში რიგ ატრაქციონებში, პარკებში საქანელებზე, ტერიტორიებზე, სადაც სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს, სხვა საზოგადოებრივ ადგილებში შინაურმა ცხოველებმა, შეიძლება საშიშროება შეუქმნან ადამიანებს.



მიუხედავად იმისა, რომ ძაღლები თუნდაც „ადამიანის მეგობრებად“ ითვლებიან, უცხო ადამიანს შეიძლება გარკვეული საფრთხე შეუქმნან. რესპუბლიკის ცენტრალურ ქალაქებში, დასახლებებში, სოფლებში, პარკებში, გასართობ ადგილებში, ზღვის სანაპიროზე, გზებზე, ქუჩებში, საკმაოდ ბევრ მაწანწალა ძაღლებს შეიძლება გადააწყდეთ.

 

ხშირ შემთხვევებში ეს ცხოველები, ცალ-ცალკე კი არა, ხროვა-ხროვად დარბიან. ცხოველები ვირუსების მთავარი მატარებელი არიან, ქუჩაში უპატრონო ძაღლები ადგილობივი მოსახლეობისთვის მეტადრე დიდ საშიშროებას წარმოადგენენ. ცხოველები, რომელნიც აცრილები არ არიან, ცოფით ავადდებიან და მათ მიერ დაკბენილმა ადამიანებმა, თუ დროულად არ იმკურნალეს, დაიღუპებიან.

მეცნიერები თვლიან, რომ შინაური ცხოველების ცოფით დაავადების ალბათობა ყოველთვის არსებობდა. ამ შემთხვევაში ავადმყოფმა შინაურმა ცხოველმა შეიძლება საკუთარი პატრონიც კი დაკბინოს. არც თუ იშვიათად, ძაღლების პატრონები, რომლებიც თავიანთ ცხოველებს საზოგადოებრივ ადგილებში ასეირნებენ, ალიკაპით და ღვედით არ სარგებლობენ, რითაც საფრთხეს უქმნიან გარშემომყოფთ.



მოსალოდნელი საფრთხისაგან საკუთარი თავისა და გარშემომყოფთა დასაცავად გადარჩენისა და უსაფრთხოების წესების ცოდნა აუცილებელია. ამ მიზნით, ამხანაგებთან ერთად, ჯგუფური კვლევა ჩაატარეთ და ქვემოთ მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით მოამზადეთ პრეზენტაცია:



1. როგორი საფრთხე შეიძლება დაემუქროს ადამიანს ყოველდღიურ ყოფაში? ამ დროს უსაფრთხოების რომელი წესები უნდა დავიცვათ?



4. გზებზე მოსალოდნელი საფრთხეები და უსაფრთხოება.



2. ქუჩაში მოსალოდნელი საფრთხე და უსაფრთხოება.



5. რა საფრთხე შეუძლიათ შეუქმნან ადამიანებს ოჯახში მყოფმა შინაურმა ცხოველებმა? ამ დროს უსაფრთხოების რომელი წესები უნდა დაიცვან მათ?



3. რა უნდა მოვიმოქმედოთ ძაღლების თავდასხმის დროს?



6. რამდენად შეიძლება ორგანიზმისათვის საფრთხედ იქცეს საკვები? ასეთ შემთხვევაში, უსაფრთხოების რომელი წესების დაცვაა სავალდებულო?



7. საფრთხე და უსაფრთხოება ქალაქისა და სოფლის პირობებში.

გარემოსადმი მზრუნველობა, ჯანმრთელი ცხოვრება, უბედური შემთხვევების მომასწავებელ მოქმედებათა პრევენცია, ეთიკის ნორმების დაცვა საზოგადოებისათვის ჯანსაღი ცხოვრების შემადგენელი ნაწილებია.

## 3. ჯანსაღი ოჯახი ჯანსაღი მომავლის საწინდარია



აზერბაიჯანის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს, საგანგებო სიტუაციების სამინისტროს, განათლების სამინისტროს, ახალგაზრდობისა და სპორტის საქმეთა სამინისტროს, ჯანდაცვის სამინისტროს, ოჯახის, ქალთა და ბავშვთა პრობლემების სახელმწიფო კომიტეტის მიერ ხორციელდება სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებები, რომლებიც ორიენტირებულია ახალგაზრდათა უსაფრთხოებაზე, მათ ჯანმრთელობაზე, ოჯახის ღირსების შენარჩუნებაზე, ბავშვთა და მოზარდთა მენტალობის ამაღლებაზე, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე.

**თქვენ იცით, რომ როცა ვახსენებთ ფრაზას: "ჯანსაღი ცხოვრება", მასში რამდენიმე საკითხი უკავშირდება ერთურთს. თქვენი აზრით, რა მნიშვნელობა ენიჭება ჯანსაღი ცხოვრების სტილს ჯანსაღი ოჯახის შესაქმნელად?**



დღევანდელ დღეს ჯანსაღი შთამომავლობის აღზრდა, ქვეყნის ჯანსაღი შთამომავლობით უზრუნველყოფა, ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. ჯანსაღი ახალგაზრდობის ჩამოყალიბების საფუძველი ჯანსაღ ოჯახებში იქმნება. ოჯახი საზოგადოების ყველაზე მნიშვნელოვანი საყრდენია. ოჯახი, რომელსაც გააჩნია ზოგადსაკაცობრიო თვისებები, ღირსებები, კულტურული და ესთეტიკური ფაქტორები, ჯანსაღი ცხოვრება, ნორმალური ფსიქოლოგიური გარემო, თავისთავად უგზავნის საზოგადოებას ჯანსაღ ყოფით იმპულსებს.

ჯანსაღი ცხოვრების ჩამოყალიბების პროცესზე უარყოფით გავლენას ახდენს ზოგიერთი ფაქტორი. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ მავნე ჩვევებისადმი მიდრეკილება, ფსიქიკური დაავადებები, ოჯახური ძალადობა, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები, სქესებს შორის გაუგებრობა, სისხლით ნათესავებს შორის ქორწინება, ადრეული ქორწინება, ქორწინების დროს სამედიცინო გამოკვლევებისათვის თავის არიდება.

**პრეზიდენტ ილჰამ ალიევის 2014 წლის 17 დეკემბრის განკარგულების მიხედვით ქორწინებამდე წყვილებმა უნდა გაიარონ სავალდებულო სამედიცინო გამოკვლევა.**

თქვენ იცით, რომ ადამიანებში ნორმალური და პათოლოგიური თვისებები მემკვიდრეობით გადადის. სისხლით ნათესავთა შორის ქორწინების შედეგად დაბადებიდან სიმახინჯე და რამოდენიმე მემკვიდრეობით გადამდები დაავადებების წარმოქმნის რისკი მაღალია. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ეს შეიძლება გახდეს ჩამოთვლილ დაავადებათა მიზეზი: ნერვიული სისტემის, სმენის უნარის დარღვევა; კანის დაავადებები; მოძრაობის შეზღუდვა და ვესტიბულარული აპარატის დარღვევა; სისხლის დაავადებები (თალასემია, ჰემოფილია და ა.შ.). არასაკმარისი გონებრივი და ფიზიკური განვითარება; სასუნთქი ორგანოების დაავადებები (ასთმა, სულის ხუთვა); სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები (ჰიპერტონია), მოკლეთითიანობა (ხელ და ფეხფარფლიანობა); მრავალთითიანობა, პიგმენტაციის დარღვევა, სხვა გართულებები. სისხლით არამონათესავე ადამიანებს შორის ქორწინებით შობილ ბავშვებში პათალოგიური გენების "შეხვედრის" ალბათობა ძალზე მცირეა.

**თალასემიის ცენტრი**



**თალასემია და ჰემოფილია მემკვიდრეობით გადამდები დაავადებებია. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ამ დაავადების აღკვეთის მთავარი გზა სისხლით ნათესავთა ქორწინების დაუშვებლობაა.**

მომავალში ჯანსაღი ცხოვრების უზრუნველყოფისა და ბედნიერი ოჯახის შექმნისთვის ქორწინებამდე სათანადო სამედიცინო შემოწმების გავლა ძალზე მნიშვნელოვანია.



ექიმებს და სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ სავალდებულო სამედიცინო გამოკვლევა აუცილებელია სისხლით მონათესავე პირების ქორწინების შემთხვევაში. ეს გამოკვლევა ტარდება ახალგაზრდების მოსალოდნელი საფრთხისაგან დასაცავად.

**გადამდები დაავადებების, ნერვიული სისტემის დარღვევების, პასიური ცხოვრების, კომპიუტერით გადაჭარბებულად სარგებლობის, ჰიგიენური წესების უგულვებელყოფის, ნარკოდამოკიდებულების ოჯახზე ზეგავლენის თაობაზე მოაგროვეთ სათანადო ინფორმაცია და ამხანაგებთან ერთად იმსჯელეთ.**





მავნე ჩვევებზე დამოკიდებულება საფრთხეს წარმოადგენს როგორც ოჯახისთვის, ასევე საზოგადოებისათვის. დასამალი არ არის, რომ ალკოჰოლურ სასმელზე დამოკიდებულება ოჯახური კონფლიქტის მიზეზი ხდება და იგი ხშირად ოჯახის დანგრევით მთავრდება. თუ ოჯახში ერთ-ერთი მშობელი ალკოჰოლზე დამოკიდებულია, ის ოჯახის სხვა წევრების ემოციურ მდგომარეობაზე უარყოფით გავლენას ახდენს. ლოთობა საქმიანობის უნარის დაქვეითებას, ამავდროულად ტვინის ფუნქციების დარღვევას და აზროვნების უნარის დაქვეითებას იწვევს. ქალებში ალკოჰოლურ სასმელზე დამოკიდებულება კი ახალშობილ ჩვილებზე უამრავ უარყოფით გავლენას ახდენს და ხშირად ჩვილის მკვდრად შობის მიზეზი ხდება.

ჯანსაღი ოჯახის შექმნისას რა ზეგავლენა შეიძლება იქონიოს მასზე მავნე ჩვევებმა?



1. რომელი ფაქტორი შეიძლება იქცეს უშვილობის მიზეზად? ამას რა კავშირი აქვს ჯანსაღ ცხოვრებასთან? ამასთან დაკავშირებით მცირე კვლევა ჩაატარეთ და ჩაწერეთ რვეულში.

2. ოჯახში როგორი ურთიერთობა უნდა იყოს საპირისპირო სქესთა წარმომადგენლებს შორის? ამას რა სახის ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ჯანსაღი ოჯახის ჩამოყალიბებაზე? გაარკვიეთ.

3. დაწესებულია თუ არა აზერბაიჯანში მკაცრი კონტროლი ნარკოტიკების მოძრაობაზე და ექცევა თუ არა სათანადო ყურადღება ნარკომანთა განკურნების საქმეს? იმსჯელეთ ამხანაგებთან ერთად.

# 4. საგანგებო შემთხვევებისას წარმოქმნილი შედეგების აღმოფხვრა

2012 წლის 7 მაისის მიწისძვრის შედეგად ზაქათალაში, ბელაქანსა და კახის რაიონებში საცხოვრებელ სახლებს, სოციალურ და ინფრასტრუქტურულ ობიექტებს დიდი ზიანი მიადგათ. მიწისძვრის შედეგების აღმოფხვრის მიზნით დაარსდა ოპერატიული შტაბი და აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგანგებო სიტუაციების სამინისტროს სპეციალისტების მიერ განხორციელდა სათანადო ღონისძიებები.

***თქვენი აზრით, საგანგებო სიტუაციების სამინისტროს რა სახის ღონისძიებების განხორციელება შეუძლია მსგავსი საგანგებო შემთხვევების დროს?***



**ზაქათალაში მიწისძვრისას დანგრეული მეჩეთი**

აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიისათვის დამახასიათებელ ბუნებრივ კატასტროფებს განეკუთვნებიან მიწისძვრები, ნიაღვრები, წყალდიდობა, დატბორვა, მეწყერი, ზვავები, ტყისა და მინდვრების ხანძრები. გარდა ამისა, ადამიანების დაღუპვის მიზეზად შეიძლება იქცეს სხვადასხვა მიზეზებით გამოწვეული ნგრევები, საგზაო-სატრანსპორტო კატასტროფები, ქიმიური ნივთიერებებით მოწამვლა, რადიაქტიური გამოსხივება... ზაფხულის ცხელ დღეებში გვალვის შედეგად საძოვრებზე, მინდვრებზე და ტყის მასივებში სხვადასხვა მასშტაბის ხანძრები ხდება. ხანძრების მიერ ჩვენს ეროვნულ სიმდიდრეზე – ფლორასა და ფაუნაზე და სახელმწიფო ბიუჯეტზე მიყენებული ზარალის, ასევე ადამიანის მიმართ საფრთხის რისკის შემცირების მიზნით აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგანგებო სიტუაციების სამინისტროს მხრიდან ხორციელდება რიგი ღონისძიებებისა.

ამავდროულად, წყლის აუზებში, პლაჟებზე, უსაფრთხოების წესების უგულვებელყოფამ შეიძლება გამოიწვიოს არასასურველი ექსცესები და ადამიანის მსხვერპლიც კი. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ასეთი შემთხვევების მიზეზი ადამიანების მხრიდან გამოჩენილი უყურადღებობა და გაუფრთხილებლობაა.

# პროექტი: საგანგებო შემთხვევების დროს წარმოქმნილი შედეგების აღმოფხვრა

საგანგებო შემთხვევების დროს წარმოქმნილი შედეგების აღმოფხვრასთან დაკავშირებული პროექტების მოსამზადებლად ქვემოთ მოცემული თემების მიხედვით ჩაატარეთ გამოკვლევა. ეს პროექტი მოკლევადიანია.

1. ბუნებრივი საგანგებო შემთხვევების დროს დახმარების აღმოჩენა საკუთარი თავისა და გარშემომყოფთათვის.
2. ხანძრის და სატრანსპორტო კატასტროფების დროს გასატარებელი ღონისძიებები.
3. ტერორის ხასიათის მქონე შემთხვევებისას გასატარებელი ღონისძიებები.
4. დახმარების აღმოჩენა საყოფაცხოვრებო შემთხვევების დროს.
5. რადიაქტიური დაბინძურების დროს მოსახლეობის გადაადგილების წესები.





## პროექტის შესრულების გეგმა

1. **თ**ქვენთვის მოცემული თემებიდან აირჩიეთ ერთ-ერთი. არჩეული თემა განიხილეთ მასწავლებელთან ერთად.
2. **გ**ადაწყვიტეთ, ინდივიდუალურად იმუშავებთ თუ ჯგუფურად.
3. **დ**ააზუსტეთ პროექტის ეტაპობრივად და მთლიანად შესრულებისათვის გამოსაყოფი დრო.
4. **გ**აარკვიეთ პროექტის პრეზენტაციის ფორმა (Microsoft Power Point, Microsoft World, Model და ა.შ.).
5. **თ**ქვენს მიერ შერჩეული თემის თაობაზე სხვა საგნების მასწავლებლებთან და მშობლებთან ერთად იმსჯელეთ.
6. **თ**ემასთან დაკავშირებით შეაგროვეთ ინფორმაცია, რომელიც შეგიძლიათ მოიპოვოთ სხვადასხვა წყაროებიდან (სახელმძღვანელოებში არსებული მასალებიდან, ჟურნალებიდან და ინტერნეტიდან).

# 5. თანამედროვე ეპოქის გლობალური ეკოლოგიური პრობლემები



ადამიანის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი პრობლემა არის გარემოს დაცვა. უძველესი დროიდან ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-5-6 საუკუნეებში ეგვიპტეში, სპილენძის დნობის დროს გამოჩენილი დაუდევრობისათვის 6 მეტალურგს განსაკუთრებული ზომის სასჯელი შეუფარდეს. ჩვენი წელთაღრიცხვით მე-12-13 საუკუნეებში საფრანგეთის მდინარე სენაში დაბინძურებული წყლის გაშვებისათვის სახელოსნო გაუქმდა და დამნაშავეები დასჯილ იქნენ.

***თქვენი აზრით, ეს პრობლემები თანამედროვე ეპოქაში შეიძლება ჩაითვალოს გლობალურ ეკოლოგიურ პრობლემად? რატომ? თანამედროვე ეპოქაში გლობალური ეკოლოგიური პრობლემების აღმოსაფხვრელად რა სახის ღონისძიებები ხორციელდება?***




**1920 წელს, ამერიკაში, ჟურნალ "ეკოლოგიის" გამოცემა დაიწყეს. ეს ჟურნალი, ამ სფეროში, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გამოცემაა.**

**წყალდიდობა საბირაბადის რაიონში**

ცივილიზებული კაცობრიობის ისტორიაში მომხდარი მიწისძვრები, ვულკანის ამოფრქვევები, წყალდიდობა, გვალვა, მეწყერი, ათწლიანი თუ ასწლიანი ომები, საშინელი ეკოლოგიური კატასტროფები, ეპიდემიები (ჭლექი, შავი ჭირი და ა.შ.), შიმშილი და სხვა უბედურობები უამრავი ადამიანის დაღუპვის მიზეზი გახდარა.



ეკოლოგიური პრობლემა ეპოქის მთავარ პრობლემათა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია.

**ეროვნული ეკოლოგიური პრობლემა რეგიონალური ეკოლოგიური პრობლემებს ქმნის, რეგიონალური ეკოლოგიური პრობლემა კი გლობალური ეკოლოგიური პრობლემების შექმნის წინაპირობას წარმოადგენს. როგორ განმარტავთ ამ მოსაზრებას? თქვენი მოსაზრებები მაგალითების მოხმობით დაასაბუთეთ.**



თქვენთვის ცნობილია, რომ საერთაშორისო ეკოლოგიური პრობლემების მოგვარება ხდება ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების გაფორმებისა და კონვენციათა საფუძველზე. უკანასკნელ წლებში, მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების მეთაურები გარკვეულ დადგენილებებს შეიმუშავებენ რამოდენიმე ქვეყნის ინტერესების სფეროში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად. მეცნიერების უმეტესობა ამ პრობლემების მოსაგვარებლად კონკრეტულ გზებს ეძებს, მაგრამ თანამედროვე ეპოქის გლობალური პრობლემების მოგვარება დიდ წინააღმდეგობებს აწყდება. ასე რომ, იგივე პრობლემები, დროთა განმავლობაში, უფრო და უფრო მწვავდება. გლობალური პრობლემების მოგვარება კი შესაძლოა მხოლოდ საერთაშორისო თანამშრომლობით.





XXI საუკუნეში სასწრაფოდ მოსაგვარებელ პრობლემათა ნუსხაში პირველ ადგილზე დგას შემდეგი საკითხები: ჰაერის დაბინძურება, ოზონის ფენის დათხელება, მჟავური წვიმები, მიწების მარილიანობის მატება, სამრეწველო ნარჩენებით გარემოს დაბინძურება, ბიოლოგიური შეუსაბამობები და დროთა განმავლობაში სასმელი წყლების მარაგების შემცირება, გლობალური დათბობა, კლიმატური ცვლილებები, ტყის მასივების შემცირება და ა.შ.

**„თუ კაცობრიობის განადგურება გინდათ, ხეების მოჭრით დაიწყეთ".**

***ჩარლზ ბუკოვსკი***



მსოფლიოში მოსახლეობის რაოდენობის მატება, ავტომობილების გამონაბოლქვი, საქვაბეების და ქარხნების აირნარჩენები და ა.შ. ატმოსფეროში ჟანგბადის მარაგის შემცირების და ნახშირორჟანგის მატების მიზეზი გახლავთ. ჟანგბადის მარაგის აღდგენა ბუნებაში ხდება ოკეანეში აორთქლებული წყლების და მცენარეების ფოტოსინთეზის შედეგად, მაგრამ ტექნიკური პროგრესი ამ ბალანსს მუდამ არღვევს და დედამიწა ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყავს განადგურებისაკენ.



დედამიწაზე სიცოცხლის წარმოქმნაზე დიდი გავლენა იქონია ატმოსფეროს ჩამოყალიბებამ და დედამიწაზე სითბური ბალანსის შენარჩუნებამ. თქვენ იცით, რომ ატმოსფერო სხვადასხვა აირებისაგან შედგება. გაიხსენეთ, თუ რა გაქვთ ნასწავლი ამ აირთა თანაფარდობის თაობაზე.

აზოტი – ? ჟანგბადი – ? ნახშირბადი – ?

ინერტული აირები – ?

**სათბურის ეფექტი** ატმოსფეროში წყლის ორთქლის და სხვა აირების: ნახშირბადის, მხუთავი აირის, მეთანის, აზოტის მჟავის და გოგირდის მჟავის რაოდენობის მატებით არის გამოწვეული. ამ აირებს სათბურის აირებს ვუწოდებთ, რომლებიც დედამიწის გარშემო სათბურის “სახურავის” ეფექტს ქმნიან. ამ “სახურავის” წყალობით მზისაგან მიღებულ სითბო ატმოსფეროს გაივლის და დედამიწამდე აღწევს, მაგრამ დედამიწიდან კოსმოსში მიმართულ სითბოს წინააღმდეგობას უქმნის და, ამდენად, “სახურავი” სათბურის ეფექტის წარმოქმნის მიზეზი ხდება.






გლობალური ეკოლოგიური პრობლემის ერთ-ერთი ფაქტორია ნიადაგის დაბინძურება. მიწა საყოფაცხოვრებო ნაგვით, ნავთობპროდუქტების წარმოების და სხვა სახის ნარჩენების სიმრავლის გამო ბინძურდება. ეკონომიკის განვითარება რიგით პრობლემებს (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი და ა.შ.) კი აგვარებს, მაგრამ სხვა გლობალურ პრობლემებს ქმნის. მიწის დაბინძურების მთავარი მიზეზია მძიმე ლითონები (ტყვია, ვერცხლისწყალი, კადმიუმი, დარიშხანი, ბისმუტი, თალიუმი, კალა), ნავთობის ნარჩენები და პესტიციდები. ამ ნივთიერებებს ითვისებენ მცენარეები, იგი ერევა წყალს და ადამიანის ორგანიზმზე ახდენს ზეგავლენას.

ადამიანის ორგანიზმში ამგვარი ნივთიერებების ხანგრძლივი დროის განმავლობაში თავმოყრა სხვადასხვა მძიმე დაავადებების მიზეზი ხდება.

მეგობრებთან ერთად ჩაატარეთ კვლევა და ქვემოთ მოყვანილი თემების თაობაზე მოამზადეთ პრეზენტაცია:

1. ატმოსფეროს დაბინძურება ადამიანებში სისხლძარღვთა და სასუნთქი გზების დაავადებების გამოწვევის გარდა ბუნებრივი ეკოსისტემის განადგურების მიზეზიც ხდება. ატმოსფეროს დაბინძურების მიზეზები ორ ჯგუფად იყოფიან: ბუნებრივ და ანთროპოგენურად. რომლებია ეს ჯგუფები? მოამზადეთ პრეზენტაცია ამის თაობაზე სხვა წყაროების გამოყენებით.

2. მიწის დაბინძურება ერთ-ერთი გლობალური ეკოლოგიური პრობლემაა. ამ პრობლემის აღმოფხვრისათვის გატარებულ ღონისძიებათა შესახებ (მსოფლიო დონეზე, ამავდროულად ჩვენს რესპუბლიკაში) მოამზადეთ პრეზენტაცია.

3. რა გზებით შეიძლება მოხერხდეს სათბურის ეფექტის აღმოფხვრა? მოამზადეთ პრეზენტაცია ამის თაობაზე სხვა წყაროების გამოყენებით.

## პროექტი
## გლობალური ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტა

პროექტების მომზადების მიზნით, წარმოდგენილი თემების საფუძველზე, ჩაატარეთ კვლევა გლობალური ეკოლოგიური პრობლემების აღმოფხვრის გზებზე.

1. ნარჩენების ხელმეორედ გამოყენება.
2. გლობალური ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტისათვის აუცილებელი განათლების სისტემის შემუშავება.
3. გლობალური ეკოლოგიური პრობლემების შექმნის ძირითადი მიზეზები და მათი აღმოფხვრის გზები.
4. ატმოსფეროზე ანთროპოგენური ზეგავლენა.
5. ადამიანის ზეგავლენა ბიოლოგიურ სამყაროზე.
6. მიწაზე ანთროპოგენური ზეგავლენა და მისი აღმოფხვრის გზები.

# II სასწავლო ერთეული
# საზოგადოება და მისი კეთილდღეობა

* ადამიანი სოციალურ პროცესებში
* სამოქალაქო საზოგადოება
* დემოკრატიული პრინციპები სამოქალაქო საზოგადოებაში
* ადამიანის უფლებები
* ჩვენი უფლებები დაცულია საერთაშორისო დონეზე
* ეკონომიკური სარგებლიანობა

# 1. ადამიანი სოციალურ პროცესებში



*საზოგადოებაში ადამიანები მჭიდრო კავშირებს ამყარებენ ერთმანეთთან. ადამიანების ერთმანეთთან დამაკავშირებელი სიმები, მათ შორის დამყარებული პირადი კონტაქტები სოციალურ ურთიერთობებს (ოჯახური, შრომის, კულტურული, პოლიტიკური და ა.შ.) ქმნიან. კანონზომიერ ურთიერთობებს, რომლებიც მიგვაჩნია ცვლილების მომტანად, გრძნობების გამომჟღავნებად, მოვლენად, ჩვენ სოციალურ პროცესებს ვუწოდებთ. სოციალურ ურთიერთობათა ცენტრში დგას ადამიანი და მისი საქმიანობა.*

***ადამიანის სოციალურ პროცესებში მოღვაწეობის შეფასებისას ასეთი კითხვა ჩნდება: საზოგადოებაში მომხდარი ცვლილებები შემთხვევითი არ არის? რამდენად შეუძლია ადამიანს სოციალურ პროცესებზე გავლენის მოხდენა?***

ცნობილია, რომ თითოეულ პიროვნებას საკუთარი მოთხოვნები და ინტერესები გააჩნია. მათი დაკმაყოფილებისათვის ადამიანები ერთმანეთთან ურთიერთობებს ამყარებენ, ფლობენ სოციალურ პრაქტიკას, ერთიანდებიან სხვადასხვა ჯგუფებში, სხვების ბუნებას შეისწავლიან და საკუთარ ვინაობას ადგენენ. ასეთ შემთხვევებში ადამიანს არა მხოლოდ საკუთარი თავის, არამედ სხვების მენტალიტეტის შეცვლაც შეუძლია. თითოეული პიროვნების გავლენა სოციალურ პროცესებზე, თავისთავად ადგენს მის სტატუსს (ადამიანის პოზიცია საზოგადოებაში).









**ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით მოიყვანეთ სოციალურ პროცესებზე ადამიანის ზეგავლენის მაგალითები.**

საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპებზე ადამიანის სტატუსი მუდამ იცვლებოდა. მაგალითად, ადამიანები ასაკის, სქესის, მატერიალური ანაზღაურების, პოლიტიკური პოზიციის, თანამდებობის, ცოდნის, ურთიერთობის სფეროთა მიხედვით სხვადასხვა სტატუსებს ფლობენ. როცა სოციალური სტატუსის მიხედვით სხვადასხვა ჯგუფებში გაერთიანებულ მონათმფლობელებს, ფეოდალებს, გლეხებს, მუშებს, ინტელიგენციას და ა.შ. ეცვლებოდათ სოციალური სტატუსი, ამავდროულად იცვლებოდა მათი სოციალური როლიც.





როცა სოციალურ პროცესებში ადამიანის ზეგავლენას და მის როლს აზუსტებდნენ, მეცნიერები გარკვეულ წინააღმდეგობებს აწყდებოდნენ. მეცნიერთა პირველ ჯგუფის თვალსაზრისით საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენები ზნეობრიობაზეა დამოკიდებული. სახელგანთქმული პიროვნებების, გმირების, მეცნიერების და გამომგონებლების მიერ, ღვთისაგან ბოძებული ნიჭისა და ძლიერი ნებისყოფის წყალობით ბუნების გარდაუვალი მოვლენების შეცვლა ხდებოდა. ასე რომ, სოციალურ პროცესებში მთავარი ადამიანის მოღვაწეობა კი არ არის, არამედ მისადმი დამოკიდებულებაა. ადამიანის მოღვაწეობის არეალი შეზღუდულია ზნეობრივი ფაქტორებით. ამ დროს მნიშვნელოვანი ცვლილებები დამოკიდებულია საზოგადოების ზნეობრივი თვისებების მონაცვლეობაზე. ამ კუთხით ადამიანის სოციალური ურთიერთობები საზოგადოების კულტურული ურთიერთობებით განისაზღვრება.

ამ მოსაზრების მიმდევარ მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ სოციალურ პროცესებში ადამიანის მოღვაწეობამ ზნეობრივი სფეროში კულტურის განვითარების გარკვეულ ეტაპამდე შეიძლება მიგვიყვანოს. მაგალითად, ერთმა გვარტომმა შეიძლება იმპერია შექმნას, ერთმა ტომმა კი ახალი ცივილიზაცია წარმოქმნას. ამგვარი მოსაზრების მიმდევრებს *იდეალისტებს** ეძახიან. მათი აზრით, საზოგადოებაში მომხდარი მოვლენები დამოკიდებულია არა ადამიანის ფიზიკურ შესაძლებლობებზე, არამედ მის იდეებზე. ამიტომაც, საზოგადოება და მისი განვითარება შეუცნობელია და უამრავი შემთხვევებისაგან შედგება.

***იდეალისტი*** – *მეოცნებე ადამიანი, რომელიც აიდეალებს ჭეშმარიტებას.*

ცხოვრებაში რომელი შემთხვევითი ფაქტის წინაშე აღმოჩენილხართ? ადამიანის სიცოცხლეში ასეთი შემთხვევები რა გავლენას ახდენენ? ამხანაგებთან ერთად იმსჯელეთ ამ მოსაზრებებზე.



ღვთაებრივი რელიგიური მიმდინარეობები ქადაგებენ, რომ ყველაფერი, და მათი შორის ადამიანიც, ღმერთის მიერაა შექმნილი. სხვადასხვა რელიგიური შეხედულებებით სოციალურ პროცესებში ადამიანის საარსებო პირობები ღმერთისგანაა განსაზღვრული.



დაასაბუთეთ მოსაზრება: "სოციალური პროცესების ცენტრში ადამიანის ეკონომიკური მოღვაწეობა დგას".

მეცნიერთა მეორე ჯგუფის წარმომადგენლები კი იდეალისტებისაგან განსხვავებით ფიქრობენ, რომ საზოგადოება და მისი განვითარება შემეცნებითია. ასე რომ, საზოგადოებაში თვისებებით ურთიერთგანსხვავებული ადამიანების ნებისყოფისაგან დამოკიდებული მოვლენებიც ხდება. ამ კანონზომიერების ცენტრში კი ადამიანები დგანან და საკუთარ მიზნებს აღწევენ აუცილებელი გულმოდგინე შრომითა და მუდმივი მცდელობებით. ამ თვალსაზრისით, საზოგადოებაში მომხდარი მოვლენები არ არის შემთხვევითი. თითოეული მათგანის უკან დგას ადამიანის მოღვაწეობასთან დაკავშირებული გარდაუვალობა. მეცნიერებს, რომლებიც სოციალურ პროცესებში ადამიანის აქტიური მონაწილეობის დამტკიცებას ცდილობენ, *მატერიალისტებს* ეძახიან.

ანუ, მეცნიერების თვალსაზრისით ადამიანის ზნეობა, ნებისყოფა, მსოფლმხედველობა, ადათ-წესები საზოგადოებრივ წარმოებაზეა დამოკიდებული. ასე რომ, სოციალური პროცესების ცენტრში ადამიანის ეკონომიკური მოღვაწეობა დგას.

შეუდარეთ ერთმანეთს იდეალისტებისა და მატერიალისტების პოზიციები და განაზოგადეთ თქვენი აზრი.

შრომითი მოღვაწეობის გარეშე საზოგადოება ვერ შეიქმნება და ვერც იარსებებს. სიცოცხლისათვის აუცილებელი მატერიალური დოვლათის წარმოებას და ადამიანთა შორის სოციალურ ურთიერთობებსაც საზოგადოება აყალიბებს.







აირჩიეთ ხელოვნების რომელიმე დარგის წარმომადგენელი და შრომითი მოღვაწეობის მიხედვით ჩამოთვალეთ მისი თვისებები.

სწორედ შრომითი მოღვაწეობის პროცესში ყალიბდება საწარმოო ურთიერთობები და წარმოების კულტურა. მაგალითად, მასწავლებლის პიროვნულ თვისებებზე გავლენას ახდენს მისი მრავაწლიანი საქმიანობის განმავლობაში მოპოვებული სოციალურ-ზნეობრივი გამოცდილება. იგი კომუნიკაციაში იოლად შედის, საკუთარ აზრს მკაფიოდ გამოხატავს, გარკვეული მხარისაკენ მიმართავს, ადამიანი კი კეთილმოყვარე ფილანტროპი და ჰუმანისტი ხდება.

ადამიანის სოციალური სტატუსი დიდადაა დამოკიდებული მის შრომით მოღვაწეობაზე. ასეთი თვალსაზრისის მქონე ადამიანების სოციალურ პროცესებში აქტიურობა კი საზოგადოების განვითარების ქვაკუთხედი ხდება.





ადამიანების გონებითა და აზრით სხვადასხვა სახის პროდუქციის გამოშვება მათზეა დამოკიდებული, მაგრამ მათ შორის შექმნილი ურთიერთობება არაა მათზე დამოკიდებული. ამიტომაც, ადამიანის მონაწილეობა სოციალურ პროცესებში არაა თანაბარზომიერი. ამიტომაც, ადამიანის სოციალურ პროცესებში მონაწილეობის დინამიკა სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვანაირია – ერთ ქვეყანაში ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებს ანვითარებს, დანარჩენ ქვეყნებში კი ეს სფეროები ჩამორჩებიან.

მოიყვანეთ რომელიმე ეკონომიკურად და კულტურულად განვითარებული ქვეყანა და მოგვითხრეთ, თუ რა იცით მისი ცხოვრების თაობაზე. დაასაბუთეთ, თუ რა გავლენას ახდენს ამ ქვეყნების ბედზე ადამიანის სოციალურ პროცესებში მონაწილეობა.

ადამიანის გავლენა სოციალურ პროცესებზე დამოკიდებულია მის შემეცნებასა და ცხოვრებისეულ გაგებაზე. ერთი მხრივ, აქტიური სოციალური მოღვაწეობა ადამიანზე გარკვეულ დადებით გავლენას ახდენს, მეორე მხრივ კი, ადამიანი იმავე საქმიანობაში ეფექტურად მუშაობისათვის საკუთარ თავს ამზადებს და თვითაღზრდით სამუშაოს ეწევა. ზოგადად, ადამიანს, სოციალურ პროცესებში აქტიური და პასიური მონაწილეობის საშუალება აქვს.

აქტიური მონაწილეობის დროს ადამიანი წევრიანდება სხვადასხვა სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ ჯგუფებში. სახელმწიფოს მართვაში უშუალო მონაწილეობას იღებს, საკუთარ კანდიდატურას დააყენებს, სხვა კანდიდატს კი მხარს უჭერს. კეთილსინდისიერად ასრულებს სახელმწიფოს მიერ დაკისრებულ მოვალეობას და ეწევა აგიტაციას.



სკოლაში თქვენ თავს აქტიურ მოწაფედ თვლით? სკოლის ცხოვრების პროცესებში რომელ დონეზე მონაწილეობთ?

პასიური მონაწილეობის დროს პიროვნება თითქმის სოციალური პროცესების დამკვირვებელი ხდება. მან საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებზე საკუთარი აზრიც რომ გამოხატოს, ამ აზრს მაინც ვერ დაიცავს, მაგრამ საერთო არჩევნებში მონაწილეობს, სამხედრო სამსახურს გადის და ა.შ.

დაასაბუთეთ, რომ ჩამოთვლილი საქმიანობის მიხედვით ადამიანი სოციალურ პროცესებში პასიურად მონაწილეობს.



უკანასკნელ პერიოდში მიმდინარე სწრაფი გლობალიზაცია და მასთან დაკავშირებული ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიათა საშუალებების განვითარება ადამიანის სოციალურ პროცესებში მონაწილეობის როლზე დიდ გავლენას ახდენს. ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიათა საშუალებებით (იკტ) ადამიანები მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში უკავშირდებიან ერთმანეთს, ამყარებენ საქმიან ურთიერთობებს. ინფორმირებული საზოგადოების ჩამოყალიბება ადამიანების ცხოვრების სტილს, საზოგადოებაში სოციალურ-კულტურულ პროცესებს ძირფესვიანად ცვლის და მსოფლიოს ცივილიზაციის ახალ ეტაპს აყალიბებს.

თქვენ იკტ-ს საშუალებებს ხმარობთ? რომელი სოციალური ქსელების მომხმარებელი ხართ? როგორ დაახასიათებთ სოციალური ქსელების დადებით და უარყოფით მხარეებს.

გლობალიზაცია გვარწმუნებს, რომ სოციალურ პროცესებში პიროვნების როლი იცვლება. რამდენად დიდ გამოცდილებას იღებს პიროვნება, რამდენადაც აფართოებს იგი საქმიანობისა და კომუნიკაციის სფეროს, იმდენად დინამიურსა და მრავალფეროვანს ხდის საკუთარ მონაწილეობას სოციალურ პროცესებში და ცვლის საკუთარ სოციალურ სტატუსს.

მატერიალური წარმოებიდან ცოდნის წარმოებაზე გადასვლა ადამიანებს საუკეთესო ცოდნით აღავსებს, თანამედროვე ტექნოლოგიების მომხმარებლად, ინფორმაციის მომპოვებლად, კომუნიკაციის დამყარების სპეციალისტად, თანამედროვეობის მოთხოვნათა აღიარების მცოდნედ აყალიბებს, საკუთარ სოციალურ სტატუსს უნარჩუნებს და შემდგომი წინსვლისათვის აუცილებელ წინაპირობებს ქმნის.

გლობალური პრბლემების მატება, უსაფრთხოების საკითხები, ეკოლოგიური პრობლემები, წყლისა და პროდუქტების უკმარისობა, ომები, ტერორიზმთან ბრძოლა და ა.შ. ადამიანებს საერთო ინტერესებს უჩენს და ერთ მუშტად აერთიანებს. ეს პრობლემები, მიუხედავად სოციალური სტატუსისა, ეროვნებისა, რელიგიისა, რასისა, საცხოვრებელი ქვეყნისა სხვადასხვა პიროვნებებს ერთიანი ბრძოლისა და ურთიერთთანამშრომლობისათვის განაწყობს. ამიტომაც, ადამიანების სოციალურ პროცესებში მონაწილეობა, დროთა განმავლობაში, უფრო მეტად აქტუალური ხდება.

რაში ხედავთ გლობალური პრობლემების მატების მიზეზებს?



ასე რომ, საზოგადოების სოციალური ცხოვრება და ადამიანების ამ პროცესებში მონაწილეობა თანაზიარად ვითარდება. ადამიანი, ერთი მხრივ, საკუთარი თვისებებით და უნარით, როგორც წამყვანი ძალა სოციალური პროცესებს ცვლის, მეორე მხრივ კი თავადაც იცვლება.

1. შეადარეთ ორი განსხვავებული აზრი ადამიანის როლის შესახებ სოციალურ პროცესებში. მონახეთ მსგავსება და განსხვავება.
2. როგორ გესმით მცნება “სოციალური სტატუსი”? თქვენი აზრი მაგალითებით განამტკიცეთ.
3. როგორ ცვლის ადამიანს თანამედროვე სოციალური ქსელები? იფიქრეთ და ამის თაობაზე კვლევა ჩაატარეთ.
4. ჩამოთვალეთ მსოფლიოში არსებული გლობალური პრობლემები.
5. როგორც აფასებთ ადამიანის როლს სოციალურ პროცესებში?
6. გაარკვიეთ თქვენთან დაკავშირებული ადამიანების საქმიანობის სფერო და დაწერეთ მასზე ესე.
7. მოამზადეთ პრეზენტაცია “გლობალური პრობლემების მოგვარების გზების” შესახებ.

8.იკტ-ს გამოყენების დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ შეადგინეთ შედარებითი ცხრილი-სქემა.

# 2. სამოქალაქო საზოგადოება

*დღევანდელ დღეს ჩვენ დემოკრატიული ფასეულობების შენარჩუნებისა და ქადაგების ეპოქაში ვცხოვრობთ. დემოკრატიულ სამყაროში მთავარია ადამიანის თავისუფლება, თანასწორობა და ხალხის ნების უზენაესობა. დემოკრატიული პრინციპები რეალურად განხორციელებადია იმ ქვეყნებში, სადაც საკუთარ ხალხთან არსებობს ზოგადი შეთანხმება იმის თაობაზე, რომ სახელმწიფო მისი მოქალაქეების კეთილდღეობას ემსახურება, რომ სახელმწიფო სტაბილური სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების პროცესებით გამოირჩევა. თანამედროვე ეპოქაში დემოკრატიულ პრინციპებს დამატებული თვისებებიდან ერთ-ერთია სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება.*

*რა არის სამოქალაქო საზოგადოება? რისგან შედგება ამ საზოგადოების არსი?*




რთულია იმის დადგენა, თუ როდის შეიქმნა მცნება “სამოქალაქო საზოგადოება”. პირველად, ანტიკური ეპოქიდან დაწყებული, ეს მცნება ნაწარმოებებში სხვადასხვა განმარტებებით იყო გადმოცემული. როცა დღეს ვამბობთ ფრაზას “სამოქალაქო საზოგადოება”, აქ იგულისხმება ეკონომიკურად და კულტურულად განვითარებული, სამართლებრივი და პოლიტიკური უფლებების მქონე საზოგადოება, მაღალი სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და ზნეობრივი სტატუსის მქონე მოქალაქეების საზოგადოება.



ზოგჯერ სახელმწიფოს მართვას სამოქალაქო საზოგადოებასთან აიგივებენ, მაგრამ მათ შორის დიდი განსხვავებაა. ასე რომ, სახელმწიფო განსაკუთრებული მართვის ფორმაა. როცა ვამბობთ სამოქალაქო საზოგადოებას, მასში იგულისხმება მოქალაქეების მიერ საკუთარი სურვილით შექმნილი დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომელიც ემსახურება საზოგადოების საერთო ინტერესებს და სამართლიანობის განმტკიცებას.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სამოქალაქო საზოგადოება ადამიანების სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების პროცესებში თვითგამოხატვის დაცვის და სოციალური სტრუქტურების მართვის სფეროა. ამ მნიშვნელობით სამოქალაქო საზოგადოებას “სამოქალაქო მმართველობა” შეიძლება ვუწოდოთ.

განმარტეთ ცნება “სამოქალაქო მმართველობა”. რატომ შეიძლება ვუწოდოთ სამოქალაქო საზოგადოებას “სამოქალაქო მმართველობა”?

სამოქალაქო საზოგადოება ჩამოყალიბებულია საზოგადოების ინტერესების გამომხატველი ადამიანების და სოციალური ჯგუფების მიერ. ამ საზოგადოების აქტიური წევრებია სხვადასხვა საქველმოქმედო საზოგადოებები, კულტურულ და საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე არასამთავრობოები, ფინანსური ფონდები, შრომითი კოლექტივები, რელიგიური ორგანიზაციები, დამოუკიდებელი მასმედია, დამოუკიდებელი პროფკავშირიული ორგანიზაციები, სპორტული კლუბები, ასოციაციები. მაგალითად, მსოფლიოში ყველაზე ცნობილი საზოგადოებაა ჰეიდარ ალიევის ფონდი, ბილ და მირინდა გეიტსების საქველმოქმედო ფონდი, სოროსის ფონდი, როკფელერის ფონდი, საფინანსო ფონდი და ა.შ.

**ჰეიდარ ალიევის ფონდის ლოგო**

სახელმწიფო სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციონირების მთავარი გარანტი გახლავთ. სახელმწიფოს საქმეა კანონმდებლობის, საგარეო პოლიტიკის, ბიუჯეტის, კავშირგაბმულობის, სატრანსპორტო და ა.შ. სფეროებში მოქალაქეების უფლებების დაცვა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სახელმწიფო საზოგადოებაზე მზრუნველია, მისი სანდო დამცველი გახლავთ. სამოქალაქო საზოგადოების მთავარ პრინციპებს ეფუძნება ლოზუნგი: "საზოგადოება კი არ არის სახელმწიფოსთვის, არამედ სახელმწიფოა საზოგადოებისათვის".

***ტოტალიტარიზმი** – მთლიანს, სრულს, ყველაფრის მომცველს ნიშნავს.

სამოქალაქო საზოგადოება ღია დემოკრატიული, დამოუკიდებელი, განვითარებული საზოგადოებაა. ის სოციალური ურთიერთობების სისტემაა, სადაც ადამიანები სოციალური, ეკონომიკური, რელიგიური, ზნეობრივი და კულტურული ინტერესებით არიან გაერთიანებული. აქ ადამიანი, მოქალაქე, პიროვნება მთავარ ადგილს იკავებს. სამოქალაქო საზოგადოება ადამიანების პოლიტიკურ პოზიციაზე მეტად ეკონომიკურ და სხვა ყოფით სფეროებში მოღვაწეობით განისაზღვრება. ამიტომაც, სამოქალაქო საზოგადოება სოციალურ, კულტურულ და რელიგიურ მტრობაზე, ტოტალიტარიზმზე*, ადამიანების მიმართ ძალადობაზე უარს აცხადებს. ეს საზოგადოება ემსახურება ზნეობის და ჰუმანიზმის პრინციპებს, პატივს სცემს კანონებს, სახელმწიფოსთან მჭიდრო კავშირს ამყარებს. ამიტომაც, დემოკრატიული პრინციპების რეალურად განხორციელება საზოგადოების საფუძვლების ერთ-ერთი საყრდენი გახლავთ.

ფაქტებით დაასაბუთეთ, რომ დემოკრატიული პრინციპების რეალურად განხორციელება გავლენას ახდენს სამოქალაქო საზოგადოებაზე.

რატომ ითვლება დემოკრატია სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების ერთ-ერთ მთავარ პრინციპად? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრებები.

სამოქალაქო საზოგადოება განსაზღვრავს საზოგადოების სოციალურ და ეკონომიკურ განვითარების მიმართულებას, ახდენს მოქალაქეების სოციალურად სასარგებლო საქმიანობის სტიმულირებას და მის სწორ ორიენტირებას. ცდილობს მათი უფლებების, საკუთრების, ღირსებისა და პატიოსნების შენარჩუნებას, საზოგადოების ყველა სფეროში დემოკრატიის ჩამოყალიბებას, ტერიტორიების შენარჩუნებას და შინაგანი კანონებისა და წესების მოგვარებას. ეს საზოგადოება, უპირველესად ყოვლისა, მოქალაქეების ინტერესებს, მოთხოვნილებებს, თავისუფლებას, სურვილებს აერთიანებს და მათ აზრს გამოხატავს.

სამოქალაქო საზოგადოებას თავისი კრიტერიუმები აქვს. იგი საზოგადოების განვითარების მაღალი ეტაპია, რომელიც ადამიანების არაპოლიტიკური მოთხოვნილებებიდან გამომდინარეობს. ამიტომაც, სამოქალაქო საზოგადოება მაღალი სოციალური და პოლიტიკური კულტურის, აქტიური პოზიციის მქონე პიროვნებებისაგან შედგება და ნამდვილ დემოკრატიას ასახავს. ამდენად, დღეს სამოქალაქო საზოგადოება დემოკრატიით, ადამიანის უფლებების და მოქალაქის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფით სოციალური მმართველობის საუკეთესო საშუალებად ითვლება.

რატომ ითვლება სამოქალაქო საზოგადოება სოციალური მმართველობის საუკეთესო საშუალებად? თქვენი მოსაზრებები დაამტკიცეთ ფაქტებზე დაყრდნობით.

სამოქალაქო საზოგადოების მთავარი სუბიექტი არის ადამიანი და მისი ფასეულობების სისტემა. ამ საზოგადოების მთავარი მიზანი სახელმწიფოს მიზნებს ემთხვევა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მთავარი ფაქტორები, როგორიცაა პიროვნების მოთხოვნების დაკმაყოფილება, ინტერესების და უფლებების დაცვა სახელმწიფოსა და სამოქალაქო მმართველობას ერთმანეთთან აახლოებს. სამოქალაქო საზოგადოებაში, სახელმწიფოსაგან განსხვავებით, არ არის მკაცრად განსაზღვრული დამორჩილების სისტემა, არამედ არის დამოუკიდებელი და თანაბარუფლებიანი ადამიანების ურთიერთთანამშრომლობა და ჯანსაღი კონკურენტული ურთიერთობები.

სამოქალაქო საზოგადოება პოლიტიკური რეჟიმის სტაბილურობის საფუძველია, რომელიც სახელმწიფო მმართველობის საძირკველს წარმოადგენს. მისი დასუსტება საზოგადოების არსებობისათვის ზიანის მომტანია.

რატომ უნდა იყოთ დაინტერესებული სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში?

თანამედროვე ეპოქაში სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა სახელმწიფო მმართველობის ტრადიციულ ინსტიტუტებზე დაყრდნობა, ხალხის ზნეობრივი და ეროვნული ფასეულობების დაცვას ნიშნავს. საზოგადოების სოციალურ, კულტურულ და ზნეობრივ სფეროებში მოღვაწეობა, თაობიდან თაობაზე გადაცემის უზრუნველყოფა როგორც სახელმწიფოს მთავარი ფუნქციაა, ასევე სამოქალაქო საზოგადოების მოვალეობასაც წარმოადგენს.

ასე რომ, სამოქალაქო საზოგადოება მაღალ დონეზე განვითარებული განსაკუთრებული ღია საზოგადოებაა, რომელსაც ქვემოთ ჩამოთვლილი თვისებები აქვს.




1. თქვენი აზრით, რომელი მოვალეობებით შეუძლია მოქალაქის დავალდებულება სახელმწიფოს? ჩამოთვალეთ ეს მოვალეობები.
2. შეგიძლიათ შექმნათ ისეთი ორგანიზაცია, რომელიც საზოგადოების სოციალურ ყოფაზე გავლენას მოახდენს?
3. ფაქტებით განმარტეთ, რომ სამოქალაქო საზოგადოება დემოკრატიას ეფუძნება.
4. შეაფასეთ სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობა.
5. განსაზღვრეთ სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების დადებითი მხარეები და შეადგინეთ სქემა.
6. დაადგინეთ ის ფაქტორები, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელ გარემოს ქმნიან.
7. დაწერეთ ესე: “მე საზოგადოების ერთი ნაწილი ვარ”.

# 3. სამოქალაქო საზოგადოების დემოკრატიული პრინციპები

ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი ცნობილი პრეზიდენტი აბრაამ ლინკოლნი დემოკრატიის თაობაზე ასე ამბობდა: “დემოკრატია არის ხალხისათვის შექმნილი ხალხის ხელისუფლება”.

რა არის ხალხის ან საზოგადოების დემოკრატიულად მართვის მნიშვნელობა? რომელი დემოკრატიული პრინციპები არსებობს იმ საზოგადოებაში, სადაც გათვალისწინებულია მოქალაქეთა აზრი?


თავისუფლების ქანდაკება აშშ-ში

როცა სამოქალაქო საზოგადოებას ვამბობთ, ვგულისხმობთ დემოკრატიული საქმიანობითა და მოღვაწეობით განსხვავებულ გარემოს. ეს სამართლებრივი თვალსაზრისით დამოუკიდებელი და თანაბარუფლებიანი ადამიანების კონკურენტული და, ამავდროულად, ურთიერთთანამშრომლობის გარემოა. ამიტომაც, ასეთი გარემოს მთავარი მოთხოვნა დემოკრატიული პრინციპების განუხრელად განხორციელებაა.

სამოქალაქო საზოგადოების წამყვანი ელემენტები სოციალური საქმიანობის სხვადასხვა სფეროს მოიცავენ. ისინი საზოგადოების სოციალურ, პოლიტიკურ სამყაროში, ძირითადად, გარემოცულია ოჯახური, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სფეროებით. სამოქალაქო საზოგადოებები, საკუთარ საქმიანობაში, საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოების შექმნას, საზოგადო მოსაზრებების ჩამოყალიბებას, ამავდროულად, სოციალური კონფლიქტების გადაწყვეტას ითვალისწინებენ. ასეთი ტიპის საზოგადოება, არასამთავრობო ორგანიზაციების, დამოუკიდებელი მასმედიის საშუალებების ჩამოყალიბებულ ინტერესებს კონსტიტუციურ და სახელმწიფო კანონების ჩარჩოებში მოაქცევს და ცივილურ ფორმაში გამოხატვის გამოცდილებას აყალიბებს.



სამოქალაქო საზოგადოების მთავარი ფაქტორია სიტყვის და აზრის გამოხატვის დამკვიდრება. ამავდროულად, მოქალაქეების მიერ საკუთარი აზრის წარმოთქმის შეუზღუდავი უფლება სამეცნიერო და სხვა გაერთიანებების განვითარების მთავარი საფუძველი გახლავთ. ამ თვალსაზრისით, დემოკრატიული პრინციპების განხორციელების მთავარი პირობა გახლავთ სამოქალაქო საზოგადოეის გაძლიერება.

რატომ მოითხოვს სამოქალაქო საზოგადოება ძლიერ დემოკრატიულ გარემოს? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრებები.

"დემოკრატია" ბერძნული სიტყვაა და "ხალხის ხელისუფლებას" ნიშნავს. პირველად ასეთი ტიპის მმართველობა ძველბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოებში იყო შექმნილი. მაგრამ იმ დროს არსებული "დემოკრატია" იყო "მონათმფლობელური დემოკრატია". ასე რომ, სახელმწიფოს მართვა შეეძლო მხოლოდ ქვეყნის თავისუფალ მოქალაქეს.

თანამედროვე დემოკრატიის საფუძველს ხალხის ხელისუფლების ცნობილი პოლიტიკური მმართველობის მეთოდი წარმოადგენს. მისი მთავარი ფაქტორებიდან ერთ-ერთი ხელისუფლების ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ შტოებად განცალკევება გახლავთ და აქ მთავარია კანონებისა და კონსტიტუციის ზეობა. საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებმა დაადასტურეს, რომ ეს პრინციპი დიქტატურის წარმოაქმნისათვის დაბრკოლებას წარმოადგენს. საზოგადოება ცდილობს დაამკვიდროს ქვეყნის გამჭვირვალე მმართველობის ფორმები, აკვირდება ხელისუფლების წარმომადგენლების საქმიანობას. ასეთ საზოგადოებაში სამთავრობო სხდომების ღიად ჩატარება, დეკლარაციების მომზადება, მასმედიის მოღვაწეობა, სახელმწიფო მოხელეთა თვითანგარიში საკუთარი საქმიანობის შესახებ და მათი მდგომარეობის დეკლარირება სამოქალაქო საზოგადოების ცონტროლს ექვემდებარება.

ხელისუფლების მთავარი წყარო ხალხია. სახელმწიფოს შექმნასა და მართვაზე უფლებების ხალხისათვის დელეგირება დემოკრატიულ პრინციპად ითვლება.

რა როლი გააჩნია საზოგადოებას სახელმწიფოს მართვაში



**აზერბაიჯანის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს შენობა.**

ამ პრინციპის მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ თითოეული მოქალაქე ,გარკვეული ასაკის მიღწევის შემდეგ, უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფოს მართვაში. ამიტომაც, ხელისუფლების მთავარი საფუძველი გახლავთ ადამიანების თანაბარი უფლებამოსილება პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობისას, სახელმწიფო ორგანოებში წარმომადგენლების შერჩევა. სწორედ ამ მიზნით იცავს სახელმწიფო ადამიანის უფლებებს და უზრუნველყოფს მათ დამოუკიდებლობას.

**აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუცია 56-ე მუხლი. არჩევნების უფლება**

I. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეს უფლება აქვს აირჩიოს და არჩეულ იქნას სახელმწიფო მართვის ორგანოებში, მიიღოს მონაწილეობა რეფერენდუმებში.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციაში ასახულია ადამიანის უფლებების უზენაესობა. დემოკრატიულ საზოგადოებაში თითოეულ მოქალაქეს საკუთარი პოზიცია გააჩნია. მათი ხორცშესხმა უმრავლესობის პრინციპებს ეფუძვნება. მაგრამ სახელმწიფო, თავისი კანონებით, უმცირესობებს, დემოკრატიული ორგანიზაციების მეშვეობით, მათი ნების გამოხატვის უფლებას აძლევს.



*პლურალიზმი – ერთ საკითხზე სხვადასხვა მოსაზრებების არსებობა; მრავალგვარი შეხედულება

ამ მნიშვნელობით სამოქალაქო საზოგადოებაში სხვადასხვა აზრის, შეხედულებების, იდეების, მოსაზრებების საფუძველზე ჩამოყალიბებული პლურალიზმი მთავარი პრინციპებიდან ერთ-ერთი გახლავთ*.

დემოკრატიულ საზოგადოებაში უმცირესობასა და უმრავლესობას შორის ბალანსის შენარჩუნება, მეტიც – თანასწორობა, ერთერთი სავალდებულო ფაქტორი გახლავთ. ასეთ საზოგადოებაში მყარდება რწმენა მოქალაქეთა თანასწორობის თაობაზე. დემოკრატიული საზოგადოების საფუძველია იდეები, პოზიციების თავისუფლება, საქმიანობის დამოუკიდებლობა, თავისუფალი კონკურენცია.

თქვენი აზრით, რატომაა აუცილებელი ფაქტორებიდან ერთ-ერთი უმცირესობასა და უმრავლესობას შორის ბალანსის შენარჩუნება? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრებები.

ამჟამად სამოქალაქო კონტროლის რეალურად განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების მქონე სახელმწიფოებში.

იმიტომ, რომ ასეთ საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის პრინციპული განსხვავება არ არსებობს. სახელმწიფოს სტრუქტურებთან და მექანიზმებთან საზოგადოების თანამშრომლობის ასპექტები ერთმანეთს რომც არ დაემთხვეს, "პიროვნებისა და სახელმწიფოს" ურთიერთობებში, სახელმწიფო ყოველთვის წინ დააყენებს პიროვნების ინტერესებს.

სამოქალაქო საზოგადოებაში დომინირებული დემოკრატიული პრინციპებიდან ერთ-ერთი გახლავთ დამოუკიდებელი ეკონომიკური გარემოს შექმნა. ასეთ საზოგადოებაში მოქალაქეებს თავიანთი კეთილდღეობისთვის, სახელმწიფოსათვის გადასახადების გადახდის პირობით, თავისუფლად და დამოუკიდებლად შეუძლიათ ეკონომიკური საქმიანობის წარმოება, საკუთრებისა და შემოსავლების დამოუკიდებლად გამოყენება.



გადასახადები თუ არ იქნება გადახდილი, რა სახის სირთულეები იჩენენ თავს? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრებები/

სამოქალაქო საზოგადოებაში მოქალაქეები, უამრავი დამოუკიდებელი ორგანიზაციების დახმარებით, კოლექტიურად აგვარებენ პრობლემებს და საკუთარ აზრს გამოხატავენ. ასეთი ორგანიზაციები მოქალაქეებსა და სახწელმწიფოს შორის ურთიერთობებს აგვარებენ და სახელმწიფოს პიროვნებაზე გაბატონების მავნებლურ პროცესებს ხელს უშლიან.

სამოქალაქო საზოგადოება ეფუძნება ქვემოთ ჩამოთვლილ პრინციპებს:

1. ეკონომიკური თავისუფლება, საბაზრო ურთიერთობათა განმტკიცება, საკუთრების სხვადასხვა ფორმების არსებობა.

2. ადამიანის უფლებების და სამოქალაქო თავისუფლების დაცვა და უზრუნველყოფა.

3. კანონის უზენაესობა და კანონის წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობა.

4. დემოკრატიული და ლეგიტიმური სახელმწიფოს არსებობა, მმართველობის დაყოფის პრინციპები.

5. დემოკრატიული, სოციალური, ცივილური ინსტიტუტების მქონე სახელმწიფოთა ჩამოყალიბება.

6. პოლიტიკური, იდეოლოგიური და კულტურული პლურალიზმი.

7. აზრისა და სიტყვის თავისუფლების არსებობა, დამოუკიდებელი მასმედიის საშუალებები, თავისუფალი პრესის მოღვაწეობა.

8. სახელმწიფოს მხრიდან მოქალაქეთა პირად და საზოგადო ცხოვრებაში ჩაურევლობა, მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის არსებული ურთიერთვალდებულებების მიმართ პასუხისმგებლობა.

9. ეროვნული შერიგება, კომპრომისი, ურთიერთთანამშრომლობა.

10. პიროვნების ღირსეული ცხოვრების სარგებლიანი სოციალური პოლიტიკით უზრუნველყოფა.



სამოქალაქო საზოგადოების მთავარი პრინციპები დაუკავშირეთ ერთმანეთს. წარმოადგინეთ მათი ურთიერთდამაკავშირებელი ფაქტორე-

ასე რომ, სამოქალაქო საზოგადოებაში დემოკრატიული ფასეულობები ურთიერთთანაბარია. მეტიც – სამოქალაქო საზოგადოება ქვეყანაში დემოკრატიულობის დონესაც განსაზღვრავს. ის, ერთის მხრივ, სოციალურ-ეკონომიკურ, მორალურ, მეორე მხრივ კი ცხოვრების პოლიტიკურ მხარეებს აერთიანებს. რამდენადაც განვითარებული იქნება სამოქალაქო საზოგადოების წევრების თვითშემოქმედება, გაერთიანებებათა ფუნქციონირების ურთიერთგანსხვავების თვალსაზრისით, იმდენად უზრუნველყოფილი ხდება სახელმწიფოში დემოკრატიული პროცესების წინსვლა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რამდენადაც მიდრეკილი იქნება დემოკრატიზმისაკენ პოლიტიკური წყობილება, იმდენად იქნება უზრუნველყოფილი სამოქალაქო საზოგადოების განვითარების პროცესები.

1. შეადარეთ დემოკრატიულობის პრინციპები სამოქალაქო საზოგადოების პრინციპებთან. წარმოადგინეთ მათ შორის არსებული განსხვავებები და მსგავსებები.
2. "სამოქალაქო საზოგადოება თანამედროვეობის პროგრესული მართვის მეთოდად ითვლება". დაადასტურეთ ამ მოსაზრების ჭეშმარიტება.
3. შეაფასეთ ვარაუდი იმის თაობაზე, რომ სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებასთან ერთად შემცირდება სახელმწიფოს მეთვალყურეობა საზოგადოებაზე.
4. აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციაში ადამიანის უფლებების დამცველი მუხლები აირჩიეთ და გამოაცალკევეთ. დაამტკიცეთ, რომ ამ მუხლების მოთხოვნები ხორციელდება.
5. ბერძნული დემოკრატია შეუდარეთ თანამედროვე მსოფლიო დემოკრატიას და გააკეთეთ შედარებითი ანალიზი. წარმოადგინეთ მათი ურთიერთმსგავსება და განმასხვავებელი თვისებები.

# 4. ადამიანის უფლებები

გამორჩეულ ლიდერს ჰეიდარ ალიევს უთქვამს: "ადამიანის უფლება თითოეული ადამიანის უფლებას წარმოადგენს და ეს, ამავე დროს, თითოეული ერის უფლებაცაა".



ადამიანის უფლებები ან დაცულია, ან დარღვეული უფლებების დასაცავად მიმდინარეობს ბრძოლა. ადამიანის უფლებები ადამიანის ძირითად მოთხოვნებთანაა დაკავშირებული. ადამიანის მოთხოვნებს არა მხოლოდ სასიცოცხლოდ აუცილებელი მოთხოვნები წარმოადგენენ, არამედ, ეს მცნება, უფრო ვრცლად უნდა აღვიქვათ. აღნიშნული მოთხოვნები უშუალოდაა დაკავშირებული ადამიანის მატერიალურად და მორალურად ღირსეულად ცხოვრების უზრუნველყოფასთან.

სიტყვა "უფლება" არაბულ ენაზე "ჭეშმარიტებას" ნიშნავს. ადამიანის უფლებების იდეის ისტორია ანტიკური პერიოდიდან იღებს სათავეს. უძველესი დროიდან ადამიანები აპირებდნენ ისეთი სახელმწიფოს შექმნას, რომლის მთავარი პრინციპი იქნებოდა ადამიანის ღირსებისადმი პატივისცემა.

რა გავლენას ახდენს ადამიანების ცხოვრებაზე ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ძირითადი კანონების მიღება. რატომ შეიქმნა ადამიანის უფლებები და რატომ გადაიქცა იგი არსებობის ძირითად ფაქტორად?

ისეთი ქვეყნის შექმნის იდეამ, სადაც მთავარი იქნებოდა ადამიანის ღირსების დაცვა და მისი თავისუფლების უზრუნველყოფა, თანამედროვე ეპოქაში, ძირითადად, ადამიანის უფლებათა მცნება ჩამოაყალიბა და ცხოვრების ძირითად ნაწილად აქცია.

ადამიანის უფლებების დაცვის საკითხი თითქმის მსოფლიოს ყველა ქვეყნის მიერაა აღიარებული. ზოგიერთ ქვეყანაში ხელისუფალნი ადამიანის უფლებებს ფეხქვეშ თელავენ და ბოროტად იყენებენ სამხედრო ძალას მასების ეკონომიკური დათრგუნვისათვის. მცნება “ადამიანის უფლებები” გვხვდება ჯერ კიდევ 1789 წელს საფრანგეთში მიღებულ “ადამიანის და მოქალაქის უფლების შესახებ დეკლარაციაში”.

ადამიანის უფლებები ეფუძვნება ძირითად უფლებებზე საერთაშორისო შეთანხმებებს და კონსტიტუციაში ასახულია როგორც ადამიანის ურღვევი უფლება. საერთაშორისო სფეროში ადამიანის უფლებები გაეროს დეკლარაციითაა დაკანონებული:

რას წარმოადგენენ გაეროს მიერ მიღებული დოკუმენტები ადამიანის უფლებების თაობაზე?

ადამიანის უფლებები, კაცობრიობის თანასწორუფლებიანობის იდეიდან გამომდინარე შემდეგნაირად ხასიათდება:

**გაეროს შენობა ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ნიუ იორკში**



ყველა ადამიანს, მიუხედავად რასისა, სქესისა, ენისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული და სოციალური წარმოშობისა, საკუთრების ფლობისა, დაბადებისა და სხვა შემთხვევებისა, ადამიანის უფლებებით უზრუნველყოფისა და დამოუკიდებლად არსებობის უფლება აქვს.

ადამიანის უფლებები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: მატერიალური და საპროცესო უფლებები.

***მატერიალური უფლებები*** – *საკუთარ თავში მოიცავს სამოქალაქო უფლებებს, პოლიტიკურ უფლებებს, ეკონომიკურ და სოციალურ უფლებებს, ამავდროულად, კულტურულ უფლებებსაც. ესენი ქვემოთ მოყვანილი წესებით კლასიფიცირდებიან:*

***სამოქალაქო უფლებები*** – *ყოველი ადამიანის თანასწორობა კანონის წინაშე, მოქალაქეობის უფლება, პატივისცემის და საკუთარი ღირსების უფლება, სიტყვის, სინდისის და რელიგიური რწმენის თავისუფლება.*

***პოლიტიკური უფლებები*** – *მმართველი ორგანოების მიერ მიღებულ დადგენილებათა შექმნაში მონაწილეობის მიღების უფლება. არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება, პარტიის, პროფკავშირული ორგანიზაციის შექმნის და მათ საქმიანობაში მონაწილეობის მიღების უფლება, მიტინგების და საპროტესტო აქციების გამართვის უფლება.*

***ეკონომიკური და სოციალური უფლებები*** – *სამართლიანი და მშვიდად შრომის უფლება, სამეცნიერო დარგში მიღწეული წარმატებების გამოყენების უფლება, პროფესიული ორგანიზაციების შექმნის უფლება, არდადეგებით სარგებლობის უფლება, განათლების მიღებისა და ჯანმრთელობის დაცვის უფლება.*

*კულტურული უფლებები* – საზოგადოების მატერიალურ ცხოვრებაში მონაწილეობა, სამეცნიერო მიღწევათა გამოყენების უფლება.

*საპროცესო უფლებები* – ადამიანთა თვითნებობისაგან დამცავი მეთოდების და სათანადო დაწესებულებათა უფლებამოსილებების კრებულია. ამ უფლებებში შედის სასამართლოსადმი მიმართვის უფლება, რეფერენდუმის ჩატარების უფლება და ა.შ.

ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენცია ძალაში შევიდა 1953 წლის 3 სექტემბერს. ევროსაბჭოს წევრი და ამ კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოები 1948 წლის 10 დეკემბერს შეთანხმდნენ გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული ადამიანის უფლებათა შესახებ საყოველთაო დეკლარაციათა მოთხოვნების შესაბამისად. შეთანხმებაზე ხელმომწერი მხარეები ძირითადად ითვალისწინებდნენ დეკლარაციის მიზანს, გამოცხადებული უფლებების ცნობას და მათ განხორციელებას, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების მხარდაჭერას.

დეკლარაციის მუხლები ემსახურება ადამიანის უფლებების დაცვასა და მათ პატივისცემას. იქ აღნიშნულია:

***მუხლი 2. სიცოცხლის უფლება***

1. ***თითოეული ადამიანის სიცოცხლის უფლება კანონითაა დაცული. ნების მიერი ადამიანისათვის სიცოცხლის წართმევა დაუშვებელია, გარდა სასამართლოს მიერ მიღებული განაჩენის განხორციელებისას, იმ პირების მიმართ, ვისაც გამოტანილი აქვს სასიკვდილო განაჩენი.***

***ეს უფლება ასახულია აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციის 27-ე მუხლში.***

***I. თითოეულ ადამიანს აქვს სიცოცხლის უფლება.***

2. ***II. თითოეული ადამიანის სიცოცხლე ხელშეუხებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ხდება სახელმწიფოზე თავდასხმისას მტრის შეიარაღებული ჯარისკაცების განადგურება, სასამართლოს განაჩენის საფუძველზე სიკვდილით დასჯის განხორციელება და კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევების აღსრულება.***

1953 წლის 3 სექტემბერს მიღებულ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაში აღნიშნულია:

**მუხლი 5. თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლებები**

1. თითოეულ ადამიანს აქვს თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება. ნებისმიერი ადამიანისათვის თავისუფლების წართმევა დაუშვებელია, გარდა კანონით განსაზღვრული ქვემოთ მოცემული შემთხვევებისას:
ა) უფლებამოსილი სასამართლოს მიერ მსჯავრის დადების შემდეგ პიროვნების დაპატიმრება.

ბ)სასამართლოს მიერ მიღებული განაჩენის განხორციელების, ან კანონით გათვალისწინებული დაკისრებული ვალდებულებების განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით პიროვნების კანონიერად დაკავება და დაპატიმრება.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციაში, რომელიც არის ძირითადი უფლებრივი დოკუმენტი, ამ უფლებების შესახებ სწერია:

**მუხლი 28. თავისუფლების უფლება**

I. თითოეულ ადამიანს აქვს თავისუფლების უფლება.
II. თავისუფლების უფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონის საფუძველზე – დაკავებით, დაპატიმრებით და თავისუფლების აღკვეთის გზით.
III. თითოეულ ადამიანს, რომელიც კანონიერად იმყოფება აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, შეუძლია თავისუფლად გადაადგილება, თავისი საცხოვრებელი ადგილის შერჩევა და აზერბაიჯანის ტერიტორიის საზღვრის გადაკვეთა.
IV. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეს ყოველთვის აქვს თავის სამშობლოში დაუბრკოლებლად დაბრუნების უფლება.

ადამიანის უფლებათა და ძირითადი თავისუფლების დაცვის ევროპულ კონვენციაში ძირითადი ადგილი უჭირავს სამართლიანი სასამართლოს უფლებას, უკანონოდ დასჯის დაუშვებლობას, აზრის გამოხატვის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებას და ა.შ.

შეიძლება თუ არა მივიჩნიოთ სამართლიანად ადამიანის უფლებათა და ძირითადი თავისუფლების დაცვის ევროპული კონვენციის მიერ მიღებული დეკლარაცია? შეაფასეთ ამ დეკლარაციაში მოცემული მუხლები.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციის მესამე თავში გამოქვეყნებულია მუხლი სათაურით: “ადამიანისა და მოქალაქის ძირითადი უფლებები და თავისუფლება”. ეს თემები იწყება 24-ე მუხლიდან და გრძელდება 71-ე მუხლამდე: “ადამიანის და მოქალაქის უფლებები და თავისუფლების ძირითადი პრინციპები”, “თანასწორობის უფლება”, “ადამიანის და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლების დაცვა”, “საკუთრების უფლება”, “უსაფრთხო ცხოვრების უფლება”, “ქორწინების უფლება”, “შრომის უფლება”, “დასვენების უფლება”, “ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება”, “განათლების უფლება”, “სინდისის თავისუფლება”, “მოქალაქეობის უფლება”, “არჩევნების უფლება” და ა.შ.



თემიდას ბიუსტი

ჩამოთვლილ ამ მუხლებს რატომ მიაკუთვნებენ ადამიანის ძირითად უფლებებს? რამდენად იდენტურია აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუცია საერთაშორისო დონეზე მიღებული ადამიანის უფლებათა დაცვის დოკუმენტთან? აღნიშნეთ მსგავსება მათ შორის.

ჩვენი კონსტიტუციის 56-ე მუხლში “არჩევნების უფლების” შესახებ, აღნიშნულია:

**ჩვენი კონსტიტუციის 56-ე მუხლში “არჩევნების უფლების” შესახებ, აღნიშნულია:**

I. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეებს უფლება აქვთ მიიღონ მონაწილეობა სახელმწიფო ორგანოების არჩევნებში და თავად იქნენ არჩეული ამ ორგაონებში, აგრეთვე, მიიღონ მონაწილეობა რეფერენდუმებში.
II. პირებს, რომელთაც სასამართლოს დადგენილებით არ გააჩნიათ მუშაობის უნარი, არ შეუძლიათ მონაწილეობის მიღება არჩევნებსა და რეფერენდუმებში.
III. სამხედრო მოსამსახურეებს, მოსამართლეებს, სახელმწიფო მოსამსახურეებს, რელიგიურ მოღვაწეებს, სასამართლოს ბრძანებით თავისუფლებაწართმეულ პირებს და კონსტიტუციითი ან კანონით გათვალისწინებულ სხვა პირებს, სასამართლოს დადგენილებით შეიძლება შეეზღუდოთ არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

არჩევნების ჩატარებისას მასში მონაწილეობის მიღების უფლება ადამიანის უფლებათა ძირითადი შემადგენელი ნაწილია. ჩვენი სახელმწიფო, რომელიც თვლის, რომ ხალხი ხელისუფლების წყაროა, თვითეულ ადამიანს უქმნის შესაბამის პირობებს არჩევნებში მონაწილეობისათვის. აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ხმის მიცემის უფლება განსაზღვრულია 18 წლის მოქალაქეებისათვის. ჩვენს რესპუბლიკაში არჩევნების ჩატარებას ახორციელებენ საარჩევნო კომისიები, რომელთაც ხელმძღვანელობს ცენტრალური საარჩევნო კომისია. მთლიანად არჩევნების კანონიერად ჩატარებას არეგულირებს აზერბაიჯანის რესპუბლიკის საარჩევნო კოდექსი.

თქვენ ახლა იმ ასაკში ხართ, რომ შეგიძლიათ დაემშვიდობოთ სკოლას და გამოიყენოთ სხვადასხვა ხელობის შესწავლის უფლება.

**თემიდა ანტიკურ რომში სამართლიანობის ღმერთად მიიჩნეოდა**

თქვენ უფლება გაქვთ აწარმოოთ სხვადასხვა კანონიერი საქმიანობა, რათა შეიქმნათ უკეთესი საცხოვრებელი პირობები. ალბათ თქვენი რიგებიდან მეწარმეებიც გამოვლენ, რომელთა საქმიანობასაც უფლებრივი გზით უზრუნველყოფს ჩვენი კონსტიტუცია.

**მუხლი 59. თავისუფალი მეწარმეობის უფლება.**

კანონით გათვალისწინებული წესის საფუძველზე ნებისმიერ ადამიანს შეუძლია გამოიყენოს საკუთარი საშუალებები, უნარი, ქონება, მარტო, ან სხვებთან ერთად, თავისუფალი მეწარმეობის გზით, ანდა დაკავებული იყოს კანონით დაშვებული სხვა ეკონომიკური სახის საქმიანობით.

შრომითი უფლების შესაბამისად, რომელი წლის ასაკიდან შეიძლება გაუფორმდეს პიროვნებას შრომითი ხელშეკრულება? რა არის თავისუფალი მეწარმეობის უფლების უზრუნველყოფის მთავარი მიზანი? ჩვენს კონსტიტუციაში რა მნიშვნელობა ენიჭება ამ უფლებათა გამოყენებას?

რისგან შედგება აზერბაიჯანის რესპუბლიკის მიერ საერთაშორისო კონვენციებში მიერთების სფეროში მიღწეული წარმატებები?

აღსანიშნავია, რომ დღემდე აზერბაიჯანის რესპუბლიკა ადამიანის უფლებათა სფეროში მიუერთდა უამრავ საერთაშორისო კონვენციასა და შეთანხმებას. ესენია: 1966 წლის სამოქალაქო უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტი, 1966 წლის ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტი, 1989 წლის გაეროს ბავშთა უფლებების კონვენცია, 1952 წლის გაეროს ქალთა პოლიტიკურ უფლებათა შესახებ კონვენცია, 1979 წლის გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ უთანასწორობის ყველანაირი ფორმის გაუქმების თაობაზე, 1965 წლის რასისტული უთანასწორობის ყველანაირი ფორმის გაუქმების თაობაზე საერთაშორისო კონვენცია და ა.შ. ამასთან ერთად, 2001 წლის 25 იანვარს აზერბაიჯანი გახდა ევროსაბჭოს სრულუფლებიანი წევრი და ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციას მოაწერა ხელი.

როგორც თითოეულ დემოკრატიულ ქვეყანაში, ისევე უფლებრივადაა დაცული აზერბაიჯანში ადამიანის ძირითადი უფლებები. ეს უფლებები ასახულია როგორც საერთაშორისო დონის დოკუმენტებში, ასევე აზერბაიჯანის უფლებრივ დოკუმენტში – კონსტიტუციაში.

1. თქვენი აზრით, შესაძლებელია თუ არა სრულად იქნეს დაცული ადამიანის უფლებები?
2. იცით თუ არა თქვენი საკუთარი უფლებები? შეადგინეთ თქვენი უფლებების ჩამონათვალი.
3. როგორ იცავთ თქვენს უფლებებს?
4. რა არის ზოგი ადამიანის უფლებების დარღვევის მიზეზი?
5. მოამზადეთ პრეზენტაცია ადამიანის უფლებების დაცვაზე ეროვნულ უფლებრივ დოკუმენტებზე დაყრდნობით.
6. შეაგროვეთ ინფორმაცია და სისტემატურად წარმოადგინეთ ხოლმე დასკვნები ადამიანის ძირითად უფლებათა შესახებ.
7. შეადგინეთ სქემა და შეადარეთ ერთმანეთს აზერბაიჯანის რესპუბლიკის და საერთაშორისო დონეზე მიღებული ადამიანის ძირითად უფლებათა დაცვის შესახებ დოკუმენტები.

დაასრულეთ ცხრილი:

| მატერიალური უფლებები | | | |
|---|---|---|---|
| სამოქალაქო უფლებები | პოლიტიკური უფლებები | კულტურული უფლებები | ეკონომიკური და სოციალური უფლებები |
| | | | |

## დანართი
## აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუცია
## ადამიანის და მოქალაქის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები

**მუხლი 24. ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა და თავისუფლებების ძირითადი პრინციპები.**

I. თითოეული ადამიანს, დაბადებიდან, ხელშეუხებლობის ურღვევი და განუყრელი უფლებები გააჩნია.

II. უფლებები და თავისუფლება თითოეულ ადამიანს საზოგადოებისა და სხვა პირების წინაშე პასუხისმგებლობას და მოვალეობას აკისრებს.

**მუხლი 25. თანასწორობის უფლება.**

I. ყველა თანაბარია კანონისა და სასამართლოს წინაშე.

II. კაცსა და ქალს ერთნაირი უფლება და თავისუფლება გააჩნიათ.

III. სახელმწიფო უზრუნველყოფს თითოეული ადამიანის უფლებასა და თავისუფლების თანასწორობას მიუხედავად რასისა, ეროვნებისა, რელიგიისა, ენისა, სქესისა, სოციალური წარმოშობისა, საკუთრებისა, სამსახურეობრივი მდგომარეობისა, რწმენისა, პოლიტიკური კუთვნილებისა, პროფკავშირსა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში წევრობისა. ადამიანისა და მოქალაქის უფლებისა და თავისუფლების შეზღუდვა აკრძალულია მიუხედავად მისი რასისა, ეროვნებისა, რელიგიისა, ენისა, სქესისა, წარმოშობისა, რწმენისა და პოლიტიკური და სოციალური კუთვნილებისა.

IV. არცერთ ადამიანს არ შეიძლება ზიანი მიაყენო ამავე მუხლის მესამე ნაწილში მოცემული საფუძვლებზე დაყრდნობით და, ასევე, ამ საფუძვლების გამოისობით, არ შეიძლება პიროვნებას გაეწიოს რაიმე შეღავათები, პრივილეგიები, ან მან უარი განაცხადოს ამ საფუძველზე მისადმი მინიჭებულ შეღავათებსა და პრივილეგიებზე.

V. თითოეული ადამიანი უზრუნველყოფილია თანაბარი უფლებებით სასამართლოსა და დადგენილების გამომტანი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა და რწმუნებულებთან ურთიერთობაში.

**მუხლი 26. ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლების დაცვა**

I. თითოეულ ადამიანს უფლება აქვს კანონით დაშვებული მეთოდებითა და საშუალებებით დაიცვას საკუთარი უფლებები და თავისუფლება.
II. სახელმწიფო უზრუნველყოფს თითოეული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვას.

**მუხლი 27. სიცოცხლის უფლება**

I. თითოეულ ადამიანს გააჩნია სიცოცხლის უფლება.
II. თითოეული ადამიანის სიცოცხლე ხელშეუხებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ხდება სახელმწიფოზე თავდასხმისას მტრის შეიარაღებული ჯარისკაცების განადგურება, სასამართლოს განაჩენის საფუძველზე სიკვდილით დასჯის განხორციელება და კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევების აღსრულება.
III. ადამიანისათვის სიკვდილით დასჯა, როგორც განსაკუთრებული ღონისძიება, ვიდრე იგი საბოლოოდ გაუქმდება, მხოლოდ ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საწინააღმდეგოდ მიმართული შემთხვევისას, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისას, შეიძლება განისაზღვროს კანონით.
IV. ადამიანის მიმართ იარაღის გამოყენება დაუშვებელია გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა, მოსალოდნელი საფრთხისაგან აუცილებელი თავდაცვის ან დამაშავის დაკავების, პატიმრობის ადგილიდან გაქცევის აღკვეთის ძომების მიღებისას, სახელმწიფოს საწინააღმდეგოდ მოწყობილი ამბოხისა და გადატრიალების აღკვეთისას და ქვეყანაზე მტრის შეაიარაღებული ძალების შეტევისას.

**მუხლი 28. თავისუფლების უფლება**

I. თითოეულ ადამიანს აქვს თავისუფლების უფლება.
II. თავისუფლების უფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონის საფუძველზე – დაკავებით, დაპატიმრებით და თავისუფლების აღკვეთის გზით.
III. თითოეულ ადამიანს, რომელიც კანონიერად იმყოფება აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, შეუძლია თავისუფლად გადაადგილება, თავისი საცხოვრებელი ადგილის შერჩევა და აზერბაიჯანის ტერიტორიის საზღვრის გადაკვეთა.
IV. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეს ყოველთვის აქვს თავის სამშობლოში დაუბრკოლებლად დაბრუნების უფლება.

**მუხლი 29. საკუთრების უფლება**

I. თითოეულ ადამიანს გააჩნია საკუთრების უფლება.
II. საკუთრების არანაირ სახეობას არ ენიჭება უპირატესობა.
III. საკუთრების უფლება, მათ შორის კერძო საკუთრების უფლება კანონითაა დაცული. თითოეული ადამიანს საკუთრებაში შეიძლება ჰქონდეს მოძრავი და უძრავი ქონება. საკუთრების უფლება შედგება მესაკუთრის მიერ მარტო, ან სხვებთან ერთად, საკუთრების მართლზომიერად ფლობაზე, მის გამოყენებაზე და განკარგვაზე.
IV. სამართლოს დადგენილების გარეშე არ შეიძლება ვინმე შეიზღუდოს საკუთრების ფლობაზე. საკუთრების მთლიანად კონფისკაცია დაუშვებელია. სახელმწიფოს ან საზოგადოების საჭიროებიდან გამომდინარე, საკუთრების გასხვისება შესაძლებელია მხოლოდ საკუთრების ღირებულების წინასწარ სამართლიანად დაფარვის გზით.
V. სახელმწიფო უზრუნველყოფს საკუთრების მემკვიდრეობით გადაცემის უფლებას.(2)

**მუხლი 30. ინტელექტუალური საკუთრების უფლება**

I. თითოეულ ადამიანს გააჩნია ინტელექტუალური საკუთრების უფლება.
II. საავტორო და გამომგონებლის უფლება და ინტელექტუალური საკუთრების სხვა უფლებები დაცულია კანონით.

**მუხლი 31. უსაფრთხოდ ცხოვრების უფლება**

I. თითოეულ ადამიანს გააჩნია უსაფრთხოდ ცხოვრების უფლება.
II. გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა, პიროვნების სიცოცხლეზე, ფიზიკურ და მორალურ ჯანმრთელობაზე, საკუთრებაზე, საცხოვრებელ ადგილზე განზრახ ძალადობის გამოყენება აკრძალულია.

**მუხლი 32. პიროვნების ხელშეუხებლობის უფლება**

I. თითოეულ ადამიანს გააჩნია ხელშეუხებლობის უფლება.
II. თითოეულ ადამიანს გააჩნია პირადი და ოჯახური ცხოვრების საიდუმლოს შენახვის უფლება. გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ყოველ ადამიანს გააჩნია პირადი და ოჯახური ცხოვრების უკანონო გარე ჩარევისაგან დაცვის უფლება.
III. პიროვნებასთან შეთანხმების გარეშე მისი პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, შენახვა, გამოყენება და გავრცელება დაუშვებელია. გარდა კანონით განსაზღვრული შემთხვევისა, აკრძალულია პიროვნებაზე თვალთვალი, მისი ვიდეოაპარატურით და ფოტოაპარატით გადაღება, ხმის ჩაწერა და სხვა ამგვარი ქმედებები.
IV. სახელმწიფო უზრუნველყოფს თითოეული ადამიანის მიერ ფოსტით, ტელეგრაფით, მესიჯით, დეპეშით და კავშირგაბმულობის სხვა საშუალებებით გაგზავნილი ინფორმაციების დაცვას. ეს უფლება შეიძლება შეიზღუდოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დანაშაულის აღკვეთის მიზნით, ან დანაშაულის გამოძიების დროს, მიერ ჭეშმარიტების დადგენის მიზნით.
V. კანონით განსაზღვრული შემთხვევისას თითოეულ ადამიანს შეუძლია გაეცნოს მის მიმართ შეგროვებულ ინფორმაციას. ნებისმიერ ადამიანს მის მიმართ დაგროვებული ჭეშმარიტებასთან შეუსაბამო ინფორმაციის გასწორების ან გაუქმების, ასევე კანონდარღვევით მოპოვებული ინფორმაციის გაუქმების მოთხოვნის უფლება გააჩნია.(2)

**მუხლი 33. საცხოვრისის ხელშეუხებლობის უფლება**

I. თითოეულ ადამიანს გააჩნია საცხოვრისის ხელშეუხებლობის უფლება გააჩნია.
II. გარდა სასამართლოს დადგენილებისა და კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა, არავის აქვს უფლება ბინაში შევიდეს ამ ბინის მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ.

**მუხლი 34. ქორწინების უფლება**

I. თითოეულ ადამიანს კანონით გათვალისწინებული ასაკის მიღწევის შემდეგ ოჯახის შექმნის უფლება გააჩნია.
II. ქორწინება ადამიანის ნებაყოფლობით, საკუთარი სურვილით, ურთიერთშეთანხმებით ხდება. ვინმეს ძალით დაოჯახება დაუშვებელია.
III. ქორწინებას და ოჯახს სახელმწიფო მფარველობს. დედობა, მამობა, ბავშვობა დაცულია კანონით. სახელმწიფო დახმარებას უწევს მრავალშვილიან ოჯახებს.
IV. ქმრის და ცოლის უფლებები თანაბარია. მშობლებს უფლება აქვთ და ევალებათ იზრუნონ შვილებზე და ისინი აღზარდონ.
V. შვილებს ევალებათ მშობლებისადმი პატივისცემა და მათზე მზრუნველობა. 18 წლის ასაკს მიღწეულ შრომისუნარიან შვილებს ევალებათ შრომისუუნარო მშობლების რჩენა.

**მუხლი 35. შრომის უფლება**

I. შრომა პირადი ან საზოგადო კეთილდღეობის საწინდარია.
II. თითოეულ ადამიანს აქვს საქმიანობის სახეობის, პროფესიის, ხელობის, სამუშაო ადგილის თავისუფალი არჩევანის გაკეთების უფლება, საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში.
III. არ შეიძლება ადამიანის ძალადობრივად დასაქმება.
IV. შრომითი ხელშეკრულებები ნებაყოფლობით ფორმდება. შრომითი ხელშეკრულების იძულებით გაფორმება დაუშვებელია.
V. მოქალაქის იძულებით დასაქმება ხდება სასამართლოს დადგენილების შესაბამისად, სამხედრო მოვალეობის შესრულებისას, უფლებამოსილი პირების ბრძანების თანახმად, საგანგებო სიტუაციების და საომარ მოქმედებათა მიმდინარეობის დროს.

VI. თითოეულ ადამიანს აქვს უსაფრთხო და ჯანმრთელ გარემოში მუშაობის უფლება, მიიღოს შრომითი ანაზღაურება დისკრიმინაციის გარეშე, შრომის მიხედვით, სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ მინიმუმზე არანაკლები.
VII. უფლება აქვთ მიიღონ დახმარება სახელმწიფოსაგან.
VIII. უმუშევრობის აღმოსაფხვრელად სახელმწიფო ყველანაირ კანონიერ ღონისძიებებს ატარებს.

**მუხლი 36. გაფიცვის უფლება**
I. თითოეულ ადამიანს მარტო, ან სხვებთან ერთად, გააჩნია გაფიცვის უფლება.
II. შრომითი ხელშეკრულების მიხედვით, მუშაკების გაფიცვის უფლება შეიძლება შეიზღუდოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. აზერბაიჯანის რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში და სხვა სამხედრო სტრუქტურებში დასაქმებულ სამხედრო და სამოქალაქო პირებს გაფიცვა ეკრძალებათ.
III. პირადი და კოლექტიური დავა წყდება კანონით გათვალისწინებული წესით.

**მუხლი 37. დასვენების უფლება**
I. თითოეულ ადამიანს გააჩნია დასვენების უფლება.
II. მუშაკებს, რომლებიც მუშაობენ ხელშეკრულების საფუძველზე, უზრუნველყოფილი არიან არა უმეტეს 8-საათიანი სამუშაო დღით, დასვენების და სადღესასწაულო უქმეებით და წელიწადში ერთხელ არანაკლებ 21-დღიანი ანაზღაურებადი შვებულებით.

**მუხლი 38. სოციალური უზრუნველყოფის უფლება**
I. თითოეულ ადამიანს გააჩნია სოციალური უზრუნველყოფის უფლება.
II. გასაჭირში ჩავარდნილ ადამიანს, უპირველესად, საკუთარი ოჯახის წევრებმა უნდა აღმოუჩინონ დახმარება.
III. თითოეული ადამიანს, გარკვეული ასაკის მიღწევის შემდეგ, ავადმყოფობის, ინვალიდობის, ოჯახის მარჩენალის დაკარგვის, შრომისუნარიანობის დაკარგვის, უმუშევრობის მიზეზით ან კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებისას სოციალური უზრუნველყოფის უფლება გააჩნია.
IV. პენსიების და სოციალური დახმარების მინიმალური თანხა კანონითაა განსაზღვრული.
V. სახელმწიფო პირობებს ქმნის საქველმოქმედო მოღვაწეობის და ნებაყოფლობითი სოციალური შემწეობის სხვა სახეობების გასავითარებლად.

**მუხლი 39. ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება**
I. თითოეულ ადამიანს გააჩნია ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება.
II. თითოეულ ადამიანს გააჩნია გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება და ეკოლოგიური დარღვევის გამო ადამიანის ჯანმრთელობაზე მიყენებული ზიანის კომპენსირების, ასევე მის ქონებაზე მიყენებული ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.
III. არავის არა აქვს, კანონის დარღვევით, გარემოსათვის საფრთხის შექმნისა და ბუნებრივი რესურსებისათვის ზარალის მიყენების უფლება.
IV. სახელმწიფო უზრუნველყოფს ეკოლოგიური ბალანსის დაცვას ველურმცენარეულობისა და გარეული ცხოველების სახეობათა შენარჩუნებით.

**მუხლი 40. კულტურის უფლება**
I. თითოეულ ადამიანს გააჩნია კულტურის სფეროში მონაწილეობის უფლება, კულტურის დაწესებულებებისა და კულტურული სიმდიდრეების გამოყენების უფლება.
II. თითოეული ადამიანის მოვალეობაა პატივი სცეს და უზრუნველყოს ისტორიული, კულტურული და სულიერი სიმდიდრეებისა და ძეგლების დაცვა.

**მუხლი 41. ჯანმრთელობის დაცვის უფლება**
I. თითოეულ ადამიანს გააჩნია ჯანმრთელობის დაცვის და სამედიცინო დახმარების მიღების უფლება.

II. სახელმწიფო, რომელსაც საკუთრების სხვადასხვა ფორმები გააჩნია, ჯანდაცვის მთელი რიგი სახეობების განვითარებისთვის ატარებს აუცილებელ ღონისძიებებს, უზრუნველყოფს მოსახლეობის ჯანსაღ სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ პირობებს, ხელს უწყობს სამედიცინო დაზღვევის სხვადასხვა სახეობათა მოღვაწეობას.
III. თანამდებობებზე მყოფი პირები, რომლებიც შეგნებულად ჩქმალავენ ადამიანის სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველ ფაქტორებს და სიტუაციებს, მთელი სიმკაცრით აგებენ პასუხს კანონის წინაშე.

**მუხლი 42. განათლების უფლება**
I. თითოეულ ადამიანს გააჩნია განათლების უფლება.
II. სახელმწიფო უზრუნველყოფს უფასო სავალდებულო საჯარო საშუალო განათლების მიღების უფლებას.
III. განათლების სისტემა სახელმწიფოს მიერ კონტროლდება.
IV. სახელმწიფო უზრუნველყოფს განათლების მსურველი ნიჭიერი პირებისათვის სწავლების გაგრძელებას.
V. სახელმწიფო განსაზღვრავს მინიმალური განათლების სტანდარტებს.

**მუხლი 43. საცხოვრებელი ადგილის უფლება**
I. ნებისმიერი პიროვნებისათვის უკანონოდ საცხოვრებელი ადგილის ჩამორთმევა დაუშვებელია
II. სახელმწიფო ავითარებს საცხოვრებელ ბინათმშენებლობას, სპეციალურ ღონიძიებებს ატარებს ადამიანების მიერ ბინის ფლობის უფლებების განსამტკიცებლად.

**მუხლი 44. ეროვნული მიკუთვნების უფლება**
I. თითოეულ ადამიანს აქვს თავისი ეროვნების შენარჩუნების უფლება.
II. დაუშვებელია ადამიანის იძულება, რათა მან შეიცვალოს ეროვნება.

**მუხლი 45. მშობლიური ენით სარგებლობის უფლება**
I. თითოეულ ადამიანს გააჩნია მშობლიური ენით სარგებლობის უფლება. თითოეულ ადამიანს აქვს აღზრდის, განათლების მიღების და მოღვაწეობისათვის სასურველი ენის არჩევის უფლება.
II. დაუშვებელია, რომ ვინმეს ჩამოერთვას მშობლიური ენით სარგებლობის უფლება.

**მუხლი 46. სახელისა და ღირსების დაცვის უფლება**
I. თითოეულ ადამიანს აქვს თავისი სახელისა და ღირსების დაცვის უფლება.
II. ადამიანის ღირსება დაცულია სახელმწიფოს მხრიდან. დაუშვებელია, რომ ვინმეს მიეცეს ადამიანის ღირსების დამცირების უფლება.
III. დაუშვებელია ადამიანის წამება და მისთვის ტკივილის მიყენება, ადამიანის ღირსების დამამცირებელი საქციელის ჩადენა და მის მიმართ ღირსების დამამცირებელი სასჯელის გამოყენება. საკუთარი ნების გარეშე დაუშვებელია ამა თუ იმ პირზე სამეცნიერო, სამედიცინო და სხვა სახის ექსპერიმენტების ჩატარება.

**მუხლი 47. აზრის გამოთქმისა და სიტყვის თავისუფლება.**
I. თითოეულ ადამიანს გააჩნია აზრის გამოთქმისა და სიტყვის თავისუფლება.
II. დაუშვებელია ადამიანის იძულება რათა მან უარი განაცხადოს საკუთარ აზრის გამოთქმაზე, რწმენაზე ან მრწამსზე.
III. დაუშვებელია რასის, ეროვნული, რელიგიური, სოციალური შუღლისა და მტრობის გამღვივებელი იდეების პროპაგანდა და აგიტაცია.

**მუხლი 48. სინდისის თავისუფლება**
I. ყველა ადამიანს გააჩნია სინდისის თავისუფლება.
II. თითოეულ ადამიანს შეუძლია დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი რელიგიური კუთვნილება, ანუ შეუძლია მარტო, ან სხვებთან ერთად აირჩიოს სარწმუნოება, ან საერთოდ უარი განაცხადოს ყოველგვარ რელიგიურ კუთვნილებაზე. აქვს საკუთარი სარწმუნოების გაცხადებისა და მისი გავრცელების უფლება.
III. დაშვებულია რელიგიური რიტუალების შესრულება, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ წესრიგს ან მასის ზნეობას.
IV. სარწმუნეობა და რწმენა არ ამართლებს კანონების დარღვევას.

V. არ შეიძლება აიძულო ადამიანი, რომ იგი გახდეს ამა თუ იმ რელიგიის მიმდევარი, აუკრძალო მას საკუთარი რელეგიური რიტუალების შესრულება ან აიძულო, რათა შეასრულოს სხვა რელიგიური რიტუალები.(2)

**მუხლი 49. დამოუკიდებლად შეკრების თავისუფლება**
I. თითოეულ ადამიანს გააჩნია დამოუკიდებლად, სხვებთან ერთად შეკრებაში მონაწილეობის თავისუფლება.
II. თითოეულ ადამიანს უფლება აქვს სხვებთან ერთად, სათანადო სახელმწიფო ორგანოებისათვის წინასწარი შეტყობინებით, მშვიდობიან, უიარაღო მანიფესტაციებში მონაწილეობის უფლება, მიტინგებში მონაწილეობის უფლება, ქუჩის სვლებში მონაწილეობის მიღების უფლება და პიკეტების გამართვის უფლება.

**მუხლი 50. ინფორმაციის თავისუფლება**
I. თითოეულ ადამიანს გააჩნია კანონიერად ნებისმიერი ინფორმაციის მოპოვების, გადაცემის, მომზადების და გავრცელების უფლება.
II. მასმედიის თავისუფლება უზრუნველყოფილია. მასმედიის საშუალებებზე, მათ შორის პრესაზე სახელმწიფო ცენზურის დაწესება აკრძალულია.
III. თითოეულ ადამიანს გააჩნია მისი უფლებების დამრღვევი ინფორმაციის, ან მისი ინტერესებისათვის ზარალის მომტანი ინფორმაცის უარყოფისა და მასზე პასუხის გაცემის უფლება.(2)

**მუხლი 51. შემოქმედებითი საქმიანობის უფლება**
I. თითოეული ადამიანი უზრუნველყოფილია შემოქმედებითი საქმიანობის გაძღოლის უფლებით.
II. სახელმწიფო უზრუნველყოფს მხატვრულ, ლიტერატურულ, სამეცნიერო-ტექნიკურ და სხვა შემოქმედებით სფეროებში საქმიანობის თავისუფლად განხორციელების უფლებას.

**მუხლი 52. მოქალაქეობრიობის უფლება**
აზერბაიჯანის სახელმწიფოს კუთვნილი, მასთან პოლიტიკური და უფლებრივი მოვალეობის მქონე პირები აზერბაიჯანის მოქალაქეები არიან. აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ან აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეებისაგან დაბადებული პირები აზერბაიჯანის მოქალაქეები არიან. პიროვნება, რომლის ერთ-ერთი მშობელი აზერბაიჯანის მოქალაქეა, თვადაც ითვლება აზერბაიჯანის მოქალაქედ.

**მუხლი 53. მოქალაქეობრივი უფლებების უზრუნველყოფა**
I. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეს არცერთ შემთხვევაში არ შეიძლება ჩამოერთვას აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეობა.
II. აზერბაიჯანის რესბუბლიკის მოქალაქის აზერბაიჯანიდან გაგდება, ანდა სხვა სახელმწიფოებისათვის გადაცემა კატეგორიულად დაუშვებელია.
III. საზღვარგარეთ დროებით ან მუდმივად მცხოვრები აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეების უფლებების დაცვას და მათ მფარველობას უზრუნველყოფს აზერბაიჯანის რესპუბლიკა

**მუხლი 54. საზოგადოების და სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება**
I. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეებს საზოგადოების და სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში დაუბრკოლებლად მონაწილეობის უფლება გააჩნიათ.
II. აზერბაიჯანის მოქალაქეს გააჩნია უფლება, დამოუკიდებლად წინააღმდეგობა გაუწიოს სახელმწიფოს საწინააღმდეგოდ მოწყობილ ამბოხებას, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას.

**მუხლი 55. სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობის უფლება**
I. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეებს სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობის უფლება გააჩნიათ.
II. ეს უფლება მათ შეუძლიათ განახორციელონ უშუალოდ, ან წარმომადგენლის მეშვეობით.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეს სახელმწიფო ორგანოებში სამსახურის უფლება აქვს. სახელმწიფო ორგანოების თანამდებობის პირები შეირჩევიან აზერბაიჯანის მოქალაქეებისაგან. უცხოელების და აზერბაიჯანის მოქალაქეობის არმქონე პირების სახელმწიფო ორგანოებში სამუშაოდ მიღება ხდება კანონით განსაზღვრული წესით.

**მუხლი 56. საარჩევნო უფლება**

I. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეს უფლება აქვს აირჩიოს ან არჩეული იქნეს, აგრეთვე მიიღოს მონაწილეობა რეფერენდუმებში.

II. იმ პირებს, რომლებიც სასამართლოს გადაწყვეტილებით არიან მიჩნეული გონებრივი ჩამორჩენით შრომისუუნაროებად, არჩევნებში, აგრეთვე რეფერენდუმებში მონაწილეობის უფლება არ გააჩნიათ.

III. სამხედრო მოსამსახურეებს, ექიმებს, სახელმწიფო ჩინოვნიკებს, რელიგიათა მსახურებს სასამართლოს ბრძანებით თავისუფლებააღკვეთილ პირებს, კონსტიტუციის და ამ კანონის თანახმად შეიძლება შეეზღუდოთ არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

**მუხლი 57. მიმართვის უფლება.**

I. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეებს სახელმწიფო ორგანოებისადმი პირადად მიმართვის, ასევე ინდივიდუალური და კოლექტიური მიმართვის გაგზავნის უფლება გააჩნია. თითოეულ მიმართვას კანონით გათვალისწინებული წესით და დროით პასუხი უნდა გაეცეს.

II. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეს სახელმწიფო ორგანოების და მათი თანამდებობის პირების, პოლიტიკური პარტიების, პროფკავშირების და სხვა საზოგადოებრივი გაერთიანებების, აგრეთვე სახვადასხვა მოქალაქეების საქმიანობის კრიტიკის უფლება გააჩნიათ. კრიტიკის გამო დევნა აკრძალულია. შეურაცხყოფა და ცილისწამება კრიტიკის დროს დაუშვებელია.

**მუხლი 58. გაერთიანების უფლება**

I. თითოეულ ადამიანს აქვს სხვებთან გაერთიანების უფლება.

II. თითოეულ ადამიანს უფლება აქვს შექმნას სასურველი გაერთიანება, მათ შორის პოლიტიკური პარტია, პროფკავშირი და სხვა საზოგადო გაერთიანება, ანდა შევიდეს უკვე არსებულ გაერთიანებაში. ყველა გაერთიანება უზრუნველყოფილია დამოუკიდებლად საქმიანობის საშუალებებით.

III. არ შეიძლება ვინმეს იძულება, რომ შევიდეს ამა თუ იმ გაერთიანებაში, ან დარჩეს ამა თუ იმ გაერთიანების წევრად.

IV. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, ან მის რომელიმე ნაწილში სახელმწიფო გადატრიალების მიზნით გაერთიანებების შექმნა აკრძალულია. კონსტიტუციის და კანონის დამრღვევი გაერთიანებების საქმიანობა მხოლოდ სასამართლოს მიერ შეიძლება იქნას აღკვეთილი.

**მუხლი 59. თავისუფალი მეწარმის უფლება**

ყველას, კანონით გათვალისწინებული წესით, საკუთარი საშუალებიდან, საკუთრებიდან და უნარებიდან გამომდინარე, მარტო, ან სხვებთან ერთად, შეუძლია განახორციელოს თავისუფალი მეწარმეობა, ანდა კანონით დაშვებული სხვა ეკონომიკური საქმიანობა.

**მუხლი 60. სასამართლოს მიერ თავისუფლებისა და უფლებების უზრუნველყოფის გარანტია**

I. სასამართლო უზრუნველყოფს თითოეული ადამიანის უფლებისა და თავისუფლების დაცვას.

II. თითოეულ ადამიანს შეუძლია გაასაჩივროს სახელმწიფო ორგანოების, პოლიტიკური პარტიების, პროფკავშირების, საზოგადოებრივი გაერთიანებების, თანამდებობის პირთა გადაწყვეტილებები, ქმედებები ან უმოქმედობა.

**მუხლი 61. იურიდიული დახმარების მიღების უფლება**

I. თითოეულ ადამიანს უფლება აქვს მიიღოს უმაღლესი იურიდიული დახმარება.

II. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში იურიდიული დახმარება ხდება უფასო, სახელმწიფოს ხარჯზე.
III. თითოეულ ადამიანს, უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მიერ დაკავებისას, დანაშაულის ჩადენაზე ეჭვმიტანილად ცნობის დროს, დამცველის მომსახურეობის გამოყენების უფლება აქვს.

**მუხლი 62. ნასასამართლეობის თვითნებურად შეცვლის დაუშვებლობა**
თითოეულ ადამიანს უფლება აქვს მოითხოვოს მისი საქმის კანონიერ სასამართლოში განხილვა. პიროვნებასთან შეთანხმების გარეშე არ შეიძლება, რომ მისი საქმე განხილულ იქნას სხვა სასამართლოში.

**მუხლი 63. უდანაშაულობის პრეზუმფცია**
I. თითოეულ ადამიანს გააჩნია უდანაშაულობის პრეზუმფციის უფლება. დანაშაულის ჩადენაში ნებისმიერი ეჭმიტანილი, თუ მისი ბრალი არ არის კანონით გათვალისწინებული წესით დამტკიცებული, და თუ ამის შესახებ სასამართლოს კანონიერი განჩინება ძალაში არ არის შესული, იგი უდანაშაულოდ ითვლება.
II. პიროვნების დამნაშავეობაზე თუ არსებობს მხოლოდ საფუძვლიანი ეჭვები, დაუშვებელია ამის საფუძველზე მისი დამნაშავედ ცნობა.
III. დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირი არ არის ვალდებული, რომ ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა.
IV. მართლმსაჯულების განხორციელებისას, მხედველობაში არ შეიძლება იქნას მიღებული კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებები.
V. სასამართლოს ბრძანების გარეშე, ვინმე არ შეიძლება იქნეს მიჩნეული დამნაშავედ, ამა თუ იმ დანაშაულის ჩადენაში.

**მუხლი 64. ერთი დანაშაულის გამო გასამართლებული პირის ხელმეორედ გასამართლება დაუშვებელია**
არავინ არ შეიძლება ხელმეორედ დაისაჯოს ერთი დანაშაულის ჩადენის გამო.

**მუხლი 65. სასამართლოსადმი განმეორებით მიმართვის უფლება**
სასამართლოს მიერ დასჯილ თითოეულ პირს შეუძლია, კანონით გათვალისწინებული წესით, მიმართოს უმაღლეს სასამართლო ინსტანციას მისი საქმის ხელახლა განხილვის მოთხოვნით. მას აგრეთვე აქვს შეწყალების, ან სასჯელის შემსუბუქების მოთხოვნის უფლება.

**მუხლი 66. დაუშვებელია ნათესავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემის იძულება**
დაუშვებელია აიძულო ვინმე, რათა მან მართლმსაჯულებას მისცეს ჩვენება ცოლის (ქმარის), შვილების, მშობლების, ძმის, დის საწინააღმდეგოდ. კანონით განისაზღვრება იმ ნათესავების სია, რომელთა წინააღმდეგ არ შეიძლება ჩვენების მიცემის იძულება.

**მუხლი 67. დაკავებული, დაპატიმრებული და დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილის უფლებები**
I. უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მიერ დაკავებულ, დაპატიმრებულ და დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილ პირს დაკავებისას უნდა განემარტოს მისი უფლებები, დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილ პირს ასევე უნდა განემარტოს მისი დაკავების და სისხლის სამართლის დამნაშავედ ცნობის არგუმენტები.
II. დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილ პირს, დამნაშავედ ცნობამდე უნდა მოუსმინონ.(2)

**მუხლი 68. ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.**
I. დამნაშავის, ან სახელმწიფო მოხელეების დანაშაულებრივი ქმედებების შედეგად დაზარალებული მოქალაქის უფლებები დაცულია სახელმწიფოს მიერ. დაზარალებულ პირს აქვს სასამართლო პროცესებში მონაწილეობისა და ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.
II. თითოეულ ადამიანს უფლება აქვს მოთხოვოს სახელმწიფოს მისი ორგანოების ანდა მათი თანამდებობის პირების მიერ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებით მიყენებული ზარალის ანზღაურება.

**მუხლი 69. უცხოელების და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებები**

I. უცხოელებსა და მოქალაქობის არმქონე პირებს, რომლებიც იმყოფებიან აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ისევე, როგორც აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეებს, შეუძლიათ გამოიყენონ ყველა უფლება და, ამავდროულად. შეასრულონ ყველა ვალდებულება, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული კანონით ან საერთაშორისო ხელშეკრულებებით, რომლის მონაწილეც არის აზერბაიჯანის რესპუბლიკა.

II. აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მუდმივად ან დროებით მცხოვრები უცხოელების, ან მოქალაქეობის არმქონე პირების უფლებები და თავისუფლებები მხოლოდ საერთაშორისო იურიდიული ნორმების, ან აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონთა შესაბამისად შეიძლება შეიზღუდოს.

**მუხლი 70. პოლიტიკური თავშესაფარის უფლება**

I. საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო იურიდიული ნორმების თანახმად, აზერბაიჯანის რესპუბლიკა, უცხოელებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს აძლევს პოლიტიკურ თავშესაფარს.

II. პოლიტიკური შეხედულებების გამო, აგრეთვე აზერბაიჯანის რესპუბლიკაში მოქმედი კანონის მიერ დანაშაულად არაღიარებული ქმედებების ჩადენის გამო, დევნილი პირების სხვა სახელმწიფოსადმი გადაცემა დაუშვებელია.

**მუხლი 71. პიროვნების და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფა**

I. პიროვნებისა და მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებების დაცვა საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო მმართველობის ორგანოების მოვალეობაა.

II. არ შეიძლება, რომ ვინმე შეიზღუდოს პიროვნებისა და მოქალაქის უფლებების და თავისუფლებების განხორციელებაში. თითოეული პიროვნებისა და მოქალაქის და სხვათა უფლებები და თავისუფლებები განსაზღვრულია კონსტიტუციით და კანონებში ჩადებული საფუძვლების მიხედვით.

III. ომის, სამხედრო მდგომარეობის, საგანგებო სიტუაციის და, აგრეთვე, მობილიზაციის გამოცხადებისას, აზერბაიჯანის რესპუბლიკის საერთაშორისო ვალდებულებების გათვალისწინებით, ნაწილობრივ, ან დროებით შეიძლება შეიზღუდოს პიროვნებისა და მოქალაქის უფლებების და თავისუფლებების განხორციელება. მოსახლეობას წინასწარ უნდა ეცნობოს პიროვნებისა და მოქალაქის უფლებების და თავისუფლებების განხორციელების შეზღუდვის შესახებ.

IV. არცერთ შემთხვევაში არ შეიძლება აიძულო ვინმე გამოხატოს საკუთარი რელიგიის, სინდისის, აზრის, რწმენისადმი დამოკიდებულება და არ შეიძლება ამის საფუძველზე განხორციელდეს მას დევნა.

V. ამ კონსტიტუციის არცერთი დებულება არ შეიძლება განმარტებული იქნას პიროვნების და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართულად.

VI. აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე პიროვნებისა და მოქალაქის უფლებები და თავისუფლებები უშუალოდ ძალაშია შესული.

VII. პიროვნებისა და მოქალაქის უფლებებსა და თავისუფლებებთან დაკავშირებული სადაო საკითხები წყდება სასამართლოების მიერ.

VIII. არავის არ ეკისრება პასუხისმგებლობა ისეთი ქმედებების ჩადენის დროს, რომელიც არ ითვლება კანონის დარღვევად. უფლებების დარღვევის ჩადენის შემდეგ, თუ ახალი კანონით, ამგვარი ქმედებებზე რეაგირება არის ამოღებული ან შემსუბუქებული, სამართალის არსრულება ახალი კანონის მოთხოვნით ხორციელდება.

IX. თითოეულ ადამიანს შეუძლია შეასრულოს კანონით დაშვებული ქმედებები და დაუშვებელია ვინმე აიძულო შეასრულოს კანონით აკრძალული ქმედებები.

X. სახელმწიფო ორგანოებს მხოლოდ ამ კონსტიტუციის საფუძველზე, კანონით განსაზღვრული წესით და კანონის ფარგლებში შეუძლიათ საქმიანობა. (1,2)

## 5. ჩვენი უფლებები დაცულია საერთაშორისო დონეზე

მსოფლიოში მომხდარი, ჯერ კიდევ დაუმთავრებელი ომი, ადამიანის უფლებების დარღვევის, მისი ღირსების დამცირების მიზეზი ხდება. არა მხოლოდ ომები და კონფლიქტები, არამედ ტერორისტული აქტებიც არღვევენ ადამიანის უფლებებს. XIX საუკუნის შემდეგ დაიწყო ბრძოლა ადამიანის უფლებების დაცვისათვის, მაგრამ ამ პერიოდის განმავლობაში ადამიანის უფლებათა დაცვის მხრივ მდგომარეობა დიდად არ გაუმჯობესებულა. XX საუკუნის შუა პერიოდიდან დაწყებული, ისტორიაში ადამიანის უფლებებისთვის ბრძოლამ თავისი კვალი დატოვა და გადამწყვეტი როლი იქონია.

**რატომ ჰქონდა XX საუკუნეს გადამწყვეტი როლი ადამიანის უფლებების დაცვისათვის ბრძოლის საქმეში? ამ ეპოქიდან დაწყებული დღემდე, ჩვენი უფლებები დაცულია საერთაშორისო დონეზე? რა როლი იქონია XX საუკუნემ ადამიანის უფლებების დაცვის საქმეში?**



**1994 წლის 19 მაისს "20 იანვარის" სახელობის მეტროს სადგურში მომხდარი ტერორისტული აქტი**

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის განხორციელებას შეუდგა უამრავი საერთაშორისო ორგანიზაცია, იმ საერთაშორისო შეთანხმებების საფუძველზე, რომელიც გაფორმდა ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით.

მეორე მსოფლიო ომის (1939-1945 წლები) დასასრულს – 1945 წელს შეიქმნა გაერო (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია).



**გაეროს გენერალური ასამბლეა, რომელმაც მიიღო ადამიანის უფლებათა დაცვის მსოფლიო დეკლარაცია. პარიზი**

ამ ორგანიზაციის შექმნის მიზეზი იყო სახელმწიფოთა შორის სხვადასხვა ხასიათის ურთიერთობების ერთ სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევა. 1948 წლის 10 დეკემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული იქნა "ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია". ამ დეკლარაციის მთავარი მიზანი იყო ადამიანის უფლებების და ყველა განსახორციელები სახელმწიფო საქმეთა ნორმების განსაზღვრა. ეს დეკლარაცია, სხვადასხვა პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური წყობის სახელმწიფოებს შორის ადამიანის უფლებების დაცვის საკითხში თანამშრომლობის დემონსტრირების მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტია.

დეკლარაციაში ასახულია შვიდი პრინციპი, რომელიც გადმოცემულია შემდეგნაირად:

1. დაუშვებელია ძალის გამოყენება და მუქარით დაშინება;
2. საერთაშორისო კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარება;
3. სხვა სახელმწიფოს შიდა პოლიტიკაში არსებულ საქმეებში ჩაურევლობა;
4. სახელმწიფოთა შორის ურთიერთთანამშრომლობა გაეროს დებულების მიხედვით;
5. ერების უფლებრივი თანასწორობა და თვითგანსაზღვრა;
6. სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობა;
7. გაეროს დებულების მიხედვით სახელმწიფოთა მიერ საკუთარ თავზე აღებული ვალდებულებების კეთილსინდისიერად შესრულება.

დებულებაში კიდევ რომელი პრინციპი შეიძლება იქნას შეტანილი? აღნიშნეთ თქვენი მოსაზრება.

1975 წლის 1 აგვისტოს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ჰელსინკის აქტში კი ათი პრინციპია მოცემული; ზემოთხსენებულ პრინციპებს დაემატა კიდევ სამი პრინციპი:

1. საზღვრების ხელშეუხებლობა;
2. სახელმწიფო ტერიტორიების მთლიანობა;
3. ადამიანის ძირითადი უფლებისა და თავისუფლებისადმი პატივისცემა.



**ქალაქი ჰელსინკი (ფინეთი)**

სინამდვილეში, ჰელსინკის საბოლოო აქტი არ არის საერთაშორისო ხელშეკრულება და იგი რეგიონალური ხასიათის მქონე დოკუმენტია. მაგრამ მისი დამტკიცებული პრინციპები, მათ შორის ზემოთ აღნიშნული სამი პრინციპი უკვე საყოველთაო საერთაშორისო უფლებათა ერთი ნაწილია და ყველა სახელმწიფოს მიერ არის აღიარებული. ასე რომ, გამოცხადებულია ჰელსინკის თანამედროვე საერთაშორისო უფლებების საბოლოო აქტის საყოველთაოდ აღიარებული ათი პრინციპი.

მიღებული ჰელსინკის საბოლოო აქტი სახელმწიფოებს აკისრებდა ძირითად ვალდებულებებს. ვალდებულებების თანახმად სახელმწიფოებმა ადამიანის უფლებებს უნდა სცენ პატივი და მხარი დაუჭირონ მის აღიარებას საერთაშორისო დონეზე.

ჯერ კიდევ 1965 წელს რასისტული უთანასწორობა გაკიცხული იყო გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულ "რასისტული უთანასწორობის ყველანაირი სახეობების გაუქმების შესახებ საერთაშორისო კონვენციაში."



აქ რეკომენდებული იყო რასისტული უთანასწორობის, ანდა მისი შენარჩუნების მიზეზების შეცვლა.

საერთაშორისო ერთობლიობის მიერ მიღებული დოკუმენტებიდან ერთ-ერთი არის 1966 წელს მიღებული “ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი”. ეს პაქტი ამტკიცებს და აცხადებს სამართლიანი და ხელსაყრელი შრომის პირობების შექმნის უფლებებს, სოციალური უზრუნველყოფასთან, ოჯახის დაცვასთან, ჯანდაცვასთან, განათლებასთან და ა.შ. დაკავშირებულ უფლებებს.

განსაზღვრეთ “ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის” მნიშვნელობა და მოიყვანეთ ფაქტები ჩვენს ქვეყანაში ამ სფეროში განხორციელებული საქმეების შესახებ.







სხვა – “პოლიტიკურ უფლებათა და მოქალაქეთა უფლებათა საერთაშორისო პაქტი” კი აცხადებს, რომ კანონით დაცულია სიცოცხლის, პირადი ხელშეუხებლობის, დამოუკიდებლად შეკრების უფლება, სიტყვის, სინდისის და რელიგიის თავისუფლებები. პაქტის მიხედვით დაუშვებელია ვინმესათვის სიცოცხლის თვითნებურად წართმევა, ადამიანის წამება, დამონება ან იძულებითი შრომა.

ამჟამად მსოფლიო სახელმწიფოების უმრავლესობა ამ პაქტის მონაწილეები არიან. აზერბაიჯანის რესპუბლიკა მხარს უჭერს მიღებულ ადამიანის უფლებებს და ამ სფეროში ატარებს ღონისძიებებს. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ აზერბაიჯანის რესპუბლიკამ, საერთაშორისო ნორმების შესაბამისად, დანერგა და განამტკიცა დემოკრატიული უფლებრივი სახელმწიფო წყობილება და არჩეული აქვს განვითარების საკუთარი გზა. საერთოსახალხო კენჭისყრით მიღებულ აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციაში პიროვნების და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფა, სახელმწიფოს მხრიდან, აღიარებულია უმთავრეს მიზნად.



კონსტიტუციაში, თითოეული ადამიანის უფლებისა და თავისუფლების დაცვა, მიუხედავად რასისა, ეროვნებისა, რელიგიისა, ენისა, სქესისა, წარმოშობისა, რწმენისა, პოლიტიკური და სოციალური მიკუთვნებისა და ა.შ. არის საკანონმდებლო მმართველი და სასამართლო ორგანოების ძირითადი მოვალეობა.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციაში განსაზღვრეთ მუხლები, რომელიც ეხება ადამიანის უფლებებს. იმსჯელეთ და შეადარეთ ეს მუხლები საერთაშორისო დოკუმენტებს.

თითოეული პიროვნების ცხოვრებაში და საზოგადოებაში ადამიანის უფლებების რეალურად განხორციელების მიზნით აზერბაიჯანის რესპუბლიკა ოცამდე საერთაშორისო კონვენციას და შეთანხმებას შეუერთდა ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში.

განმარტეთ, რა მნიშვნელობა აქვს ქვეყნისათვის აზერბაიჯანის რესპუბლიკის მიერთებას საერთაშორისო კონვენციებზე.

1998 წელს აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, დიდებულმა ლიდერმა ჰეიდარ ალიევმა განკარგულება გამოსცა "პიროვნების და მოქალაქის უფლებების და თავისუფლებების უზრუნველყოფის სფეროში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ." ეს განკარგულება დაკავშირებული იყო გაეროს 1948 წლის 10 დეკემბრის "ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დეკლარაციის" მიღების 50-წლიან საიუბილეო თარიღთან. კანონის პროექტების მომზადებისას და კანონების მიღების დროს მასში ხაზგასმით აღინიშნა, რომ, აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციაში გამოხატული ადამიანის უფლებები და თავისუფლება არის ძირითადი წამყვანი კრიტერიუმი. აღნიშნული განკარგულება აგრეთვე ავალებდა აზერბაიჯანის მილიმეჯლისის წარმომადგენლებს, რომ აქტიური მონაწილეობა მიეღოთ ეუთოსა და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის, ევროპის პარლამენტის, დამოუკიდებელ სახელმწიფო ერთობლიობათა მონაწილე ქვეყნების საპარლამენტთაშორისო ასამბლეის, შავი ზღვის ეკონომიკური ერთობლიობის საპარლამენტო ასამბლეის, საპარლამენტთაშორისო კავშირის სესიებში, ამავე ორგანიზაციების შესაბამისი კომიტეტების საქმიანობასა და ღონისძიებებში. მათვე უნდა გაეხმოვანებინათ პიროვნების უფლებების და თავისუფლებების დაცვის სფეროში აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო პოლიტიკა.



**სომხების მიერ აზერბაიჯანელთა წინააღმდეგ ჩადენილი გენოციდის შედეგად მშობლიური საცხოვრისებიდან იძულებით გადაადგილებული პირები**

მათვე დაევალათ სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის შედეგად დევნილი და იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების აღდგენისთვის განსახორციელებელი საქმეების გაძღოლა.

განკარგულებაში ასევე ასახული იყო ქვემოთ მოცემული პუნქტები:

- ადამიანის უფლებების სფეროში აზერბაიჯანის რესპუბლიკის მიერ მხარდაჭერილი საერთაშორისო შეთანხმებების სრულად და ხელსაყრელად განხორციელების სათანადოდ ორგანიზება და სხვა ღონისძიებათა ჩატარების უზრუნველყოფა;
- ევროპის კომისიასთან, ევროსაბჭოსთან, ეუთოს ადამიანის უფლებების ინსტიტუტის ბიუროსთან, საერთაშორისო ამნისტიასთან, ადამიანის უფლებების დამკვირვებელ ჰელსინკის ორგანიზაციასთან, აგრეთვე ადამიანის უფლებების სფეროში მოღვაწე სათანადო ორგანიზაციებთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის სფეროში უფრო ქმედითი მონაწილეობის მიღება და განმტკიცება.

- აზერბაიჯანის რესპუბლიკაში მოღვაწე უფლებადამცველ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთკავშირის დამყარების და შემდგომი განვითარების უზრუნველყოფა.

განკარგულებაში გათვალისწინებული საკითხებიდან ერთ-ერთი იყო აზერბაიჯანის რესპუბლიკის გაეროს 1990 წლის 18 დეკემბრის დადგენილების “ყველა მუშა მიგრანტის* და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვის შესახებ” საერთაშორისო კონვენციაზე, 1976 წლის 23 მარტის “სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ” საერთაშორისო პაქტის ფაკულტატური ოქმზე, 1989 წლის 15 დეკემბრის “სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ” საერთაშორისო პაქტის მეორე ფაკულტატურ ოქმზე და ადამიანის უფლებათა სფეროში არსებულ სხვა საერთაშორისო შეთანხმებებზე მიერთების საკითხის შესაძლებლობის შესწავლა.

მიღებული დადგენილებიდან ცხადია, რომ ჩვენი უფლებები საერთაშორისო დონეზე არის დაცული.

*მიგრანტი არის ის პირი, რომელიც საკუთარი სამშობლოდან სხვა ქვეყანაში გადადის საცხოვრებლად.

1. ადამიანის უფლებათა დარღვევის რომელი ფაქტები შეგიძლიათ მოიყვანოთ?
2. საერთაშორისო უფლებრივი დოკუმენტების შესახებ მოსაზრებისას რომელზე უფრო მეტად გიწევთ ფიქრი?
2.1. ადამიანის უფლებათა დარღვევის რომელი ფაქტები შეგიძლიათ მოიყვანოთ?
2.2. საერთაშორისო უფლებრივი დოკუმენტების შესახებ მოსაზრებისას რომელზე უფრო მეტად გიწევთ ფიქრი?
3. “ადამიანის უფლებათა შესახებ საყოველთაო დეკლარაციის” დოკუმენტი შეადარეთ ეროვნულ უფლებრივ დოკუმენტთან და მოამზადეთ პრეზენტაცია.
4. თქვენს მიერ დამატებით მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე შეადგინეთ ცხრილი ადამიანის უფლებათა დაცვის მნიშვნელობის შესახებ.
5. ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ კიდევ რომელი დოკუმენტი არსებობს? კვლევის ჩატარების საფუძველზე აღნიშნეთ იმ დოკუმენტის მნიშვნელობა.
6. თქვენი აზრით, რატომ ირღვევა ადამიანის უფლებები, თუ არსებობს ადამიანის უფლებათა დამცველი უამრავი დოკუმენტი? ამის მიზეზების დასაბუთებით მოაწყეთ პრეზენტაცია.
7. დაწერეთ ესე თემაზე: “ჩვენი უფლებები დაცულია საერთაშორისო დონეზე”.

“ადამიანის უფლებათა შესახებ საყოველთაო დეკლარაციის” დოკუმენტი შეადარეთ ეროვნულ უფლებრივ დოკუმენტთან და მოამზადეთ პრეზენტაცია.
4. თქვენს მიერ დამატებით მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე შეადგინეთ ცხრილი ადამიანის უფლებათა დაცვის მნიშვნელობის შესახებ.
5. ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ კიდევ რომელი დოკუმენტი არსებობს? კვლევის ჩატარების საფუძველზე აღნიშნეთ იმ დოკუმენტის მნიშვნელობა.
6. თქვენი აზრით, რატომ ირღვევა ადამიანის უფლებები, თუ არსებობს ადამიანის უფლებათა დამცველი უამრავი დოკუმენტი? ამის მიზეზების დასაბუთებით მოაწყეთ პრეზენტაცია.
7. დაწერეთ ესე თემაზე: “ჩვენი უფლებები დაცულია საერთაშორისო დონეზე”.

## 6. ეკონომიკური სარგებლიანობა

ამჟამად, თავისი ეკონომიკური ეფექტიანობის გამო, ჩვენი სამშობლო მთელ მსოფლიოშია ცნობილი. ჩვენი სამყაროს ბუნებრივ სიმდიდრეთა ეფექტურად გამოყენება ერის კეთილდღეობის ამაღლების, სამშობლოს აყვავების პირობას ქმნის. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სამშობლოს ომის პირობებში იმყოფება, იგი ეკონომიკის განვითარების მხრივ აშკარად არ ჩამორჩება სხვა ქვეყნებს.

**თქვენი აზრით, რა უწყობს ხელს ეკონომიკის განვითარებას? ამგვარი ეფექტური საქმიანობის განხორციელება რამდენად ახდენს გავლენას ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლაზე. რა შეიძლება წარმოადგენდეს ერთი ქვეყნისთვის ეკონომიკური ეფექტურობის ფაქტორს?**



უღური და ბანუ დიდი ხანია ფულს აგროვებენ. მამის მოცემული ფულით ისინი ეკონომიურად ცხოვრობენ, ფულის შესანახად კი ყულაბაც აქვთ. ყულაბაში მოთავსებული ფულის, ან ყულაბიდან აღებული ფულის აღსარიცხად აქვთ სპეციალური შემნახველი წიგნაკები. ისინი თავიანთ შენიშვნებს ამ წიგნაკებში აღნიშნავენ. ერთხელ ჟწიგნაკებში ბალანსის შემოწმების დროს ნახეს, რომ ბანუს უფრო მეტი ეკონომია აქვს გაკეთებული, ვიდრე უღურს.





უღურმა საკუთარი თანხა შეუდარა ბანუს თანხას, აღმოაჩინა, რომ მას ბანუზე ნაკლები თანხა ჰქონდა, რამაც ძალიან გააკვირვა. ამ განსხვავების გასარკვევად ბანუმ შესთავაზა, რომ ერთი თვის განმავლობაში დახარჯული ფული გადათვალონ ამ განსხვავების მიზეზი აღმოაჩინონ. უღურმა ამ ოპერაციის განსახორციელებლად კალკულატორი გამოიყენა. შემნახველ წიგნაკში გაკეთებული ჩანაწერები სათითაოდ გადაათვალიერა, ყუთში მოთავსებული და ყუთიდან ამოღებული ფულის გადაანგარიშებით თანდათან ხვდებოდა, თუ რაში ყოფილა საქმე. მაგრამ მას აწუხებდა ის, თუ როგორ მოხდა, რომ ბანუს მასზე მეტი ფული ჰქონდა.



ბანუ მიხვდა უღურის წუხილის მიზეზს, წაიკითხა თავის წიგნაკში გაკეთებული ჩანაწერები და სთხოვა უღურს, რომ გადაეანგარიშებინა მისი წიგნაკის მონაცემებიც. ბანუს ფულის დაანგარიშებისას უღური საბოლოოდ მიხვდა, თუ რაში იყო საქმე. როცა ბანუ რამეს ყიდულობდა, მუდამ იმეორებდა: “ეს ჩემთვის ნამდვილად საჭიროა, თუ, უბრალოდ, მე მინდა?” ესე იგი, ბანუმ თანხები ძალიან ეკონომიკურად გამოიყენა. მისთვის არასაჭირო, ან უსარგებლო ნივთის შესაძენად ფული არ ჰქონდა დახარჯული. ცხოვრებაში ხარჯების დაანგარიშება და საყიდლების აუცილებლობის დადგენა ჩვენთვის სარგებლიანად არსებობის პირობებს შექმნის.

თქვენი საკუთარი ფულის ხარჯვის დროს იყენებთ თუ არა სარგებლიან გზებს? რა არის ეკონომიკური სარგებლიანობა? რა წარმოადგენს ეკონომიკური სარგებლიანობის საფუძველს?

თითოეულ ადამიანს ცხოვრებისთვის ფული სჭირდება და ადამიანები თანხებს სხვადასხვაგვარად იყენებენ. ზოგი ადამიანი ბევრ ფულს შოულობს, ზოგი კი ცოტას. ზოგი ადამიანი ბევრს ხარჯავს, ზოგი კი უფრო ხელმომჭირნეა. ზოგი ადამიანი შემოსავლის ერთ ნაწილს ხარჯავს, ზოგს კი სახარჯოდ მთელი შემოსავალი არ ჰყოფნის და ვალსაც იღებს, რომელიც თანდათან გროვდება.



**საყიდლების დროს ამ შეკითხვების ფურცელს თუ გამოიყენებთ, შეიძლება თქვენთვის სასარგებლო იყოს.**

იფიქრე, ვიდრე იყიდი:

• რისი ყიდვა მინდა?

• ეს მე ნამდვილად მჭირდება?

• ეს მე რატომ მინდა?

• ამის ყიდვისთვის რამდენი კვირის მანძილზე უნდა გავაკეთო ეკონომია?

• არის რაიმე ისეთი, რომელიც შეიძლება მის ნაცვლად გამოვიყენო?

• შეიძლება რომ, ეს ნივთში განვადებით ვიყიდო ან ნახმარი შევიძინო?

• ეს ნივთი დამეხმარება საფინანსო მიზნების მიღწევაში, თუ უფრო ხელსაყრელი იქნება რომ ფულის ეკონომია გავაკეთო, რათა მომავალში მასზე უფრო საჭირო ნივთი შევიძინო?

საქმისადმი წარმატებით გაძღოლის უნარის მქონე ადამიანები საკუთარ შემოსავალსა და ხარჯებს უფრო კარგად აკონტროლებენ. ოპტიმალური გაანგარიშებების გასაკეთებლად საჭირო იქნება ქვემოთ მოცემულ კითხვებზე პასუხის გაცემა:

- რამდენი თანხა გამოიმუშავეთ კვირის განმავლობაში?
- რამდენი დახარჯეთ?
- დახარჯული ფულით კიდევ რისი გაკეთება შეგეძლოთ?




წარმოიდგინეთ, რომ ობოლ და მიუსაფარ ბავშვთა სახლში ზეიმს მართავთ. განსხვავებულ რეჟიმში, თითოეული თქვენთაგანი, იქნება როგორც სტუმარი, ასევე მზარეული. ზეიმზე სხვადასხვა სახის კერძების მოსამზადებლად საჭირო იქნება თანხა, მაგრამ მთელი საბავშვო ბიუჯეტი დიდ თანხას არ შეადგენს. თქვენ, მცირე დანახარჯებით, უნდა მოახერხოთ სხვადასხვა კერძების მომზადება. თუ ბიუჯეტი საშუალებას არ გაძლევთ, იგი თქვენი მოსაზრებით შეადგინეთ. ამისთვის ქვ3ემოთ მოცემული ცხრილი შეგიძლიათ გამოიყენოთ და შემნახველ წიგნაკში აღნიშნოთ.

| ვაჭრობის თარიღი და მყიდველი | დეპოზიტი | დანახარჯი | საბოლოო ბალანსი |
|---|---|---|---|
| | | | |

თქვენ კიდევ რომელ სარგებლიან გზას შესთავაზებდით? ზეიმის ორგანიზებისთვის რომელ გეგმებს განახორციელებდით? გამოთქვით თქვენი შეთავაზებები. იმსჯელეთ უფრო სარგებლიანი შეთავაზების განსაზღვრისათვის.

ეკონომიკური სარგებლიანობა – სხვადასხვა სიახლეების დანერგვით, წარმოების შედეგზე დადებითი გავლენის მოსახდენ პირობებს ქმნის. ანუ სამეცნიერო-ტექნიკური სიახლეების დანერგვისას და მოსამზადებელ პერიოდში გაწეული ხარჯების შედეგად მიღებული პროდუქციის შეფასებით განისაზღვრება ეკონომიკური სარგებლიანობა. ამ დროს ეკონომიკური სარგებლიანობის დამახასიათებელი სხვა მაჩვენებლების დაანგარიშებაც ხდება: მოგება, შრომის ნაყოფიერება და ა.შ.

**წარმოადგინეთ ეკონომიკური სარგებლიანობის განმაპირობებელი ფაქტორები**

ეკონომიკური სარგებლიანობა იზრდება მაშინ, როცა გათვალისწინებული პროდუქციის ხარისხი და დონე თანხვედრაშია ფასთან. ამჟამად, რიგ ქვეყნებში, ახალი სახეობის პროდუქციაზე ინტენსიურად ხდება ტექნიკური პირობებისა და ფასების შემუშავება. ამ დროს პროდუქციის ღირებულებისა და ეკონომიკური სარგებლიანობის დონე განისაზღვრება. პროდუქციის ღირებულების განსაზღვრა ხდება ტექნიკის სარგებლიანობის კოეფიციენტისა და წარმოების მაქსიმალურად დაშვებული ხარჯების შეჯერებით.

ეს ღირებულება განსაზღვრავს სარეალიზაციო ფასს. სახელმწიფო სტანდარტების მაკონტროლებელმა ორგანოებმა ფასების განსაზღვრაზე მომუშავე ადგილობრივ ორგანოებთან ერთად უნდა იმუშაონ ფასწარმოქმნის საკითხებზე, რომ დანერგილმა სტანდარტებმა მოგვცეს ეკონომიკური სარგებლიანობა.

**საერთაშორისო სტანდარტების ორგანიზაცია (ISO), ენერგეტიკის, ელექტრონიკისა და ტელეკომუნიკაციის გარდა, ყველა სფეროში ამკვიდრებს საკუთარ სტანდარტს.**

**განმარტეთ, რა გავლენას ახდენს სამეცნიერო-ტექნიკური წინსვლა ეკონომიკურ სარგებლიანობაზე.**

ჩვენი ქვეყანა მდიდარია რესურსებით. მაგრამ ეკონომიკური პოტენციალის გეგმაზომიერად განვითარებისთვის აუცილებელია ამ რესურსების ყაირათიანად გამოყენება, იმიტომ, რომ ბუნებრივი რესურსების რაოდენობა და ხარისხი ეკონომიკური ზრდის უმთავრესი ფაქტორებიდან ერთ-ერთი უმთავრესია და უმნიშვნელოვანეს სასტარტო აქტივს წარმოადგენს. საერთოდ, როცა ვახსენებთ ფრაზას “ბუნებრივი რესურსი”, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ბუნებრივი რესურსი და ნედლეული.

**განმარტეთ ბუნებრივი რესურსების გავლენა ეკონომიკური განვითარების პროცესებზე.**







მიწა სოფლის მეურნეობის ინდუსტრიის განვითარებისათვის საჭირო ძირითადი რესურსია. მიწის მოსავლიანობა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების დონეს განსაზღვრავს. თუ ნიადაგი სიმლაშის, ქვიშიანობის ან სხვა მიზეზების გამო უვარგისია სოფლის მეურნეობისათვის, მაშინ საჭიროა იქნება დამატებითი კაპიტალის მოზიდვა მისი გაკეთილშობილებისათვის. ამის შედეგად ნიადაგის გამოყენება ხდება შესაძლებელი. თუ ნავთობს გამოვიყენებთ მხოლოდ როგორც მაზუთს, შედეგად მივიღებთ იმას, რომ რესურსი მალე გამოილევა, რაც გამ,ოიწვევს პროდუქციის გამოშვების მოცულობის შემცირებას.

შრომითი რესურსების მოცულობა და ხარისხი დიდ გავლენას ახდენს ეკონომიკის განვითარებაზე. შორმის რესურსების მაღალნაყოფიერად გამოყენებით შესაძლებელი ხდება პროდუქციის მოცულობის გაზრდა. აღსანიშნავია, რომ სამუშაო რესურსი დამოკიდებულია პერსონალის განათლებაზე და პროფესიულ დახელოვნებაზე, რაც გავლენას ახდენს ეკონომიკური ზრდის ფაქტორებზე.

ფაქტებით დაასაბუთეთ, თუ რა გავლენას ახდენს განათლება და პროფესიული დახელოვნება ეკონომიკური ზრდის ტემპებზე.

ეკონომიკურ ზრდაზე გავლენის მქონე ფაქტორებიდან ერთ-ერთია რესურსების ოპტიმალურად განაწილება.

რამდენადაც მნიშვნელოვანია რესურსების სასარგებლოდ გამოყენება ეკონომიკისათვის, იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს რესურსების სარგებლიანად განაწილებას. ვთქვათ, რომ გვაქვს ხე-ტყის მარაგი 82 ტონის რაოდენობით. ამ რესურსის გამოყენებით უნდა დავამზადოთ სამზარეულოს ავეჯი, მაგიდა და საძინებელი კომპლექტი. ესე იგი, 82 ტონა ხე-ტყე ისე უნდა გადავანაწილოთ, რომ შესაძლებელი გახდეს აღნიშნული პროდუქციის დამზადება. ერთი სიტყვით, ჩვენს საკუთრებაში მყოფი მარაგი მაქსიმალურად სარგებლიანად უნდა გამოვიყენოთ.

1. განმარტეთ რესურსების სარგებლიანად გამოყენების გავლენა ეკონომიკურ განვითარებაზე.
2. მოამზადეთ პრეზენტაცია "ოჯახში ეკონომიკის სარგებლიანობის" თემაზე.
3. მოამზადეთ სარგებლიანი ხარჯების პროექტი – "სკოლა საზეიმოდ ემზადება".
4. განმარტეთ მოსაზრება: "სახელმწიფოს შემოსავალი ეკონომიკური სარგებლიანობის შედეგია".
5. დაიანგარიშეთ ყოველკვირეული დანახარჯები და შეავსეთ ცხრილი.

| თარიღი | შემოსავლის წყარო და რაოდენობა | მე რა ვიყიდე(დანახარჯები) | რა ღირდა | ეს იყო უბრალო სურვილი თუ საჭიროება |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| ჯამი | | | | |

6. გააანალიზეთ და შეაფასეთ მოცემული წინადადება: "მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკური სარგებლიანობა სათავეს იღებს სამეცნიერო და ტექნიკური პროგრესისაგან".
7. მოამზადეთ პრეზენტაცია განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის წინსვლის შესახებ.
8. წარმოიდგინეთ, რომ საკუთრებაში გაქვთ შოკოლადის ფაბრიკა და კონკურენციის გადასალახად აუცილებელია გარკვეული პრევენციული ღონისძიებების გატარება. ამ შემთხვევაში უნდა აირჩიოთ სასარგებლო გზები. თქვენ რა ნაბიჯებს გადადგამთ?

# III სასწავლო ერთეული
# კულტურა და ტოლერანტობა

- ტოლერანტობა
- კულტურებს შორის ტოლერანტობა
- რელიგიური ტოლერანტობა
- სხვადასხვა რელიგიების მიმართ ტოლერანტობა
- ყოფაქცევის ნორმების ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა
- ზნეობრივი ვალდებულებები კაცობრიობის წინაზე
- მსოფლიოს შემეცნება

## 1. ტოლერანტობა

1572 წლის 23 აგვისტო. საღამო. მეფის დის ქორწილში უამრავი სტუმარი იყო თავშეყრილი, მათ შორის საფრანგეთის კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ განწყობილი არისტოკრატები და მღვდელმთავრები. უმეტესობა საკუთარი ოჯახებითა და ბავშვებით იყვნენ მობრძანებული. ღამით ქალაქის ჭიშკარი იკეტება, მეფის ჯარი იარაღს ისხამს. პროტესტანტული ოჯახების კარებზე ცარცით წინასწარ იყო გამოსახული ჯვარი. დაახლოებით ღამის სამ საათზე ეკლესიის ზარების ხმა გაისმა, რაც პროტესტანტებზე თავდასხმის სიგნალი იყო. ისინი საწოლში მძინარეები დახოცეს. პარიზში დაწყებული პროტესტანტების განადგურება ორი კვირა გაგრძელდა, საფრანგეთის სხვა პროვინციებსაც მოედო, რამაც უამრავი უდანაშაულო მამაკაცის, ქალისა და ბავშვის სიცოცხლე იმსხვერპლა. რელიგიური საფუძვლების გამო მომხდარი

**ეს მოვლენა ისტორიაში შევიდა როგორც "ბართლომეს ღამე", რაც სამარცხვინო ლაქად შერჩა არა მარტო საფრანგეთის, არამედ მთელი ევროპის ისტორიას.**

ფრანჩსკო დიუბუას ტილო "ბართლომეს ღამე". XVI საუკუნე



ბართლომეეს ღამე არ არის შეხედულებათა განსხვავების გამო ადამიანების მასობრივი განადგურების ერთადერთი შემთხვევა. მსოფლიოში ადამიანების მასობრივად განადგურების უამრავი სამწუხარო ფაქტი არსებობს. ისტორიაში ესპანეთი შევიდა როგორც არაკათოლიკეთა წინააღმდეგ ინკვიზიციის მოწყობის კერა, ამერიკის შეერთებული შტატები კი ისტორიაში შევიდა როგორც დაუნდობელი რასიზმის კერა, რომელიც რამდენიმე ასწლეულის განმავლობაში ფიზიკურად ანადგურებდა ამერიკელ ინდიელებს და დევნიდა ზანგებს. ადამიანთა მასობრივი განადგურების პიკად შეიძლება ჩაითვალოს 1939-1945 წლებში გაჩაღებული მეორე მსოფლიო ომის შედეგად ევროპაში გერმანელი ფაშისტების მიერ მოწყობილი ჰოლოკოსტი, რომლის შედეგადაც, არაარიული წარმოშობის გამო სიცოცხლე მოესპო ათასობით უდანაშაულო ებრაელს.


**ამერიკელი ინდიელი**

ჰოლოკოსტი – ბერძნულად HOLOS ნიშნავს ყველას, kaustos კი ნიშნავს – დამწვარია. იგულისხმება გერმანიაში ნაცისტური მთავრობის მიერ ებრაელების მიმართ მოწყობილი გენოციდი.

ზოგადად რელიგიური, ეთნიკური, რასობრივი, სქესობრივი, პოლიტიკური, იდეოლოგიური განსხვავებების გამო დევნისა და ძალადობის შემთხვევები ფიქსირდებოდა მრავალ ქვეყანაში. ასეთმა მოვლენებმა, XX საუკუნის შუა პერიოდში, მსოფლიოს ხალხები და მოწინავე საზოგადოებრიობის წარმომადგენლები დააფიქრა და ისინი იძულებული გახდნენ გაეწიათ პროპაგანდა საიმისოდ, რომ ადამიანებს ერთმანეთის მიმართ მეტი მოთმინება გამოეჩინათ.



**რომელი დოკუმენტია მიღებული სიძულვილის საწინააღმდეგოდ? რა მნიშვნელობა ენიჭება კაცობრიობისათვის ამ დოკუმენტის მიღებას?**

1948 წელს მიღებული იქნა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. ამ დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ "ადამიანი აღიარებს ოჯახის წევრების ღირსებას და თანასწორობას, როგორც თავისუფლების განუყრელი უფლებას, სამართლიანობას და ეს მის საერთო სამყაროს ქმნის. პიროვნების უფლებათა მიმართ უყურადღებობას და სიძულვილს, პიროვნების მრისხანებას სიველურის გამოვლინებამდე მიჰყავს ადამიანი". ამ დეკოლარაციის შემდეგ თმენის თაობაზე უამრავი დადგენილებაა მიღებული, მაგრამ ყველაზე ცხადი დოკუმენტია 1993 წელს ევროსაბჭოს ქვეყნების ვენის შეხვედრაზე მიღებული სამოქმედო გეგმა, სადაც რასიზმის, უცხოელთა მიმართ სიძულვილის და გაუტანლობის გამოხატვის და სხვა ამგვარი შემთხვევების საწინააღმდეგო პუნქტებია გაწერილი. 1995 წელს იუნესკოს მთავარი კონფერენციის სესიაზე მიღებული იქნა თმენის ვალდებულების პრინციპების დეკლარაცია, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ მოთმინება, უპირველეს ყოვლისა, ადამიანთა თავისუფლებების და უნივერსალურ უფლებათა აღიარების საფუძველზე ჩამოყალიბებული აქტიური ურთიერთობაა.

**ყაზანის კრემლი იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია და რელიგიური ტოლერანტობის სიმბოლოა. კრემლის ტერიტორიაზე მართლმადიდებლური ეკლესია და კულშარიფის მეჩეტი გვერდიგვერდ დგანან.**





თმენის მცნება უმეტეს შემთხვევაში მოიხსენიება როგორც "ტოლერანტობა". ტოლერანტობა, თმენა, სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, სხვათა რწმენისა და შეხედულებების მიმართ პატივისცემა, მათი არსებობისადმი მოთმინების გამოხატვაა. მოთმინება სხვა რელიგიის, ერის, კულტურის, ადათ-წესების, შეხედულებების, თვისებების მიმართ მშვიდ დამოკიდებულებას, მათი არსებობისადმი თმენის დემოსტრირების გამომხატველია.

ტოლერანტობის მცნების ცხადი განმარტება ჰეიდარ ალიევს ეკუთვნის. მას უთქვამს: "ტოლერანტობა, მოთმინება, ფართო მცნებაა. იგი არა მხოლოდ ადამიანურ, არამედ სახელმწიფოთა შორის, ერებს შორის, რელიგიათა შორის ურთიერთობების უამრავ მხარეებს მოიცავს... ტოლერანტობა არა მხოლოდ რელიგიათა შორის თმენაა, არამედ ერთმანეთის ადათ-წესების, ზნეობრივი ნორმების, კულტურის მიმართ პატივისცემას აღნიშნავს".

მკვლევარები აღნიშნავენ, რომ თმენის მცნება ევროპაში XVI–XVII საუკუნეებში გაჩნდა. მაშინ მოთმონება მხოლოდ რელიგიასა და ადამიანის სინდისის თავისუფლებასთან იყო დაკავშირებული.

1648 წელს ხელმოწერილი დოკუმენტი "მშვიდობის ფესტივალი" რელიგიურ თმენასთან დაკავშირებულ პირველ დოკუმენტად ითვლება. მაგრამ ეს დოკუმენტი დაწერის დღიდან ფუნქციის გარეშე დარჩა. ასე რომ, ამის შემდეგ ომი და რელიგიური შუღლი გახლდათ იმის მტკიცებულება, რომ ჯერ კიდევ არ არსებობდა თმენის იდეოლოგიის განხორციელებისათვის შესაბამისი გარემო.



თურქეთის დედაქალაქ ანკარაში ტერორიზმის საწინააღმდეგო მიტინგი “არა – ტერორიზმს, კი – ძმობას”!

თმენის შესახებ სრული მოსაზრებების ჩამოყალიბება დაიწყო XX საუკუნის დასაწყისში, მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ. მაგრამ ამ დროს პოლიტიკური ლიდერები თმენას კი არ ქადაგებდნენ, არამედ მხარს უჭერდნენ მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს.

დღეს ტოლერანტობა აღიარებულია როგორც ადამიანთა უფლებების განსახორციელების, მშვიდობის მიღწევის განუყრელი ნაწილი. ტოლერანტობა ძლიერ ურთიერთობებს აყალიბებს, გზას უხსნის ადამიანებს მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობისთვის, აძლიერებს ადამიანებს შორის სოლიდარობას. ტოლერანტობა ხელს უწყობს მტრობას და აზრთა სხვადასხვაობას აღკვეთას, იმარჯვებს ძალადობასა და შიშის დანერგვაზე და საზოგადოებას მხარში უდგას როგორც უსაფრთხოების უზრუნველმყოფელი ძალა.

ტოლერანტობა ადამიანთა უფლებებსა და სინდისთან დაკავშირებულ თავისუფლებასა და უფლებებს დემოკრატიულ საფუძველზე აყალიბებს. ტოლერანტობა ითვლება რასიზმის, ტერორიზმისა და ექსტრემიზმის საწინააღმდეგო ძალად და გამორიცხავს ყოველგვარ ძალადობას.

სიყვარული, მშვიდობა და ერთობა



**ტოლერანტული საზოგადოების შექმნისთვის აუცილებელია ტოლერანტი ადამიანის ჩამოყალიბება. ვინ არის ტოლერანტი ადამიანი?**

ტოლერანტი არის ის პიროვნება, რომელიც პატივს სცემს საკუთარ მეტოქეებს. ტოლერანტი ადამიანი არის ის პიროვნება, ვისაც გააჩნია საპირისპირო შეხედულებათა მიმართ თმენა, საკუთარ შეხედულებათა სხვებისათვის არა ძალით თავს მოხვევა, არამედ მათი დარწმუნება, ადამიანის უფლებათა დამცველი, სხვების ღირსების მიმართ პატივისცემის გამომხატველი, რადგან ტოლერანტული ურთიერთობა ერთმანეთზე დამოკიდებული ურთიერთობაა, ანუ, თუ თქვენ შეგიძლიათ შეუნდოთ სხვებს, სხვებიც შეგინდობენ შენ! ტოლერანტი დიალოგისა და თანამშრომლობის პროცესებში არკვევს საკუთარ და სხვების აზრთა შორის სხვაობას, აღმოფხვრის სადაო საკითხებს და კონფლიქტების მოგვარებას ცდილობს განხილვისა და დარწმუნების გზით.

როგორ ფიქრობთ, თქვენი აზრით, თქვენ ტოლერანტი ხართ? საკუთარი თავის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება იქონიეთ. განსაზღვრეთ ტოლერანტულ ადამიანსა და თქვენს შორის მსგავსება და განსხვავებული თვისებები.

ტოლერანტობა ადამიანის უფლებათა განხორციელების, მშვიდობისა და თანამშრომლობის მიღწევის ძირითადი ფაქტორებიდან ერთ-ერთია. ტოლერანტობა მტრობასა და აზრთა შორის სხვაობას აღკვეთს, იმარჯვებს ძალადობაზე, უზრუნველყოფს საზოგადოების სტაბილურ განვითარებას და უსაფრთხოებას. ტოლერანტობით ადამიანებს შეუძლიათ შექმნან მჭიდრო და მასშტაბური ურთიერთობები, საკუთარ საშუალებათა და საქმიანობის მშვიდობიანად დარეგულირება, საკუთარი ინტერესების და მოთხოვნილებათა ნაკლებწინააღმდეგობრივი გზით განხორციელება.

მაგრამ თმენის არსებობისთვის უნდა იყოს მისთვის შესაბამისი სოციალური, პოლიტიკური, კულტურული გარემო. თმენითი ქცევის სტილი თავისუფალ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობათა ჩამოყალიბებას მოითხოვს. ასეთ საზოგადოებაში თანამშრომლობა და დიალოგი იმის პირობას ქმნის, რომ ერთმანეთის მიმართ ადამიანები მოიქცნენ როგორც თანასწორუფლებიანი და ხელშეუხებელი ინდივიდები. ამ მნიშვნელობით ნამდვილი ტოლერანტული ურთიერთობების არსებობა შესაძლებელია დემოკრატიული გარემოს მქონე საზოგადოებაში. დემოკრატიული საზოგადოება ისეთი საზოგადოებაა, სადაც ერთი ადამიანის თავისუფლება ხელს არ უშლის სხვა ადამიანების თავისუფლებას. იგი გამოირჩევა სხვადასხვა შეხედულებათა სიმრავლით და სოციალური ჯგუფებისათვის ქმნის საკუთარი ინტერესებისა და სარგებლობის გამოხატვის საშუალებებს.

**როგორი ურთიერთობები არსებობს ტოლერანტობისა და დემოკრატიის პრინციპებს შორის? იმსჯელეთ ამის თაობაზე კლასელებთან ერთად.**

პლურალიზმის პირობებში თითოეულ ადამიანს შეუძლია იქონიოს საკუთარი შეხედულებები, მაგრამ, ამავდროულად, სხვების უფლებებისა და განსხვავებული აზრის მიმართ იჩენს მოთმინებას და ავლენს პატივისცემას. ასე რომ, ტოლერანტული საზოგადოება მულტიკულტურული საზოგადოებაა, სადაც პლურალიზმი ბატონობს.

**განმარტეთ, მცნება მულტიკულტურული საზოგადოება. რა არის ამ საზოგადოების ჩამოყალიბების დანიშნულება?**

თითოეული ერის მოთმინების უნარი და თმენისადმი დამოკიდებულება განსხვავებულია. როგორც ჩანს, ტოლერანტობის საფუძველს პიროვნების ძირითადი ფასეულობები შეადგენს. ტოლერანტობის გარეშე საზოგადოებრივი სტაბილურობა და მშვიდად ცხოვრება შეუძლებელია. მაგალითად, სომხეთმა მთელ რიგ საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და პირობებზე ხელმოწერის მიუხედავად სომხეთში მცხოვრები აზერბაიჯანელები განდევნა საცხოვრებელი ადგილებიდან და განახორციელა ხოჯალის ტრაგედია. ეს იმის მიმანიშნებელია, რომ იქ ტოლერენტული ფასეულობები არ არსებობს. ამიტომაც, ექსპერტები ამბობენ, რომ თმენა გამოიხატება ფორმალური და არაფორმალური სახით. ტოლერანტობას ზოგი ერები საკუთარ კანონმდებლობასა და კონნსტიტუციაში აღნიშნავენ, სხვები კი მხოლოდ ეროვნული თვისებების ერთ ნაწილად მიიჩნევენ.

**ხოჯალის გენოციდი**










აზერბაიჯანელი ერი მიიჩნევს, რომ ტოლერანტობა მისიეროვნული აზროვნების შედეგია. ამასთანავე, აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციის იდეოლოგიური და პოლიტიკური სხვადასხვაობა მრავალპარტიული პოზიციით არის განმტკიცებული. ეს კი ჩვენი მოქალაქეების ტოლერანტულ და ჰუმანურ აღზრდას ემსახურება. ამიტომაც, აზერბაიჯანის სახელმწიფო საჯარო-საგანმანათლებლო სკოლების მოთხოვნებიდან ერთ-ერთი, თითოეული თქვენთაგანის, ანუ მომავალ მოქალაქეებს შორის თანასწორი პირობებისა და ურთიერთთანამშრომლობის სულისკვეთების შექმნაა.

**პარიზში, ჰეიდარ ალიევის მხარდაჭერით გაიმართა მსოფლიოში სახელგანთქმული ფოტოგრაფის რეზა დეკატის ფოტოგამოფენა სახელწოდებით "აზერბაიჯანი ტოლერანტული ქვეყანა".**

**1. განმარტეთ მცნება ტოლერანტობა და ჩამოთვალეთ მისი თვისებები.**
**2. როგორი საზოგადოებაა ტოლერანტული საზოგადოება? აღწერეთ იგი.**
**3. რატომ ითვლებიან საპირისპირო მცნებად კონფლიქტი და ტოლერანტობა? ჩამოთვალეთ მათი განმასხვავებელი ფაქტორები.**
**4. დამატებითი ინფორმაციული წყაროების გამოყენებით დაადგინეთ მულტიკულტურული გარემოს რაობა.**
**5. მოამზადეთ პრეზენტაცია სათაურით "აზერბაიჯანი ტოლერანტული ქვეყანაა".**
**6. დაწერეთ ესე სახელწოდებით "მე მსოფლიოში ტოლერანტობა მინდა".**

## 2. კულტურათაშორისი ტოლერანტობა

ჩვენს გარემოში სხვადასხვა ჩაცმულობის, განსხვავებული სტილის მქონე, განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანი ბევრია. თქვენ გიფიქრიათ ოდესმე იმაზე, თუ რატომ იცვამენ ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავებულად, რატომ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ცხოვრების სტილით, რატომ იქცევიან განსხვავებულად, თქვენთან შედარებით განსახვავებულ მუსიკას უსმენენ, განსხვავებულ წიგნებს კითხულობენ და ა.შ.? ჩვენ ეს ყოველთვის ნორმალურად მიგვაჩნია და მუდამ ვცდილობთ პატივისცემა გამოვავლინოთ მათ მიმართ. ყოფილა შემთხვევა, როცა ვიღაცის განსხვავებულ თვისებას გაუღიზიანებიხართ? ამ დროს რა გააკეთეთ?











ტოლერანტობა – მსოფლიოში კულტურების უამრავ სხვადასხვაობას, არსებული თვითგამოხატვის ფორმების პატივისცემას, მათ აღიარებას და სწორად შემეცნებას გამოხატავს. ტოლერანტობის სფეროებიდან ერთ-ერთი კულტურული ტოლერანტობაა. კულტურული ტოლერანტობის არსებობა კულტურულ განსხვავებებზე მიგვანიშნებს. მსოფლიოში არსებობს ათასობით კულტურა.

**რა არის კულტურა?**

ალბათ იცით, რომ კულტურას აქვს მატერიალური და მორალური სახე. სინამდვილეში კულტურა მასშტაბური და მრავალი მნიშვნელობის მქონე მცნებაა.



ისტორიაში პირველად მცნება "კულტურა" ლათინებმა გამოიყენეს და "მიწის დამუშავების" მნიშვნელობას ატარებდა. მაგრამ საუკუნეების შემდეგ კულტურა ადამიანთა ინტელექტუალური დონის, მათი განათლებისა და ზრდილობის, ზნეობის, განათლებისა და ესთეტიკური აზროვნების, შემოქმედებითი შეხედულებების, ადათ-წესების და ისტორიული გამოცდილების გამოხატულებად იქცა.

ხელოვნება, ლიტერატურა, მუსიკა, ხატვა. მაგრამ კულტურა უფრო ფართო სფეროს მოიცავს. ის საზოგადოების წევრების ცხოვრების ყოველნაირ სტილს აერთიანებს: ჩაცმის სტილს, ქორწინების ცერემონიალს, ოჯახურ ცხოვრებას, შვილებსა და ნათესავებს შორის ურთიერთობებს, შრომით მოღვაწეობას, რელიგიურ დღესასწაულებს, თავისუფალი დროის გამოყენების წესს და ა.შ.

**როგორ შეძლო მიწის დამუშავების აღმნიშვნელმა სიტყვა "კულტურამ" მასშტაბური მნიშვნელობის შეძენა?**

თითოეული ადამიანი კულტურულ ურთიერთობების დამყარების ინდივიდუალურ უნარს ფლობს. ამასთანავე, იგი დიდი კულტურული საზოგადოების შემადგენელი ნაწილია. იგი საკუთარი ხალხის, ერის ეთნიკური წარმოშობის კულტურის მატარებელია. ამიტომაც აზერბაიჯანელ მეცნიერს იუსუბ რუსტამოვს უთქვამს: "მსოფლიოში არ არსებობს ისეთი მრავალმნიშვნელოვანი მცნება, როგორიცაა კულტურა. ამ მნიშვნელობით კულტურა კაცობრიობის ნაირფეროვნებისა და სხვადასხვაობის გამოხატულებაა" კაცობრიობის.

**ადამიანთა კულტურის გარემოს კიდევ რომელი სფეროები შეიძლება დავუმატოთ? ჩამოთვალეთ.**

ცივილიზაცია ლათინური სიტყვაა, "სივის" აღნიშნავს სამოქალაქოს. ცივილიზაცია მოიცავს საზოგადოების თავისებურ პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებას.

კულტურული სხვადასხვაობა თანამედროვე მსოფლიოს კულტურის სახეა.

კულტურა შემოქმედებითი აზროვნების ნაყოფია. იგი ადამიანთა არსებობის სიღრმესა და უსაზღვრობას გამოხატავს. ამ მნიშვნელობით, კულტურა, ასევე, ადამიანის ვინაობის გამომხატველიცაა. ადამიანები რამდენადაც განსხვავებული არიან ერთმანეთისაგან, იმდენად განსხვავებულია მათი კულტურა. იგი არა მარტო შემოქმედებითი თვისებების მატარებელია, არამედ შემოქმედებითი შედეგების აზროვნების თვისების აღმნიშვნელიცაა. შრომითი კულტურა, ქცევის კულტურა, აზროვნების კულტურა განსაზღვრავს ადამიანთა განვითარების დონეს. ამ მნიშვნელობით კულტურის შიგნით არსებობს უამრავი კულტურა.

უფრო დიდ კულტურებს ცივილიზაციას* უწოდებენ. მაგალითად უძველესი ცივილიზაცია, დასავლური ცივილიზაცია, ისლამური ცივილიზაცია, თურქული ცივილიზაცია და ა.შ.



მოიყვანეთ მაგალითები უძველესი ცივილიზაციის არსებობის შესახებ.

XX საუკუნეში ჩვენს პლანეტაზე მომხდარი ორმა მსოფლიო ომმა, რევოლუციებმა და ტოტალიტარული რეჟიმების დღეგრძელობამ მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ვანდალიზმის ამაზრზენმა მაგალითებმა მსოფლიო საზოგადოებრიობა დააფიქრა იმაზე, რომ კულტურაზე განსხვავებული შეხედულებები არსებობენ.

მსოფლიოში არსებულმა მცნებამ “ტოლერანტობა” საზოგადოებაში კულტურის სფეროში არსებული განსხვავებები წინა პლანზე წამოსწია.

განმარტეთ ჩვენს ენაში მცნება “ტოლერანტობის” შემოღების მიზეზები.

თითოეული ერის კულტურა მისი წარსულის გამოცდილებიდან მომდინარეობს. ეს კულტურული გამოცდილება, სხვადასხვა გარე ფაქტორების გავლენის მიუხედავად რომ შეინარჩუნო და შეურყვნელად გადასცე მომავალ თაობას, თანამედროვე ეპოქის ერთ-ერთ მძაფრ პრობლემას წარმოადგენს. მაგალითად, თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების მეშვეობით, დღეს მსოფლიოში ყალიბდება ზოგადსაკაცობრიო კულტურული სივრცე. ამ დროს კულტურათა ურთიერთობების განვითარების კვალდაკვალ, ადამიანები უნებლიედ იზიარებენ უცხო კულტურათა საფუძვლებს. ეს მასობრივი კულტურაა. მისი ფენომენი განპირობებულია მსოფლიოს სხვადასხვა ადგილებში ერთდროულად ერთიდაიგივე ფილმების დემონსტრაციით



და ერთნაირი ცხოვრების სტილის დანერგვით, ერთნაირი მუსიკის მოსმენით, ერთნაირი კულტურული ფენომენების შემოტანით და ა.შ. მასიური კულტურის ელემენტების სოციალური ქსელებით სწრაფად გავრცელება, ტექნოლოგიის ხშირი ცვლა თითქოს უფრო აახლოებს ადამიანებს ერთმანეთთან, მაგრამ სინამდვილეში ცვლადი კულტურული ატმოსფერო, მათ შორის კულტურული კავშირების ცვალებადობა ხშირად ცვლის ამ კავშირებს.



კულტურათა შორის ურთიერთობათა ჩამოყალიბებაში როგორი მნიშვნელობა ენიჭება ინფორმაციის მსოფლიოს ნებისმიერ ადგილებში თანაბრად განაწილებას?

ყველა არ ეთანხმება ინფორმირებული საზოგადოების ამგვარ მიდრეკილებებს, იმიტომ, რომ კულტურასთან ერთად ადამიანებისათვის ცხოვრების ჩვეული სტილიც იცვლება. პროცესები გვიჩვენებს, რომ ამგვარი, კულტურათა შორის არსებული კონფლიქტები, მხოლოდ კულტურული ტოლერანტობისა და დიალოგის მეშვეობით შეიძლება მოგვარდეს.

დაასაბუთეთ კულტურებს შორის გამართული დიალოგების აუცილებლობა. გააანალიზეთ ამ დიალოგის მნიშვნელობა.

კულტურა ადამიანების ერთმანეთისაგან დასაშორებლად არაა მოწოდებული. პირიქით, იგი აახლოებს ადამიანებს. მაგალითად, ევროპაში კულტურის განვითარებაზე დიდი გავლენა იქონიეს ისლამური მეცნიერების ნაშრომებმა. ისტორიულად უტყუარი ფაქტია, რომ სხვადასხვა კულტურები ერთმანეთისაგან იკვებებოდნენ



თანამედროვე ეპოქაში კულტურებს შორის ურთიერთკავშირის დამყარება და დიალოგი უფრო სწრაფად ხდება. შეგვიძლია მოვიყვანოთ უბრალო მაგალითი. ჩაი, რომელსაც დღეს მთელი მსოფლიო იყენებს ჩინური კულტურის ელემენტია, ყავა – არაბული კულტურას წარმოადგენს, შარვალი და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი უძველესი თურქული კულტურის ელემენტია. კიდევ უამრავი ამგვარი ფაქტის მოყვანა შეიძლება.

ინტერნეტის და სხვა წყაროების გამოყენებით ჩაატარეთ კვლევა, მოიძიეთ დამატებითი მასალები და მიუმატეთ აღნიშნულ სიას.





ამ მნიშვნელობით, მსოფლიოს სხვადასხვა კულტურათა მუდამ ერთმანეთთან ურთიერთობაში ყოფნა ბუნებრივი მოვლენაა. რამდენადაც ფართო და მდიდრულია მსოფლიოს კულტურული ტრადიციები, იმდენად მდიდარია მთლიანობაში ზნეობრივი ყოფაც, იმიტომ, რომ კულტურული სიმდიდრეები კულტურის მხოლოდ გარეგან ფორმას წარმოადგენს. მისი ნამდვილი შინაარსი კი ადამიანის შინაგანი ბუნება გახლავთ.

ტოლერანტობას, საკუთარი არსის გამო, ფართო სამოქმედო მიმართულება გააჩნია. ასე რომ, ეს მცნება პასიური თმენა კი არ არის, არამედ პირიქით, აქტიური ყოფაქცევაა. ადამიანი სხვათა კულტურის თმენით, პატივისცემის გამოვლენით, საკუთარ კულტურას გასავრცელებლად ძალა არ ატანს, პირიქით, მის მქადაგებლად იქცევა, თვითგანვითარების განსხვავებულ მოდელს ქმნის.

კულტურული ტოლერანტობა ზნეობრივი თვისებაა. მას სხვების ინტერესების, რწმენის, შეხედულების, ჩვევისადმი თმენითი დამოკიდებულება ახასიათებს. კულტურული ტოლერანტობა სხვა ადამიანისადმი პატივისცემას, მისი საკუთარი შეხედულებების აღიარების აღმნიშვნელია. ტოლერანტობა ჩვენგან განსხვავებული ადამიანების რაობის არსებული სახით აღიარებაა. ის საკუთარ თავში არსებული რწმენის გამომხატველია, ადამიანის განსახვავებულ მოსაზრებასა და შეხედულებებისაგან, ზნეობრივი კონკურენციისაგან თავის არარიდებას და საკუთარი პოზიციის სიმყარეს მკაცრად გამოხატავს.



**შეადარეთ კულტურებზე ტოლერანტული დამოკიდებულება რელიგიურ ტოლერანტობასთან.**

დღეს აზერბაიჯანი აქტიურად მონაწილეობს მსოფლიოს კულტურულ ცხოვრებაში. ამას უკანასკნელ წლებში ჩვენი ქვეყნის წიაღში მიმდინარე ისეთი მოვლენები ადასტურებენ, როგორიცაა დიდი ღონისძიებები – "ევროვიზიის" მუსიკალურ კონკურსებში და მუღამის კონკურსებში მონაწილეობა, პირველი ევროპული თამაშები, სხვადასხვა ფესტივალები და კონფერენციები. ჩვენი ქვეყნის ლიდერი ილჰამ ალიევი და მისი მეუღლე მეჰრიბან ალიევა ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ აზერბაიჯანი გადააქციონ გლობალურ სამყაროში მონოკულტურათა ქვეყნად და კულტურული ტოლერანტობის ნიმუშად.

**1. ჩვენი ერის რომელ მატერიალურ და კულტურულ ნიმუშებს იცნობთ? სისტემატიზებულ ცხრილში გააკეთეთ აღნიშვნები.**
**2. როგორ გესმით მცნება "კულტურული სხვადასხვაობა"? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.**
**3. ჩვენს ცხოვრებაში სხვა ერებისაგან რომელი ელემენტებია შემოსული? მათ შორის შეგიძლიათ შეარჩიოთ ისეთები, რომელიც არ აზიანებენ ჩვენსეროვნულ ზნეობრივ თვისებებს?**
**4. მოამზადეთ პრეზენტაცია სახელწოდებით "პლანეტის კულტურული რუქა".**
**5. ფაქტებით დაამტკიცეთ, რომ პირველი ევროპული თამაშების ჩვენს ქვეყანაში ჩატარება კულტურათა შორის ტოლერანტობის მაგალითია.**
**6. შეჯიბრებათა ორგანიზებას, ასევე ევროვიზიის მიერ მოწყობილ კონკურსებს რა მნიშვნელობა აქვთ ქვეყნებისათვის? განმარტეთ.**

## 3. რელიგიური ტოლერანტობა

2001 წლის 5 იანვარს რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს ჰეიდარ ალიევმა თქვა: "აზერბაიჯანი მთელი ზეციური რელიგიების უმაღლესი ზნეობრივი თვისებების შემცველ მდიდარ მემკვიდრეობას ფლობს. ამიტომაც, დიალოგისთვის მოწოდებას, მიუხედავად რელიგიისა და ეთნიკური წარმოშობისა, ყოველთვის მხარს უჭერს... ჩვენს ქვეყანაში, სადაც მეგობრული და ურთიერთთანამშრომლობის გარემო დომინირებს, რელიგიური თმენა და ტოლერანტობა ჩვენი ერის ცხოვრების სტილადაა ქცეული".

გამოხატეთ თქვენი დამოკიდებულება დიდებული ლიდერის მოსაზრებისადმი. რისგან შედგება აზერბაიჯანის რელიგიური ტოლერანტობის პოზიცია?

1. 2003 წელს ბაქოში მართლმადიდებლური ეკლესიის გახსნაზე

2. ბაქოში სათაო კათედრალური ეკლესიის გახსნაზე





დემოკრატიული საზოგადოება სხვებისაგან განსხვავდება ადამიანის ღირსებისა და პატივის დაცვის მხრივ. მიუხედავად ერისა, რელიგიისა, რასისა, სქესისა, ასაკისა, სოციალური სტატუსისა ადამიანთა უფლებებს დემოკრატიულ ქვეყნებში მკაცრად იცავენ. ასეთ საზოგადოებაში სოციალური და უფლებრივი უსამართლობა, ეროვნული, რასისტული და რელიგიური უთანასწორობა დაუშვებელია. მთელი კონფლიქტები და დავები, ურთიერთთანამშრომლობით და ოპტიმალური გზების ძებნაზე მიმართული დიალოგით, კანონითა და ღირსების უზენაესობის ჩარჩოებში წყდება. ამიტომაც, თმენას საკაცობრიო მნიშვნელობა გააჩნია. დღეს ტოლერანტად ყოფნა არის უმთავრესი ფაქტორებიდან ერთ-ერთი, რომელიც ემსახურება სამხედრო და რელიგიურ კონფლიქტებით აღსავსე პლანეტის ცივილიზაციის უსაფრთხოებას.

**რატომაა დემოკრატიულ საზოგადოებაში მთავარ ფაქტორად მიჩნეული ტოლერანტად ყოფნა?**

კაცობრიობა, საზოგადოების წინაშე საკუთარი მისიისა და როლის მცოდნე ხალხი ცდილობს ტოლერანტობის უზრუნველყოფის საქმეში საკუთარი წვლილის შეტანას, რადგან საზრიანმა ადამიანებმა კარგად იციან, რომ ტოლერანტობა ყოველდღიურ პრაგმატულ მოთხოვნილებაზე მეტად ემსახურება საკუთარი მოქალაქეების, ერის, ხალხის და სახელმწიფოს უსაფრთხოებას.

დღეს კაცობრიობის წინაშე მდგარი პრობლემებიდან ერთ-ერთი – რელიგიური ტოლერანტობა, საბოლოოდ კიდევ არ არის დამკვიდრებული. სხვა უმეტესი ქვეყნებისაგან განსხვავებით აზერბაიჯანი შეიძლება მოყვანილ იქნას ტოლერანტობის თვალნათელ მაგალითად. დიდებული ლიდერის ჰეიდარ ალიევის პოლიტიკას ამჟამად განაგრძობს ილჰამ ალიევი.

აზერბაიჯანი რომ რელიგიათაშორის დიალოგის და თანამშრომლობის სფეროში უნიკალური გამოცდილების მქონე ქვეყანაა, ადასტურებს 1996 წლის 26 სექტემბერს, ვატიკანში, რომის კათოლიკური ეკლესიის წინამძღვარ პაპ იოანე-პავლე მეორესთან ჰეიდარ ალიევის შეხვედრა. კათოლიკური საზოგადოება აზერბაიჯანში 1999 წელს შეიქმნა. საზოგადოების წევრთა შეხვედრები კერძო სახლებში იმართებოდა.





2002 წლის 22-24 მაისს აზერბაიჯანში შედგა რომის პაპის ვიზიტი, რომელმაც განსაკუთრებით გაუსვა ხაზი აზერბაიჯანის ისტორიული თმენის ტრადიციებს. ამ შეხვედრის შემდეგ ბაქოში აშენდა კათოლიკური ეკლესია. ამჟამად კათოლიკურ საზოგადოებას ვატიკანის მიერ დანიშნული ორი მოძღვარი ემსახურება.







2010 წელს ბაქოში გამართულ "მწვერვალის შეხვედრაზე", სახელწოდებით – "გლობალიზაცია, რელიგიური, ტრადიციული ღირებულებები", შეიკრიბა მსოფლიოს 33 ქვეყნის ტრადიციულ რელიგიათა 200-ზე მეტი დელეგატი.




**დაასაბუთეთ, რომ ილჰამ ალიევი წარმატებულ პოლიტიკას აწარმოებს ტოლერანტობის სფეროში. რელიგიური ტოლერანტობის დასაბუთებისათვის მოიყვანეთ ფაქტები.**

**"ტოლერანტობა აზერბაიჯანის სავიზიტო ბარათია".**

**აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი.**

მსოფლიოში ხალხთა და ერების ოდენობის შესაბამისი რელიგიები და სარწმუნოებები არსებობენ. თითოეული მორწმუნე ადამიანი საკუთარ თავში დარწმუნებულია, რომ მისი რელიგია სხვა რელიგიებზე უფრო სრულყოფილია. ამიტომაც, დღეს რელიგია ადამიანთა ცხოვრების სტილზე, ქცევის წესებზე და შეხედულებებზე მოქმედ კანონმდებლობაზე მეტ გავლენას ახდენს. საბჭოთა კავშირის დაშლამ დაამტკიცა, რომ ადამიანების რელიგიისაგან საბოლოოდ მოწყვეტა შეუძლებელია. მრავალი წლის განმავლობაში რელიგიის უარმყოფელმა საბჭოთა ხელისუფლებამ ადამიანებში ვერ ჩაახშო რელიგიისადმი სწრაფვა. დევნამ და რეპრესიებმა ადამიანები უფრო დააახლოვა რელიგიასთან.

**რელიგიური დევნის მიუხედავად, რა იყო ადამიანებში რწმენის მატების მიზეზი? რა იყო საბჭოთა ხელისუფლების მიერ რელიგიის ჩახშობის მიზეზი? განსაზღვრეთ ამგვარი მმართველობის უარყოფითი მხარეები.**

აზერბაიჯანელი ერის თაყვანს სცემს ისლამურ რელიგიას. ისლამმა დიდი როლი ითამაშა ეროვნული აზროვნების ჩამოყალიბებაში.

ისლამის რელიგიამ ჩვენი ერი მსოფლიოს მუსულმანთა თანამოაზრედ აქცია და მათთან დააახლოვა. საერთოდ, მუსულმანები, საკუთარ რელიგიას ზეციურ რელიგიათა შორის უკანასკნელ, სრულყოფილ რელიგიად აცხადებენ. შემთხვევითი არ არის ის, რომ ისლამურმა რელიგიამ, ჯერ კიდევ წარმოქმნისთანავე დაარწმუნა ყველა, რომ იგი არის დემოკრატიული და ტოლერანტული რელიგია და ისლამამდე არსებულ ერთღმერთიან რელიგიებს ტოლერანტობა გამოუცხადა. ამის თაობაზე შეგიძლიათ წაიკითხოთ ყურანში, სურა "ალ-ბაყარა" აიათ 62-ში.

**ეს სურა ყურანში იპოვეთ და წაიკითხეთ. შეეცადეთ განმარტოთ მისი მნიშვნელობა.**

*შემთხვევითი არ არის, რომ რელიგიური თმენის პირველი მკვლევარებიდან ერთ-ერთი – ჯ. ლოკი ამბობდა: "თუ ერთ რელიგიაში სიყვარული, კეთილგანწყობა და შეწყალება არ არსებობს, იგი არ შეიძლება სრულყოფილ რელიგიად ჩაითვალოს". მხოლოდ გულწრფელ და ზნეობრივ ადამიანებს შეუძლიათ უძლვნან რელიგიურ სხვადასხვაობებს თმენა და საზოგადოებას მშვიდობა.*

***გამოხატეთ თქვენი დამოკიდებულება ჯ. ლოკის მოსაზრებისადმი.***



ყურანი ჩვენს საზოგადოებას მოგვიხმობს, რომ ვიცხოვროთ ერთობითა და მშვიდობით. აგრეთვე, მოუწოდებს ადამიანებს სამართლიანობისაკენ, თანასწორობისაკენ, ძმობისაკენ, ურთიერთშორის თბილი ურთიერთობების დამყარებისაკენ. ისლამის რელიგია მუსულმანებს სიმშვიდისა და მოთმინებისაკენ მოუწოდებს. წმინდა ყურანში, სურა "ალ ჰუჯურათ" აიათ მე-13-ში წერია: "რომ შეიცნოთ ერთმანეთი, შეგქმენით ერებად და ტომებად".

**განმარტეთ მოცემული აიათი. ფაქტებზე დაყრდნობით დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრებები..**

აშკარაა, რომ ღმერთი, ამ აიათში, ერებს მტრობისაკენ კი არა, ერთმანეთის შემეცნების, ერთმანეთში მორიგებისა და მშვიდობისაკენ მოუწოდებს. ერთ-ერთ მოვლენაში მოციქული მუჰამედი (ს.ა.ს.) აღნიშნავს, რომ "როცა ხალხს რელიგიის არსს უხსნით, ეს დარწმუნების გზით უნდა გააკეთოთ და არა ძალადობით". ამ მნიშვნელობით ისლამის რელიგია გამოდის როგორც შერიგებისა და მშვიდობის რელიგია.

**თქვენი აზრით, რა შეიძლება გაკეთდეს, რომ საზოგადოებისათვის ცნობილი გახდეს ისლამის მოწოდებები შერიგებისა და ტოლერანტობის თაობაზე.**

***მაგრამ დღეს ისლამს ყველა არ აღიარებს ტოლერანტულ რელიგიად, რადგან ზოგჯერ, ისლამურ ლოზუნგებს ამოფარებული ბოროტი ძალები კაცობრიობას უქმნიან საფრთხეს ტერორიზმითა და ექსტრემიზმით. ამიტომაც, დღეს, სახელმწიფოთა ერთ-ერთ ძირითად პოლიტიკურ მიმართულებას წარმოადგენს ტოლერანტობის განხორციელება.***

**რომელი ფაქტის მოყვანა შეგიძლიათ იმის მაგალითად, თუ როგორ იყენებენ ბოროტი ძალები ისლამურ ლოზუნგებს ტერორიზმისა და ექსტრემიზმის განსახორციელებლად.**

აზერბაიჯანში არსებობს უამრავი ერი და რელიგია. ბაქოში და ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში გვერდიგვერდ ფუნქციონირებენ მეჩეთები, ეკლესიები, სინაგოგები, ტაძრები, სადაც ხორციელდება სხვადასხვა რიტუალები და აღინიშნება რელიგიური დღესასწაულები. ეს ყველაფერი ხაზს უსვამს ჩვენი ქვეყნის ტოლერანტუოლ ბინებას. თანამედროვე აზერბაიჯანის ტოლერანტული რელიგიური სახე არ არის მხოლოდ დღევანდელი მოვლენა. იგი ჭკვიანური და შორსმჭვრეტელი პოლიტიკის შედეგია.

**უძველესი ალბანური ეკლესია სოფელ ქიში (შექი)**



**ჩაატარეთ კვლევა, რომელი რელიგიური ორგანიზაცია მდებარეობს იმ ადგილთან ახლოს, სადაც ცხოვრობთა ან სწავლობთ. რომელი რელიგიური დღესასწაულები და ღონისძიებები ტარდება იქ?**

საერთოდ, ისტორიულად, აზერბაიჯანი ტოლერანტული ქვეყანა ყოფილა. ჩვენი ტერიტორიებისადმი სომხების მტაცებლური დამოკიდებულების გარდა ჩვენ ქვეყანაში არასოდეს ჰქონია ადგილი რელიგიურ ან ეთნიკურ კონფლიქტებს. ადამიანები აქ მუდამ ეთნიკური და რელიგიური მშვიდობის პირობებში ცხოვრობდნენ. აღსანიშნავია, რომ ამნაირი თმენის უნარის შენარჩუნებაში დიდი როლი ეკისრება ერს და ისლამურ რელიგიას. ამ მოსაზრებას განამტკიცებდა დიდებული ლიდერი ჰეიდარ ალიევიც.

აზერბაიჯანის რესპუბლიკამ XX საუკუნის დასასრულს საკუთარი დამოუკიდებლობა აღადგინა და ქვეყნის წინაშე სავალდებულო ამოცანად დასახა რელიგიური ტოლერანტობის ჩამოყალიბება და მოქალაქეების ამ სულისკვეთებით აღზრდა. შემთხვევითი არ არის, რომ 1995 წელს მიღებული კონსტიტუციით რელიგიის სახელმწიფოსაგან გამოცალკევება, ყველა რელიგიების თანაბარ უფლებებში ჩაყენება, თითოეული ადამიანის რელიგიური მრწამსი და სინდისის თავისუფლება ტოლერანტობის უფლებრივი ბაზის შექმნის უმთავრესი პირობა იყო.

**რა იგულისხმება ფრაზაში უფლებრივი ბაზა?**

**მუხლი 48. სინდისის თავისუფლება**
**I. ყველა ადამიანს გააჩნია სინდისის თავისუფლება.**
**II. თითოეულ ადამიანს შეუძლია დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი რელიგიური კუთვნილება, ანუ შეუძლია მარტო, ან სხვებთან ერთად აირჩიოს სარწმუნოება, ან საერთოდ უარი განაცხადოს ყოველგვარ რელიგიურ კუთვნილებაზე. აქვს საკუთარი სარწმუნოების გაცხადებისა და მისი გავრცელების უფლება.**
**III. დაშვებულია რელიგიური რიტუალების შესრულება, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ წესრიგს ან მასის ზნეობას.**
**IV. სარწმუნეობა და რწმენა არ ამართლებს კანონების დარღვევას.**
**V. არ შეიძლება აიძულო ადამიანი, რომ იგი გახდეს ამა თუ იმ რელიგიის მიმდევარი, აუკრძალო მას საკუთარი რელეგიური რიტუალების შესრულება ან აიძულო, რათა შეასრულოს სხვა რელიგიური რიტუალები.**
**ჩვენს ქვეყანაში ტოლერანტობის არსებობა დაამტკიცეთ აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციის 48-ე მუხლის განხილვით.**

ამ წლებში აზერბაიჯანში რელიგიური და თანამედროვე საზოგადოების თემაზე კონფერენციები და ფორუმები ჩატარდა, რომელზაც მოწვეული იყვნენ მსოფლიოს მოწინავე რელიგიისმცოდნე მეცნიერები და რელიგიათა მსახურები. ასევე ჩატარდა სამეცნიერო კვლევები.

დიდებული ლიდერის ჰეიდარ ალიევის მიერ ბაქოში მუსულმანური ქვეყნებისთვის ძალზე მნიშვნელოვანი ღონისძიება ჩატარდა, რომელზეც მიწვეული იყო უამრავი რელიგიის მსახური, მათ შორის რომის პაპი იოან პავლე II და სრულიად რუსეთის პატრიარქი ალექსი II. თავისთავად ეს ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ აღნიშნული წარმოადგენდა დიდებული ლიდერის პოლიტიკის განმტკიცებას და რელიგიური ტოლერანტობის თვალსაჩინო ნიმუშს. მისი პრეზიდენტობის ეპოქაში აღდგენილ იქნა უამრავი მეჩეთი, ეკლესია და ტაძარი. მათ შორის ყველაზე შრომატევადი გახლდათ ბაქოში მდებარე თაზაფირის მეჩეთის აღდგენის, ბიბიჰეიბათის მეჩეთის და ახალი თანამედროვე არქიტექტურის მქონე კათოლიკური ეკლესიის აშენების სამუშაოები.

**ბიბიჰეიბათის მეჩეთი**



დიდებული ლიდერის მიერ დაფუძნებული რელიგიური თმენის ტრადიციებს დღეს წარმატებით აგრძელებს ილჰამ ალიევის სანიმუშო პოლიტიკა. კავკასიის მუსლიმთა სასულიერო მმართველობა მჭიდროდ თანამშრომლობს რელიგიურ ორგანიზაციებთან და სახელმწიფოს რელიგიურ პოლიტიკაში შეაქვს საკუთარი წვლილი.

დღეს აზერბაიჯანში არსებობს რელიგიურ ორგანიზაციათა კომიტეტი და რელიგიური საგანმანათლებლო ორგანიზაციები. ამ სფეროში სწორ რელიგიურ ქადაგებაზე მორგებული სამეცნიერო და რელიგიური კვლევები ტარდება.

**აზერბაიჯანში კიდევ რომელი რელიგიური ცენტრები იცით?**

აზერბაიჯანში რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის, კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლობები, ასევე ებრაული სინაგოგა ფუნქციონირებს.

აზერბაიჯანი ყოველთვის კიცხავდა რელიგიურ სიძულვილს. ტერორიზმისა და ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელიც საზოგადოებრივი სტაბილურობის დარღვევას ცდილობს, აზერბაიჯანი თანამშრომლობს უცხოეთის ქვეყნებთან და ორგანიზაციებთან. საზღვარგარეთიდან ანტირელიგიური ლიტერატურის შემოდინება და მისის მქადაგებელი ინფორმაციის გავრცელება, ჩვენი ხალხის ეროვნულ ზნეობასთან დაკავშირებული უცხო რელიგიის რადიკალური მოწოდებები სახელმწიფოს მიერ დროულად აღმოიფხვრება, საზღვარგარეთ მოქმედ რელიგიურ-ტერორისტულ დაჯგუფებებთან კავშირში მყოფი ზოგიერთი რელიგიური ორგანიზაციის ფუნქციონირება კი სახელმწიფოს კონტროლქვეშ იმყოფება. საზოგადოების სიმშვიდის ხელყოფის, პიროვნების ღირსების დამცირებისაკენ მიმართულ კანონსაწინააღმდეგო ქმედებების აღკვეთა ხდება ადგილზევე.

2002 წელს ჩატარებულ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტის და ადამიანის უფლებათა ბიუროს ბაქოს კონფერენციაზე ნათქვამი იყო: “აზერბაიჯანი საუკუნეთა მანძილზე სხვადასხვა კულტურებთან მშვიდობიანი თანაცხოვრებისა და თმენის ნათელ მაგალითს წარმოადგენს”.

განსაზღვრეთ, ვის ეკუთვნის ეუთოს ბაქოს კონფერენციაზე გამოთქმული მოსაზრება. დაამტკიცეთ, რამ გამოთქმული მოსაზრება დასაბუთებულია.

**1. ისტორიულად რომელი რელიგიები არსებობდნენ აზერბაიჯანში? რომელი მათგანია შენარჩუნებული დღევანდელ დღემდე? შეგიძლიათ გამოიყენოთ აზერბაიჯანის ისტორიის სახელმძღვანელოთი მიღებული ცოდნა?**
**2. შეადარეთ ისლამის, ქრისტიანულ, იუდეურ რელიგიათა თვისებები. რომელი საერთო თვისებები შეგხვდათ? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრებები.**
**3. მოამზადეთ პრეზენტაცია თემაზე: “აზერბაიჯანი რელიგიური ტოლერანტობის მაგალითია”.**
**4. ჩაატარეთ აზერბაიჯანში ჩატარებული რელიგიური შეხვედრებისა და კონფერენციების კვლევა და დაწერეთ ესე, რომელიც ამტკიცებს, რომ ჩვენ ვართ ტოლერანტული ქვეყანა.**
**5. უკანასკნელ წლებში ილჰამ ალიევის მიერ ტოლერატობასთან დაკავშირებული ღონისძიებები განიხილეთ და წარმოადგინეთ წინადადება, თუ ამ სფეროში რომელი ღონისძიებების ჩატარებას მიიჩნევდით საჭიროდ?**
**6. აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციაში აღნიშნეთ “რელიგიური თავისუფლების” მიმნიჭებელი მუხლები და დაასაბუთეთ ისინი.**

# 4. ტოლერანტობა სხვადასხვა რელიგიათა შორის



სხვადასხვა ადამიანთა მსოფლმხედველობა და რწმენა. ეს სხვადასხვაობები გამოიხატება კულტურებსა და რელიგიურ რწმენაში. უძველესი ჩინელი მოაზროვნე კონფუცი ამბობდა: "მსოფლიოში არსებობს უამრავი გზა, მაგრამ ყველა გზას ერთი მიზნისაკენ მივყავართ. ასეულობით ხერხი არსებობს, მაგრამ შედეგი ყოველთვის ერთია".

**რისი თქმა უნდოდა კონფუცის ამ აფორიზმით? ადამიანთა მიერ არჩეული სხვადასხვა გზა იმის პირობას ქმნის, რომ ერთიმეორის თვისებათა მიმართ თმენა გამოიჩინონ? რა მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა რელიგიებთან მიმართებით თმენის გამოჩენას? რატომაა, რომ ჩვენ, ადამიანებს, სხვადასხვა გზები გვაქვს, მაგრამ მიზანი მაინც ერთია?**

როგორც ვიცით, ადამიანები სხვადასხვანაირები არიან. მათი შრომითი მოღვაწეობა, ურთიერთობები, ცხოვრების სტილი განსხვავდება ერთმანეთისაგან. სწორედ ამ განსხვავების გამო, ადამიანები სხვადასხვა ჯგუფებში ერთიანდებიან რწმენის, ინტერესის, შეხედულებების და ცხოვრების სტილის მიხედვით. ადამიანების ერთმანეთთან დამაახლოებელი ყველაზე დიდი სტიმული არის რელიგია. ამ მნიშვნელობით რელიგია არის საზოგადოებაში სოციალური ერთობლიობის, სოლიდარობის, ზნეობრივი ურთიერთკავშირის დამყარების საშუალება.



**"დინ" არაბული სიტყვაა და "რწმენას" და "ნდობას" აღნიშნავს. მან ჩვენს ენაში ისლამური რელიგიის გავრცელების კვალდაკვალ შემოაღწია. რელიგია ხალხის ზნეობრივი კულტურის ერთი ნაწილია. ადამიანები, რელიგიის საშუალებით, ბუნებრივი საზოგადოებრივი მოვლენების წარმოქმნას, განვითარებას და ყველა ცვლილებებს აკავშირებენ ზებუნებრივი ძალების გავლენასთან და ამ ყველაფერს განმარტავენ როგორც ზებუნებრივი ძალების მოქმედების შედეგს.**

თქვენ, წინა კლასებში უკვე მიიღეთ საკმაო ინფორმაცია მსოფლიოში არსებულ რელიგიათა შესახებ. გაიხსენეთ, რომელი რელიგიები არსებობენ მსოფლიოში?

როგორც ვიცით, არსებობენ სხვადასხვა რელიგიები. ადამიანმა რელიგიური აზროვნების აღორძინების გზა გაიარა ცხოველთა თაყვანისცემიდან და კერპთმსახურებიდან ერთი ღმერთის მიმართ თაყვანისცემამდე. ამჟამად ადამიანთა უმრავლესობა უპირატესობას ერთღმერთიანობას ანიჭებს. ერთღმერთიანობის უძველესი რელიგია ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველ ათასწლეულებში პალესტინაში შექმნილი იუდაიზმის რელიგიაა. ამ რელიგიას თაყვანს სცემენ ებრაელები. იუდაიზმი ეროვნულ რელიგიად ითვლება. ეროვნული რელიგიების მაგალითად შეიძლება კიდევ მოვიყვანოთ ინდიუზმი, სინტოიზმი, რომელსაც იაპონელები ეთაყვანებიან და ჩინელების სარწმუნოება – დაოიზმი.





მსოფლიოში ძირითად რელიგიად მიჩნეულია ქრისტიანობა, ისლამიზმი და ბუდიზმი, რადგან მას თაყვანს სცემს უამრავი ხალხი ეროვნებისა და რასის მიუხედავად.

იუდაიზმი, ქრისტიანობა, ისლამი ზეციურ რელიგიებად ითვლებიან, რადგან მათ გააჩნიათ ძირითადი მიზნისა და განმარტებების მქონე წმინდა წიგნები. ამ წიგნებში დარიგებები, თქმულებები, ბრძანებები, ჭეშმარიტი ღმერთის გამონათქვამებია, რომელიც ურთიერთკავშირის საშუალებას წარმოადგენს ადამიანსა და ღმერთს შორის.





რომელია ამ რელიგიათა წმინდა წიგნები? გაიხსენეთ.



მოაზროვნეები ადამიანის ცხოვრებაზე რელიგიის გავლენას სხვადასხვა ასპექტებით ხსნიან. ზოგიერთები დადებითად, ზოგიერთები კი უარყოფითად აფასებენ ამ გავლენას. მეცნიერების უმრავლესობა თვლის, რომ რელიგია ადამიანის სულისმიერი მოთხოვნაა. ისინი აღნიშნავენ, რომ მეცნიერება ადამიანების მიერ დასმულ ყველა შეკითხვას ამომწურავ პასუხს ვერ აძლევენ, რელიგია კი ყველა შეკითხვას სცემს პასუხს. ამ მნიშვნელობით, რელიგია ბუნების წინაშე უმწეობის მაგალითი კი არ არის, არამედ მისი საიდუმლოებების ახსნის გზის მოძებნის მცდელობაა.

გამონათქვამი: "რელიგია ბუნების წინაშე უმწეობის მაგალითი კი არ არის, არამედ მისი საიდუმლოებების ახსნის გზის მოძებნის მცდელობაა" — საკუთარი მოსაზრებებით და მაგალითებით დაასაბუთეთ.



რელიგიური სარწმუნოების ცენტრში ღმერთი დგას. ადამიანები სხვადასხვა ენაზე სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ მას, მაგრამ, არსის მიხედვით, იგი, ყველასათვის ერთ მნიშვნელობას გამოხატავს, რადგან იგი მსოფლიოში ერთადერთი ყოველისშემძლე და ყოვლადძლიერია. რელიგია ადამიანს საკუთარი გრძნობების საშუალებით აკავშირებს ღმერთთან. ადამიანი, მასთან დაახლოებისთვის, ცუდი ქმედებების ჩადენას ერიდება, კარგი ყოფაქცევის მქონე პიროვნებად გადასხვაფერებას ცდილობს, ზნეობრივი სრულყოფისაკენ ისწრაფვის. რელიგიური გამოცდილება ადამიანს გზას უხსნის ღმერთისადმი ნამდვილი, სრულყოფილი სიყვარულისაკენ და აახლოებს მას ღმერთთან. მაგრამ ღმერთთან დახლოების უამრავი გზა არსებობს. ზოგიერთ რელიგიებს გააჩნიათ საკუთარი წმინდა წიგნები, მოციქულები, ზოგიერთებს კი გააჩნიათ საკუნეობით ჩამოყალიბებული ადათ-წესები და ლოცვები.

ქრისტიანული ეკლესია

სინამდვილეში, თითეული ადამიანის რელიგიისადმი დამოკიდებულება ორი სახისაა. პირველია, როცა ადამიანი ამა თუ იმ რელიგიას თავს მიაკუთვნებს ოჯახის ან ერის და ხალხის ისტორიული სარწმუნოების გავლენით, მეორე შემთხვევაში კი ადამიანი რელიგიას ირჩევს დამოუკიდებლად, რწმენისა და ზნეობისადმი პატივისცემით, საკუთარი გულის კარნახით. პირველ შემთხვევაში იგი ეროვნული ვინაობის განცდას და ადათ-წესებს მისი ყოფის განუყრელ ნაწილად მიიჩნევს და ამის გამო ღებულობს მშობლების მიერ აღიარებულ სარწმუნოებას. მეორეში კი, მიუხედავად ეროვნულობისა, რელიგიური რიტუალების მოთხოვნებს გაიაზრებს და დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას.

**როცა ვამბობთ ფრაზას "რელიგიური ქადაგება", რას ვგულისხმობთ მაშინ? რომელი საშუალებებით ხორციელდება დღეს რელიგიური ქადაგება?**

**დემოკრატიულ ქვეყნებში რელიგიების არჩევა თავისუფალია. თითოეულ ადამიანს საკუთარი რელიგიის გამოხატვისა და ქადაგების უფლება აქვს. ადამიანები თავისუფალი არიან რელიგიური სარწმუნოების გამოხატვაში, ლოცვაში, რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობაში, რელიგიის სწავლასა და ქადაგებაში.**



განმარტეთ რელიგიის დამოუკიდებლად არჩევის მნიშვნელობა და იმსჯელეთ.



**მუსულმანების ლოცვა ტაჯ მაჰალის გვერდით**

ისტორიისათვის ცნობილია ფაქტები, როცა ხალხის დამონებისათვის სახელმწიფო მმართველები ოსტატურად იყენებდნენ რელიგიურ ფაქტორებს. ამ აქციების მძიმე ინტრიგა დღემდე არსებობს. მაგალითად, სომხების აზერბაიჯანის ქვეყნებში გადასახლება ქრისტიანული სოლიდარობის უმაღლესი ფაქტორი იყო. კავკასიაში ქრისტიანული მოსახლეობის რაოდენობის ხელოვნური გაზრდის მიზეზით, სხვათა ხელში მარიონეტად ქცეული სომხების ძალისხმევით მოხდა მუსლიმური ქვეყნების საზღვრების გადახედვა, რაც ძვირად დაუჯდა აზერბაიჯანელ ხალხს.

**2001 წელს ინგლისის ლორდთა პალატამ დაამტკიცა დადგენილება აზერბაიჯანის პოზიტიური როლის შესახებ მსოფლიო პოლიტიკაში.**

კიდევ ერთ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ინდოეთი. ინგლისელების მიერ ინდოეთში მათი გაბატონებული მდგომარეობის უზრუნველსაყოფად მოხდა დაპირისპირება ინდოელებსა და მუსულმანებს შორის, რაც დიდ პრობლემადაა ქცეული და დღესაც ვერ გვარდება. ახლო აღმოსავლეთში ებრაელებს და პალესტინელებს შორის კონფლიქტის წყაროდ რელიგიური ასპექტები გვევლინებიან.



**რაში ხედავთ რელიგიური შუღლის მიზეზებს?**

უკანასკნელ პერიოდში მსოფლიოში მეტად გამძაფრდა რელიგიური შუღლი. ერთიანობისა და მშვიდობის დამყარებას ხელს უშლის სუნიტებსა და შიიტებს შორის არსებული წინააღმდეგობა. სხვადასხვა სექტებს შორის გამართული იდეოლოგიური ბრძოლა მუსლიმებს შორის მტრობის მიზეზად იქცა. ზოგი ხალხები და ქვეყნები ურთიერთკავშირისას დამყარების დროსაც კი უპირატესობას რელიგიას ანიჭებენ.

რელიგიური გამოცდილება მიმდინარე ეპოქის მოთხოვნათა მომცველი საყოველთაო გამოცდილებაა. ამ მნიშვნელობით იგი სოციალურ ურთიერთობათა განვითარების ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი გახლავთ. მიგრაციის პროცესების გაფართოებასთან დაკავშირებით, თითოეული რელიგია საკუთარ გეოგრაფიას, რელიგიას და ურთიერთკავშირებს აფართოებს. ადამიანებს, რელიგიასთან ერთად, უცხო გარემოში შემოაქვთ თავიანთი კულტურა, ცხოვრების ახალი სტილი, ახალი გამოცდილება, რაც პრობლემებს ქმნის ადგილობრივ კულტურასთან ურთიერთობისას. ადგილობრივი მოსახლეობა კი საუკუნეობით შეგუებულ გარემოში უცხო ელემენტების შემოსვლას სიხარულით არ ხვდება.

ამჟამად, დემოკრატიული ინსტიტუტებსა და ტოლერანტული კანონების მქონე ევროპასა და აშშ-ში და მსოფლიოს სხვა უამრავ რეგიონებში ხდება ხოლმე შეტაკებები რელიგიათა შეუსაბამობების საფუძველზე. ევროპაში მცხოვრები მუსლიმები საკუთარი რელიგიური რიტუალების შესრულებით ახდენენ აქტიური რელეგიური ცხოვრების დემონსტრირებას.

**ჰიჯაბიანი ქალები ევროპაში**





შვეტსვიგენის მეჩეთი გერმანიაში

სადაც მუსულმანები ცხოვრობენ, იმ ტერიტორიაზე აშენებენ მეჩეთებს, ქმნიან რელიგიურ საზოგადოებებს, ცენტრებც, ხსნიან სკოლებს მათი სარწმუნოების მიხედვით, ქადაგებენ რელიგიას, ხსნიან სატელევიზიო და რადიოარხებს, თავისუფლად იყენებენ რელიგიურ სამოსს და საკუთარი რწმენის მიხედვით იმზადებენ ჰალალ საჭმელს. ასეთ გარემოში რელიგიური თანაცხოვრებისას უმთავრეს პრინციპად ითვლება რელიგიური ტოლერანტობა.

საზოგადოების რელიგიური ტოლერანტობის დემონსტრირებისათვის, მის ინდივიდებში უნდა ჩამოყალიბდეს სხვა რელიგიების მიმართ ტოლერანტობა და რელიგიური თმენა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყნის სტაბილურობა, საზოგადოების ნორმალურად ფუნქციონირება შეუძლებელი გახდება.

**1. შეადგინეთ ცხრილი ზეციური რელიგიების ურთიერთმსგავს თვისებათა შესახებ.**
**2. რელიგიურ საფუძველზე მომხდარი კონფლიქტების ფაქტების მოყვანით დაასაბუთეთ, რომ ტოლერანტობის არმქონე ქვეყნებში ცხოვრება უფრო დაძაბულია.**
**3. მოამზადეთ პრეზენტაცია სახელწოდებით – "ტოლერანტობა მსოფლიოს რელიგიური სახეა".**
**4. განმარტეთ რელიგიური ტოლერანტობის მნიშვნელობა.**
**5. განსაზღვრეთ რელიგიური ტოლერანტობის გავლენა კულტურულ ტოლერანტობაზე.**
**6. მოამზადეთ გამოკითხვის ფურცელი რელიგიური ტოლერანტობის შენარჩუნების დასადგენად.**

## 5. ყოფაქცევის ნორმების ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა

საზოგადოებაში ურთიერთობები ისეთნაირად არის მოწყობილი, რომ იგი არ რეგულირდება არც სახელმწიფო კანონებით, არც რელიგიური დოგმატებითა და მოთხოვნებით. მაგალითად, როგორც წესი, როცა უფროსები საუბრობენ, ჩვენ მათ უნდა მოვუსმინოთ, მათთვის სიტყვის გაწყვეტინება სირცხვილად მიიჩნევა. ავტობუსში ვცდილობთ ადგილი დავუთმოთ ხანშიშესულ ქალს ან ინვალიდს. ვცდილობთ, რომ ჩვენთვის საყვარელი ადამიამნების წინაშე არ ჩავიდინოთ თავმოყვარეობის შემლახველი ქმედება. მთლიანობაში, ამის გაკეთებით, გვინდა გარშემომყოფთა შორის გამოვირჩეთ ზრდილობითა და პატიოსნებით.

**რა არის ყოფაქცევა? ჩვენს არსებობაზე და ცხოვრების სტილზე რა გავლენა გააჩნია ყოფაქცევას? რაში მდგომარეობს ყოფაქცევის მნიშვნელობა?**



**ყოფაქცევის მეცნიერების შემქმნელად ცნობილი ფილოსოფოსი, სახელგანთქმული ალექსანდრე მაკედონელის მასწავლებელი არისტოტელე არის მიჩნეული. მას ყოფაქცევასთან დაკავშირებით უთქვამს: "სინამდვილეში ყოფაქცევა ერთი მეცნიერებაა".**

ყოფაქცევა საზოგადოებასთან და სხვა ადამიანებთან ურთიერთობის დამყარებისას მოვალეობათა განმსაზღვრელი ნორმების სისტემაა, ზნეობრივი ქმედებების წესებია. ის საზოგადოების ცუდისა და კარგის, სამართლიანობისა და უსამართლობის, მოვალეობისა და სინდისის შესახებ წარმოადგენათა რელური ცხოვრებაში განხორციელების საერთოდ მიღებული წესების კრებულია. ყოფაქცევა ცხოვრების ყველა სფეროში: სამსახურში, პოლიტიკაში, ოჯახში, განათლებაში, კულტურაში ქცევის სტილს აწესრიგებს.

**არისტოტელე ყოფაქცევის მეცნიერებას "ეთიკას" უწოდებს.**

**მეცნიერები ამბობენ, რომ ყოფაქცევა ადამიანის სურვილით საკუთარი თავისუფლების შეზღუდვაა. თქვენ როგორ ფიქრობთ, სინამდვილეში ეს ასეა? გამოთქვით თქვენი მოსაზრება.**

**ამ მოსაზრებას თუ ეთანხმებით? თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ მაგალითებით.**

სოციალურ მცნებად აღიარებული ყოფაქცევა საზოგადოებასთან მჭიდრო კავშირშია. ეთიკური ნორმები გარკვეულ საზოგადოებაში ყალიბდება და ამ საზოგადოების წყობასთან მჭიდრო კავშირში იმყოფება. ერთ საზოგადოებაში მიღებული ზოგიერთი ეთიკის ნორმა შეიძლება კატეგორიულად მიუღებელი იყოს სხვა საზოგადოებისათვის.

თითოეულმა საზოგადოებამ ადამიანის ქცევებისადმი შეგუებაზე მიმართული ზოგი უცხო ნორმები შეიძლება მიიღოს ეთიკის ელემენტად. ამ მნიშვნელობით ის, როგორც საზოგადოების განვითარების ნაყოფი, კონკრეტული ისტორიული ხასიათის მატარებელია. მაგალითად, მე-20 საუკუნის დასაწყისში, აზერბაიჯანში, ქალების თავშიშველად სიარული და განათლების მიღება ეთიკის ნორმებს სერიოზულად არღვევდა, მაგრამ ჩვენს თანამედროვეობაში ეს ცხოვრების ნორმაა. ადამიანები ერთმანეთთან საერთო ენის გამოსანახად, ყოფაქცევის რაობაზე პასუხის გაცემის მიზნით გინებას მოუხმობენ ხოლმე. ასე რომ, ადამიანის გონება ცდილობს საზოგადოებრივ ურთიერთობებში კავშირების მონახვას და საკუთარი ქცევის მეშვეობით საკუთარი თავის "აღმოჩენას" და რაობის განმტკიცებას, რადგან სწორედ ეს ქცევები აყალიბებენ საერთო მოსაზრებას მის შესახებ. ყოფაქცევა თითოეული ინდივიდის პირადი ზნეობრივი თვისებების მატარებელია, სინდისის ხმაა. პატიოსნად ყოფნა ნიშნავს, რომ სხვისი უფლებები არ უნდა დავარღვიოთ.





**არისტოტელეს მოწაფე ალექსანდრე მაკედონელი საკუთარ მასწავლებელზე ამბობდა: "მამამ ფილიპმა შემქმნა, მაგრამ მასწავლებელმა არისტოტელემ ზეცამდე ამამაღლა".**

**რისი თქმა უნდოდა ამით ალექსანდრე მაკედონელს? გამოხატეთ თქვენი დამოკიდებულება.**

ნებისმიერ ხალხს გააჩნია საკუთარი ყოფაქცევის სტილი, რომელიც სხვებისაგან განსხვავდება. თითოეული ადამიანის ყოფაქცევაც განსხვავდება სხვებისაგან. ასე რომ, ყოფაქცევა ზნეობრივ ფასეულობას წარმოადგენს. ის შედგება თითოეული ადამიანის ზნეობრივი თვისებებისაგან. ადამიანის ზნეობრივი თვისებები კი საზოგადოებაში ყალიბდება. ესე იგი, ყოფაქცევა ყალიბდება ადამიანისა და საზოგადოების ურთიერთკავშირის შედეგად და ერთმანეთზე გავლენას ახდენს.



ამიტომ, როგორც ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ყოფაქცევით, ასევე საზოგადოების საქციელიც განსხვავებულია. მაგრამ საზოგადოების ქცევის კულტურა რამდენიმე წელიწადში არ ყალიბდება. იგი ხანგრძლივი ისტორიული, ეთნიკური, კულტურული, რელიგიური, სოციალური და ეკონომიკური ურთიერთობების გამოცდილებიდან აღებული დახვეწილი სოციალური მეხსიერების საერთო ნაყოფია. ჩვენ ხშირად იმ მცნებას ვუწოდებთ ზრდილობას, რომელიც ახალგაზრდა თაობისათვის ყოფაქცევის გადაცემის მექანიზმებიდან ერთ-ერთია.

აზერბაიჯანელ ხალხს გააჩნია საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბებული სამაგალითო ყოფაქცევითი თვისებები. მათ შორის შეიძლება გამოვყოთ უფროსების მიმართ ხაზგასმული პატივისცემა, ქალებისადმი პატივისცემა, მშობლებისადმი მზრუნველობა, ბავშვებისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულება, სამშობლოსადმი სიყვარული და ა.შ.





**ყოფაქცევის რომელი ნორმები იცით, რომელიც უძველეს თურქებს მიეკუთვნებათ? მიმართეთ ეფოს "დედე გორგუდ"-ს. ამ ეფოსში სამშობლოსადმი, უფროსებისადმი, დედისადმი, შვილებთან ურთიერთობისადმი მოსაზრებები შეაჯამეთ და მოიყვანეთ სისტემაში. გამოხატეთ თქვენი დამოკიდებულება ამ მოსაზრებებისადმი.**



ძველბერძენი ფილოსოფოსი პლატონი ამბობდა, რომ "თუ ადამიანებს ეცოდინებათ რა არის ცუდი, არასოდეს ცუდ საქმეს არ ჩაიდენენ". მისი აზრით სიმართლის აღქმა ინტელექტუალური მოვალეობაა. ესე იგი, პატიოსნად ყოფნისათვის ადამიანებმა უნდა იცოდნენ მთავარი რამ – ცუდისა და კარგის მცნებების ერთმანეთისაგან განსხვავება. ამისთვის მათ უნდა მიიღონ განათლება, მეხნიერებასა და განათლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიანიჭონ. არისტოტელე კი ამბობდა, რომ ყოფაქცევა ცოდნა არაა, არამედ ქცევაა. ის სიკეთის რაობას კი არ ასწავლის, არამედ ადამიანის გაკეთილშობილებისათვის ისწავლება და ადამიანის ქმედების ზოგადად აღიარებულ ნორმებსა და ფასეულობებს გამოხატავს.

**ერთმანეთთან შედარებით გააანალიზეთ პლატონისა და არისტოტელეს მოსაზრებები.**

ადამიანები სხვათა ბედნიერებაზე იმიტომ ზრუნავენ, რომ თავადაც ბედნიერები იყვნენ. მაგრამ ეს ყოველთვის ასეა? რა თქმა უნდა, არა. ადამიანის ქცევის წესები ყოფაქცევის სხვადასხვა პრინციპებით გამოიხატება. ადამიანემს შეიძლება გააჩნდეთ ყოფაქცევის ისეთი თვისებები, როგორიცაა ეგოიზმი*, ალტრუიზმი*, ჰედონიზმი*, ნიჰილიზმი* და ა.შ.

ეგოისტი – ადამიანი, რომელიც მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნავს და საზოგადოებისა და მისი წევრების კეთილდღეობის საკითხები არ აწუხებს.;

ალტრუისტი – ადამიანი, რომელიც სხვებისთვის უანგაროდ სწირავს საკუთარ კეთილდღეობას;

ჰედონისტი – ადამიანი, რომელსაც ცხოვრების უმაღლეს მიზნად პირადი სიამოვნება და ტკობა მიაჩნია;

ნიჰილისტი – ადამიანი, რომელსაც უარყოფითი დამოკიდებულება აქვს ყველასათვის მისაღები ნორმების, კანონების, პრინციპების მიმართ.

**თუ ეგოისტი ადამიანის ქცევებს საკუთარ თავზე უზომოდ სიყვარულის პრიზმით განიხილავს, ალტრუისტი პირიქით, საკუთარ თავს ადამიანების სასიკეთოდ სწირავს. ჰედონისტის ყოფაქცევის პრინციპი მხოლოდ ცხოვრებიდან სიამოვნების მიღებაა და თავის მიზნებს მიმართავს ბედნიერებისაკენ, სულის სიმშვიდისაკენ, სასარგებლო საარსებო პირობების შექმნისაკენ. მისი მთავარი დევიზია "არა ძალადობას"! ნიჰილისტური ყოფაქცევის ნორმებით მცხოვრებნი კი გარემოში მომხდარ ყოველივე მოვლენას გულგრილად აკვირდებიან. აქტიურად მიმდინარე სოციალური პროცესები, სამშობლოსადმი უზომო სიყვარული მათ არ ეხება**



**შეადარეთ ერთმანეთთან ჰედონიზმი და ეგოიზმი**

მეცნიერები ამბობენ, რომ ზოგადსაკაცობრიო ყოფაქცევას აყალიბებენ ზოგადსაკაცობრიო ფასეულობები, რომლებიც სასიცოცლოდ სასარგებლო და ძალზე საჭირონი არიან. ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებიდან ერთ-ერთია ადამიანთა კეთილდღეობა და ბედნიერება და ეს მიზანი დედამიწაზე მცხოვრები ყველა ადამიანის ოცნებაა.

ომები, რელიგიური შუღლი, შიმშილი, სოციალური და უფლებრივი უსამართლობა ადამიანებს ხელს უშლის ბედნიერი ცხოვრების ოცნების აღსრულებაში. ამ მნიშვნელობით საერთო მიზნები ადამიანებს უბიძგებს საერთო მოქმედებისაკენ. ამისთვის, მათ შორის, საერთო ქცევის წესებისადმი ყველას მხრიდან აღიარებული ნორმების ჩამოყალიბების მოთხოვნა ჩნდება. ჩამოვთვალოთ რამდენიმე მათგანი:

**როცა ვამბობთ ზოგადსაკაცობრიო ყოფაქცევას, რას ვგულისხმობთ ამ მცნებაში? ამ ყოფაქცევით ფასეულობებს კიდევ რა შეგიძლიათ დაუმატოთ?**

1. კაცთმოყვარეობა;
2. სოლიდარობა;
3. თანასწორობა და თმენა;
4. თანამშრომლობა და მეგობრობა;
5. სისადავე და თავაზიანობა;
6. ნდობა და რწმენა;
7. სამართლიანობა.

**კაცთმოყვარეობა არის ადამიანების უმაღლესი ზნეობრივი თვისება. თუ არ იქნებოდა კაცთმოყვარეობა, ომების, მტრობისა და ნგრევის შეჩერება შეუძლებელი იქნებოდა, სიმშვიდე და მშვიდობა არ დაისადგურებდა. ეს თვისება ადამიანებს კარნახობს ერთმანეთისადმი დახმარებას, ხელშეწყობას, ღარიბთა დახმარებას, უსახლკაროებისათვის საცხოვრებლის მიცემას, ადამიანის ცხოვრებისადმი კეთილმოყვრული დამოკიდებულებას.**

სოლიდარობა ადამიანებს გონებითა და ქმედებებით გაერთიანებისაკენ მოუწოდებს. მსოფლიოში პრობლემები იმდენად დიდია, რამდენადაც დიდია თვით სამყარო. დღეს ვერცერთი ქვეყანა ვერ იღებს საკუთარ თავზე მათ მოგვარებას. ამ პრობლემების გადაჭრა მხოლოდ ზოგადსაკაცობრიო უზენაესი მიზნების გარშემო გაერთიანებითა და სოლიდარობით შეიძლება. სოლიდარობა ადამიანთა ურთიერთთანამშრომლობის თვისებების სტიმულირებას ახდენს. მათ შორის ნდობისა და რწმენის ატმოსფეროს აყალიბებს.

**ალბათ თქვენს გარემოშიც ყოფილან მატყუარა ადამიანები. რას გააკეთებდით, რომ მათ უარი თქვან ცუდ ჩვევებზე?**

ისტორიულად ადამიანები ყოველთვის კიცხავდნენ მატყუარებსა და თაღლითებს. მატყუარა ადამიანი საქმე მხოლოდ ერთხელ აკეთებს, რადგან მეორედ მასთან საქმის დაჭერა აღარავის უნდა. ამიტომაც, ერთობლივად მუშაობის ძირითადი პრინციპებიდან ერთ-ერთი ნდობა და რწმენაა. დღეს არა მხოლოდ ადამიანები, არამედ სახელმწიფოებიცა და ერებიც, ხალხის კეთილდღეობის მიზნით, სხვადასხვა პროექტების განსახორციელებლად ნდობისა და რწმენის პრინციპებისადმი ერთგულების დემონსტრირებას ახდენ.

მსოფლიოში ადამიანებს, ერებსა და ქვეყნებს შორის განსხვავებულობა ხელს არ უშლის მათი ერთმანეთთან დაახლოების პროცესებს. მთავარია, რომ თითოეულმა ადამიანმა, თითოეულმა საზოგადოებამ, დედამიწაზე თანაბარუფლებიანობა ირწმუნოს. ამ თვალსაზრისით ადამიანების ყოფაქცევაზე თანასწორობის პრინციპებს ადამიანები თმენასა და ტოლერანტობასთან მიჰყავს.

უკანასკნელ პერიოდში ამ ნორმებში შედის აღმოსავლური ხალხისადმი მიკუთვნებული მცნება “პატიოსნება”. პატიოსნად ცხოვრება, პატიოსნად ფულის შოვნა ზნეობრივი სიწმინდის მწვერვალს წარმოადგენს. თქვენ ალბათ დუქნებში დახლებზე ვადაგასული პროდუქტები შეგინიშნავთ. ეს მხოლოდ სახელმწიფოს კანონებით არ რეგულირდება. ეს ასევე ადამიანთა უფლებების აღსრულებისათვის, სხვათა უფლებების დაცვისათვის, სამართლიანობის პრინციპების განხორციელებისათვის საზოგადოების მკაცრად რეაგირების საგანია.

მსოფლიო საზოგადოების პრინციპებიდან ერთ-ერთი სისადავე და თავაზიანობაა. მასში ეთიკის უამრავი მახასიათებელი შედის. ადამიანები ცდილობენ, რომ ერთმანეთის მიმართ იყვნენ თავაზიანები, ზრდილობიანები, კეთილგანწყობილნი და ერთგულები. თანამედროვე ეპოქაში მსოფლიოში გავრცელებული სხვადასხვა კულტურები და ხელოვნების ნიმუშები სწორედაც ამ თვისებებს ქადაგებენ ადამიანებს შორის.

**1. რაშია ყოფაქცევის ნორმების ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა? იმსჯელეთ.**
**2. შეადარეთ ეროვნული თვისებები ზოგადსაკაცობრიო თვისებებს. რომელი ეროვნული თვისება შეიძლება ჩაითვალოს ზოგადსაკაცობრიოდ?**
**3. ეთანხმებით თუ არა (მ.ფ. ახუნზადეს) მოსაზრებას, რომ “რელიგიის ძირითადი მიზანი ყოფაქცევაა”.**
**4. დაწერეთ ესე თემაზე “პატიოსნება ყოფაქცევის ნიმუშია”.**
**5.მოძებნეთ და წარმოადგინეთ სხვადასხვა ფაქტები ყოფაქცევის ნორმათა დარღვევის თაობაზე.**
**6. ზოგადსაკაცობრიო ყოფაქცევის ფასეულობათა შენარჩუნებისთვის რომელ ღონისძიებათა გეგმებს მოამზადებდით? ღონისძიებათა გეგმა ჩაწერეთ რვეულში ანდა წარმოადგინეთ ელექტრონულად.**
**7. “სკოლა ყოფაქცევის დამცველია” დევიზის თაობაზე მოამზადეთ პრეზენტაცია.„**

# 6. კაცობრიობის ზნეობრივი მოვალეობა



ზოგჯერ ვინმეს რომ მტირალს ვხედავთ, ვცდილობთ დავამშვიდოთ, დავაწყნაროთ. თქვენი აზრით, რატომ ვაკეთებთ ამას?

**როცა ვამბობთ ფრაზას “ზნეობრივი თვისება”, რას ვგულისხმობთ მასში? რა როლი ეკისრება ზნეობას ხალხის, ზოგადად კაცობრიობის ცხოვრებაში?**

ადამიანის ზნეობრივ სამყაროზე უამრავი ფაქტორი ახდენს გავლენას. მასში შედის ზრდილობა და განათლება, რომელიც უზრუნველყოფს იდეოლოგიური, მეცნიერული და ზნეობრივი ფასეულობების შენარჩუნებას. ზნეობრივი სამყაროს ჩამოყალიბებაში შეუცვლელია რელიგიის როლი. რელიგია და სხვა ზნეობრივი მოთხოვნილებები საზოგადოების ზნეობრივ ცხოვრებას მოიცავენ. საზოგადოების ზნეობრივი ყოფის მნიშვნელობა შეიძლება გავიგოთ როგორც სხვადასხვა ინდივიდის ზნეობრივი სამყაროს თავისებურება, მისი გამორჩეულობა, ასევე, ამ თვისებების საკუთარ თავში თავმოყრა.



**გენიალური რუსი ფილოსოფოსი ნიკოლოზ ჩერნიშევსკი ამბობდა: “ერის ყველაზე მნიშვნელოვანი კაპიტალი ხალხის ზნეობაა”.**

ზნეობა ადამიანის სხვა სულიერი არსებებისაგან განმასხვავებელი თვისებებიდან ერთ-ერთია და ადამიანში სულიერ მოთხოვნილებებს აყალიბებს.



I ევრო ოლიმპიადა (ბაქო 2015)

ზნეობა არის სოციალური გარემოს გავლენით ჩამოყალიბებული რწმენა, ნებისყოფა და იდეები. ის მჭიდრო კავშირში იმყოფება ყოფაქცევასთან, ამიტომაც ზნეობას ხშირად აიგივებენ მასთან. მაგრამ ზნეობა უფრო ფართო მცნებაა, იმიტომ, რომ ყოფაქცევა ზნეობრივი თვისებების გამოისობით ყალიბდება.

ადამიანის სხვა თვისებებიდან ერთ-ერთი კარგისა და ცუდისადმი მიდრეკილებაა. ამ ორი მცნებისადმი მიზიდვა ადამიანის ზნეობრივი თვისებიდან გამომდინარეობს. ამ მნიშვნელობით ზნეობის ჩამოყალიბებაზე ძირითად გავლენას ახდენს ზნეობრივი გონება. ზნეობრივი გონება კი ზნეობრივი ადათ-წესებიდან და ჩვევებიდან გამომდინარეობს. ამ მნიშვნელობით კი ზნეობა ადამიანებში ზრდილობის მეშვეობით ყალიბდება. მისი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილად გადაქცევა კი დამოკიდებულია ადამიანის გონებისა და ნებისყოფისგან. ზნეობრივი ზრდილობა ადამიანის გონებასა და ქმედებაში სიამაყის, გულწრფელობის, პასუხისმგებლობის და ა.შ, გრძნობებს ნერგავს და მას ამ თვისებებით აღზრდის.

ზნეობრივი გონება, ზნეობრივი გრძნობები, ადათ-წესები და ჩვევები ზოგადად ზნეობრივი რწმენისა და მიზნის ერთ-ერთ ნაწილს წარმოადგენენ. ამ მნიშვნელობით ზნეობა ადამიანის სრულყოფილი თვისებაა, მაგრამ ადამიანში არსებული სულიერი გრძნობები, როგორიცაა გული, გონება, ნებისყოფა, სინდისი, სიყვარული, შებრალება, გულმოწყალება, ღვარძლი, განრისხება და სიძულვილი ადამიანის სრულყოფილ არსებად გადაქცევისათვის საკმარისი არაა. ადამიანი დადებითი თვისებების ჩვევად გადაქცევით სრულყოფილების მწვერვალამდე მაღლდება.

**ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. რომლებია ადამიანების ერთმანეთისაგან განმასხვავებელი თვისებები? ჩვენ შეგვიძლია, რომ დავინახოთ და შევიგრძნოთ ადამიანთა საჭიროებები? როგორ შეიძლება ვუზრუნველყოთ თუნდაც მათი მარტივი საჭიროებების დაკმაყოფილება. თანაკლასელებთან ერთად იმსჯელეთ ამის თაობაზე.**

თქვენთვის უკვე ცნობილია აზერბაიჯანელი ერის მხარში მდგომი ჰეიდარ ალიევის ფონდის და აზერბაიჯანის კულტურის ფონდის პრეზიდენტის, UNESCO-სა და ISESC-ში კეთილი ნების ელჩის მეჰრიბან ალიევის საქველმოქმედო მოღვაწეობის შესახებ. იგი ეხმარება უპატრონო ადამიანებს, ავადმყოფებს, სამუშაოთი უზრუნველყოფს უმუშევრებს, ზრუნავს ერის განათლებაზე და მის მომავალზე. მეჰრიბანის ამ მოღვაწეობას საფუძვლად უდევს ზნეობრივი თვისებები და მაღალი სულიერება, რადგან იგი ამ საქმიანობიდან უპირველესად ზნეობრივ სიამოვნებას იღებს. იგი ადამიანების მოყვარე და კეთილმოსურნე პიროვნებაა.




**მეჰრიბან ალიევი კიბოთი დაავადებულ ბავშვებთან ათენში, საბერძნეთი**

**მ. ალიევის მოღვაწეობა დაუკავშირეთ აზერბაიჯანელი ხალხის ეროვნულ ზნეობრივ ფასეულობებს.**

კეთილმოსურნეობა და გულმოწყალება ყველა რელიგიის ძირითად თვისებას წარმოადგენს. ადამიანები, ამავდროულად, კეთილ საქმეებს სჩადიან ღმერთის სახელით და გულმოწყალების მაგალითს იძლევიან, რაც თავისთავად ნიშნავს ცუდი ქმედებებისათვის ზურგის შექცევას. ამიტომაც რელიგია და გულმოწყალება ერთი შინაარსის მქონე ცნებები არიან. არცერთი რელიგია არ მოუწოდებს ადამიანებს მკვლელობისაკენ, ომისაკენ, ვანდალიზმისაკენ და კონფლიქტებისაკენ. ამ მნიშვნელობით ისლამი, როგორც ჰუმანისტური რელიგია, მსოფლიოს უდიდესი რელიგიებიდან ერთ-ერთი გახლავთ და იგი სასიკეთო საქმეების ქმნისაკენ მოუწოდებს საკუთარ თაყვანისმცემლებს. რამაზანის და ყურბან-ბაირამის დღესასწაულები ამის თვალნათელი დადასტურება გახლავთ. მოწყალების გაცემა, აღქმის პირობის დადება და მისი შესრულება, ღარიბებისათვის დახმარების გაწევა, ობლის ქონებისადმი ხელშეუხებლობა – ეს მცნებები ისლამური რელიგიის საფუძვლების ნათელი მაგალითია.





**განმარტეთ, რა გავლენა აქვსთ ზნეობაზე რამაზანის და ყურბან-ბაირამის დღესასწაულებს.**

**სამშობლოსა სიყვარული ყველაზე დიდი ზნეობრივი თვისებებიდან ერთ-ერთია. ადამიაში არსებული პატრიოტიზმი, სამშობლოსადმი კეთილმოსურნეობა უზენაესი ზნეობრივი თვისებების კრებულია. ეს ფენომენი ადამიანში აყალიბებს ისეთ თვისებებს, როგორიცაა ვაჟკაცობა, მამაცობა, თანასწორობა და წესიერება. პატრიოტ ადამიანს ყოველთვის გააჩნია მაღალი ზნეობრივი თვისებები. ჩვენი ეროვნული გმირები სალათინ ასკაროვა, ელიფ ჰაჯიევი, ჩინგიზ მუსტაფაევი და მუბარიზ იბრაჰიმოვი აზერბაიჯანისათვის იბრძოდნენ და სამშობლოს საკუთარი სიცოცხლეც კი შესწირეს.**



**სოვგიარ აბდულაევი**

დღეს კაცობრიობის წინაშე მყოფი პრობლემების მოგვარების პროცესებში ადამიანი უმთავრესი ფაქტორია, რადგან ამ პრობლემების შემქმნელიც ისაა და მოგვარებასაც თავად ცდილობს. მაგრამ ეკონომიკის გაძლიერების მუდმივი მცდელობა ადამიანში ასუსტებს ზნეობრივ მხარეს. უფრო მეტი ქონების დაგროვების ჟინს ადამიანში უკანა პლანზე გადააქვს ზნეობრივი თვისებები. როგორც მ.ა. საბირი ამბობდა, არსებობენ ადამიანები, რომელთა ცხოვრებისეული დევიზია: "ოღონდ მე ვიარსებო და ვიყო ჯანმრთელი, დედამიწა რომც დაინგრეს, არ მენაღვლება". ასეთი ლოზუნგით მცხოვრები ადამიანების რაოდენობა, სამწუხაროდ, არ არის მცირე. და ისინი რომ არ იყვნენ, დედამიწაზე ამდენი ფართომასშტაბიანი პრობლემები არ გვექნებოდა.



**გენიალური რუსი ფილოსოფოსი ნიკოლოზ ჩერნიშევსკი ამბობდა: "ერის ყველაზე მნიშვნელოვანი კაპიტალი ხალხის ზნეობაა".**

**კაცობრიობის წინაშე მდგომი უმთავრესი საკითხებიდან ერთ-ერთი ადამიანში მცნება — ზნეობრივი მოვალეობის ჩამოყალიბება და ზნეობრივი თვისებების აღზრდაა.**

დედამიწას, გარემოს, ადამიანებს ესაჭიროებათ გულმოწყალება და საქველმოქმედო საქმეები. ტყეების მოსპობამ, ბუნებრივი სიმდიდრეების გაჩანაგებამ მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში გამოიწვია შიმშილი, უწყლობა და სიღარიბე. ბუნებრივი კატასტროფები, ომები მილიონობით ადამიანების სიცოცხლეს იწირავენ. ამის გამო ადამიანები გარბიან საკუთარ მამა-პაპათა საცხოვრისებიდან. მთლიანობაში ეს ფაქტორები უფრო ართულებენ ისედაც ძნელადმოსაგვარებელ პრობლემებს.

ჩამოთვალეთ აღნიშნული პრობლემები. რაში ხედავთ აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტის გზებს? განმარტეთ ზნეობრივ ფასეულობებში შექმნილი პრობლემების კავშირი კაცობრიობის წინაშე მდგარ გლობალურ პრობლემებთან.

**კონფუცის უთქვამს, რომ თუ შენ ცუდი აზრები არ გექნება, ცუდ ქმედებასაც არ ჩაიდენ. ადამიანი კარგი ქმედებებით ხელს უწყობს ზოგადსაკაცობრიო ფასეულობათა ზნეობრივი ეთიკური თვისებების ჩამოყალიბებას. ამ თვალსაზრისით კაცობრიობის წინაშე მდგარი ძირითადი საკითხებიდან ერთ-ერთი ზნეობრივად მდიდარი თვისებების მქონე ახალი თაობის აღზრდაა.**

1986 წლის 26 აპრილს უკრაინის დედაქალაქ კიევის მახლობლად მდებარე ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ბირთვულ რეაქტორში ძლიერი აფეთქება მოხდა. ასეთმა მოვლენამ ადამიანების ზნეობრივი ფასეულობები ზოგადსაკაცობრიო ფასეულობათა გარშემო გააერთიანა. აფეთქებით დაზარალებულებისთვის დასახმარებლად და მხარდასაჭერად მილიონობით ადამიანი გაერთიანდა. აზერბაიჯანმაც თავისი წვლილი შეიტანა დახმარების საქმეში.

**29 აპრილი, ჩერნობილის ტრაგედიის დღეა. სურათი ფილმიდან ჩერნობილის ტრაგედიაზე.**



მსოფლიოში არსებობს უამრავი საქველმოქმედო საზოგადოება. მათ შორის ერთ-ერთია “წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის მოძრაობა” – საერთაშორისო დახმარების საზოგადოება. ეს საზოგადოებები ძალას იშურებენ ადამიანების დასახმარებლად.

**საერთაშორისო წითელი ჯვრის კომიტეტი სპეციალური საქველმოქმედო ორგანიზაციაა, რომელიც 1863 წელს შეიქმნა შვეიცარიაში. ამ საქველმოქმედო საზოგადოების შექმნას საინტერესო ისტორია გააჩნია. სოფელ სოლფერინოში საფრანგეთის იმპერატორ ნაპოლეონ III-ის ჯარსა და ავსტრიელების შორის სისხლისმღვრელი ბრძოლა გაიმართა. ამ ბრძოლაში ავსტრიელები დამარცხდნენ. ათასობით დაჭრილი ჯარისკაცი ბრძოლის ველზე სულს ღაფავდა. “დაჭრილებს დახმარების გაწევა სჭირდებათ!” – ამ შეძახილებზე პასუხს არავინ იძლეოდა. შვეიცარიელი ჰენრი დუნანტი, შემთხვევით, ამ მოვლენის მოწმე გახდა. ამ საშინელებამ ჰენრის გადააწყვეტინა რომ სხვა მსურველებთან ერთად ნებაყოფლობით აღმოეჩინათ დახმარება ორივე მხარის მებრძოლი დაჭრილი ჯარისკაცებისათვის. დაჭრილებისათვის აღმოჩენილმა უანგარო დახმარებამ ფრონტის ისტორიას თავისი კვალი დაამჩნია. ჰენრიმ ომების მსხვერპლთა დასახმარებლად შექმნა ორგანიზაცია. ორგანიზაციის ემბლემაში გამოსახულია შვეიცარიის დროშის უკანა მხარე, თეთრი ფონით და წითელი ჯვარით. მის მიერ შექმნილმა საქველმოქმედო ორგანიზაციამ გააერთიანა უამრავი სახელმწიფო. ამჟამად ეს ორგანიზაცია მშვიდობას უჭერს მხარს და სოლიდარობითა და დახმარების აქციების გაწევითაა დაკავებული მთელ მსოფლიოში.**





ჰენრი დუნანტი

კენია. ლტოლვითა ბანაკი აფრიკაში

ჰენრი დუნანტის ეს საქმე შეაფასეთ როგორც ზნეობრივი ყოფაქცევის თვისება. ამჟამად მის მიერ შექმნილი ორგანიზაციის მსოფლიოს ქვეყნებში მოღვაწეობის თაობაზე მოაგროვეთ ინფორმაცია. ფაქტებით დაასაბუთეთ, რომ ეს ორგანიზაცია ზნეობრივ მოვალეობას ასრულებს კაცობრიობის წინაშე.

ამჟამად აფრიკაში შიმშილით და წყურვილით დატანჯულ ადამიანებს დახმარებას უწევენ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნიდან. ასეთი დახმარების გაწევა საკაცობრიო ზნეობრივი ფასეულობების მაგალითია.



ბუნების დაცვა, ადამიანებისათვის დახმარების აღმოჩენა, ტოლერანტობა, მშვიდობიანად და უსაფრთხოდ ცხოვრება კაცობრიობის ზნეობრივი უფლებაა. ამჟამად არსებული გლობალური ეკონომიკური პრობლემები, ომები და მათგან გამოწვეული არეულობების აღმოფხვრისათვის გაკეთებული თითოეული საქმე ზნეობრივი ფასეულობებიდან გამომდინარეობს.

1. განმარტეთ მცნება ზნეობრივი მოვალეობა.
2. დაასაბუთეთ რელიგიის როლი ზნეობის ჩამოყალიბებაში.
3. რაში მდგომარეობს ჩვენი ზნეობრივი მოვალეობა კაცობრიობის წინაშე? ჩამოთვალეთ.
4. მომაზადეთ პრეზენტაცია ზნეობის შესახებ გენიოსთა გამონათქვამებიდან.
5. დაწერეთ ესე სახელწოდებით "დიდებული ლიდერი ჰეიდარ ალიევი არის კაცობრიობის წინაშე ზნეობრივი მოვალეობის განმხორციელებელთაგანი."
6. სხვადასხვა საქველმოქმედო საზოგადოების თაობაზე ჩაატარეთ კვლევა და მოამხზადეთ ბუკლეტები მათი საქმიანობის თაობაზე.
7. კაცობრიობის წინაშე რომელი ზნეობრივი მოვალობა გაგვაჩნია? ამ ზნეობრივი მოვალეობების ნებაყოფლობის პრინციპით ხანგრძლივად განსახორციელებლად რომელ შეთავაზებებს დააწინაურებდით?

## 7. სამყაროს შემეცნება

თქვენთვის საინტერესო საკითხებიდან, ალბათ, ერთ-ერთია ის შეკითხვები, რომელიც მსოფლიოს წარმოქმნელთან, რაობასთან და დროსთან არის დაკავშირებული. ამის შესახებ უძველესი დროიდან დღემდე ფიქრობენ და მათზე პასუხის გაცემას ცდილობენ.

ბუნება არსებობს, დამოუკიდებლად ადამიანების გონებისა, ნებისყოფისა, სურვილისა და ოცნებისა. ბუნება არსებობდა მანამდეც, ვიდრე ადამიანები გაჩდებოდნენ. ეს აღსანიშნავია იმიტომ, რომ არსებობენ საპირისპირო ფილოსოფიური მოსაზრებები, რომლებიც საწინააღმდეგოს ამტკიცებენ.

მცნება ბუნება ისტორიის განმავლობაში უამრავ ევოლუციურ და სერიოზულ ცვლიბებს განიცდიდა. სხვადასხვა ეპოქებში ამ მცნებას ერთმანეთისაგან განსხვავებული მნიშვნელობებით აღნიშნავდნენ და მას სხვადასხვა მოსაზრებებს წარუმძღვარებდნენ ხოლმე.

სამყაროს შემეცნების შესახებ უძველესი მოსაზრებები წარმოდგენილია მითოლოგიათა სახით. მითოლოგიის საფუძვლები შეიცავს ფანტასტიკური არსებების შესახებ მითებსა და ლეგენდებს. მითებთან დაკავშირებულ ჰიპოტეზებში ბუნებრივი მოვლენები და უსულო საგნები ასახული არიან როგორც სულიერი არსებები.

**ჩამოთვალეთ ისტორიისა და ლიტერატურის გაკვეთილებიდან თქმულებები და მითები. განსაზღვრეთ მათი დამაკავშირებელი საერთო მხარეები.**

რელიგია არის მსოფლმხედველობის სხვა ისტორიული ფორმა. რელიგია ღმერთის სიტყვებით გვაწვდის მსოფლიოს წარმოქმნის სურათს, არსს, ადამიანს, მისი ცხოვრების მნიშვნელობას და მიზნებს, სამყაროში მის ადგილს, სიკეთისა და სიბოროტის არსს და სხვა დოგმებს. რელიგიური გონების არსებობის მეთოდი მსოფლიოს ზებუნებრივ საწყისზე მტკიცე რწმენის გამომხატველი განცდაა.

**ძველი ბერძნები სხვადასხვა თეორიის შემქმნელებს უწოდებდნენ “სიბრძნეზე შეყვარებულებს”, “სიბრძნისმოყვარულებს”, იმ დროისთვის მათ ახალ საქმიანობას კი ეწოდებოდა “სიბრძნისადმი სიყვარული” (ფილოსოფია).**



მენ-ძი

სამყაროს შემეცნების შესახებ გამოთქმული ჰიპოტეზებიდან ერთ-ერთი ეკუთვნის ჩინელ ფილოსოფოს კონფუცის, რომლის მიხედვით მთავარი ღმერთი ცაა. ქვეყნის ცასთან ურთიერთკავშირში იმპერატორი – ცის შვილი განსაკუთრებულ ადგილს იკავებს. იგი ქვეყანას ცის სახელით მართავს.

გენიალური ფილოსოფოსის კონფუცის გზის გამგრძელებელი მენ-ძი ასეთ მოძღვრებას წინ წარუმძღვარებდა, რომ ადამიანის ცხოვრება ღვთიურ ნებისყოფას ექვემდებარება, ცოდნა კი თანდაყოლილია. ადამიანი როცა იბადება, ცოდნა მას ებოძება ღვთიური, "უსაზღვრო სულის" მიერ. ადამიანმა, ამ ცოდნის მეშვეობით, ცხოვრებაში დასმულ ყველა შეკითხვას უნდა გასცეს პასუხი. მენ-ძი ცდილობდა ადამიანთა ყველა წარუმატებლობის და უბედურებების მიზეზი გაერკვია და ხალხს მოუწოდებდა თმენისა და გულმოწყალებისაკენ.

ჩინური სკოლის სხვა წარმომადგენელის, სუნ-ძის აზრით ადამიანის იღბალი ღვთიური ბუნების კი არ გახლავთ, არამედ მთლიანად ადამიანზეა დამოკიდებული. გარდა ამისა, ადამიანს გააჩნია სამყაროს შემეცნებისა და საკუთარი თავისათვის სასარგებლოდ გამოყენების უნარი. საზოგადოება კი უნდა შედგეს მმართველებისა და სამართავი ადამიანებისაგან, მათი წევრების ერთი ნაწილი ფიზიკური შრომით უნდა იყოს დაკავებული, სხვა ნაწილი კი გონებრივი საქმიანობით. როგორც ჩანს, კონფუცის ფილოსოფია ორი მიმართულებით იყო განვითარებული – იდეალიზმისა და მატერიალიზმის.

**კონფუცის გამგრძელებლის მოძღვრება გააანალიზეთ და დაადგინეთ, თუ რა არის მათი მოძღვრებათა სხვადასხვაობის მიზეზი?**



მატერიალისტებს, როგორც უძველეს ეგვიპტეში ფარაონებს, მონაზვნებს და სხვა თემებს სწამდათ, რომ მატერია პირველადი, მუდმივი, უსასრულო ფენომენია და არავისგან არ არის შექმნილი. სულიერი არსებები შემთხვევითი მოვლენების შედეგად არიან შექმნილი უსულო საგნებისაგან. მატერიალიზმი ფილოსოფიაში ასე განიმარტება: ყველაფერი, რაც არსებობს – სივრცე, ატმოსფერო, ვარსკვლავები, ბუნება, სულიერი არსებები და უსულო საგნები, წარმოქმნილია ატომებისაგან. ადამიანი ბუნებაში არსებული სხვადასხვა ატომების ჯამს წარმოადგენს. სულიერ არსებათა ცხოვრება ატომებს შორის ელექტრონების მოძრაობის გარკვეული ბალანსის საფუძველზე მიმდინარეობს. როცა ეს ბალანსი ირღვევა, სხეული კვდება, მიწად გადაიქცევა და ხელახლა ატომებად დაიშლება.

მილეთის სკოლის დამფუძნებელი თალესი სამყაროს არსებობის საფუძვლად წყალს მიიჩნევდა. თალესის მიხედვით წყალი განვითარების საშუალებაა და მსოფლიოში ყველა საგანი წყლის შესქელებისა და დაშლის შედეგად იქმნება. ატომისტები კი სამყაროს ატომებისაგან წარმოქმნის ჰიპოტეზით გამოდიოდნენ. დემოკრიტე ამტკიცებდა, რომ ატომები დაუშლელია და მათ განსხვავებული სიგრძე და ფორმა გააჩნიათ.



თალესი

აზერბაიჯანში, რელიგიური მისტიკური ფილოსოფიური მოსაზრება, ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველ ათასწლეულებში გამოიხატებოდა ზოროასტრიზმის ფილოსოფიაში. სავარაუდოდ, წიგნი "ავესტა" დაწერილია ზარატუსტრას მიერ. ზოროასტრიზმის არის მონოთეისტური რელიგიის მოძღვრება, სადაც თაყვანს სცემენ მთავარ ღმერთ აჰურმაზდას, ანუ აქ არის დასაწყისიდან არსებული სიკეთისა და სიბოროტის – დუალიზმის თანხლება.

***განმარტეთ ზოროასტრიზმის რელიგიის იდეის გამომხატველი მცნება – სიკეთე და სიბოროტე.***

შუა საუკუნეებში ბუნებისა და მსოფლიოს შესახებ სხვადასხვა მსოფლმხედველობის სისტემა ჩამოყალიბდა. ამ ეპოქაში გაბატონებული რელიგიის მსოფლმხედველობამ ბუნების შესახებ წარმოდგენებზე სერიოზული გავლენა მოახდინა. ყველაფრის შექმნის და ყოველივე მართვის პროცესების ღმერთთან დაკავშირება გამოსახულია ქრისტიანობაშიც და ისლამშიც.

***ისლამური და ქრისტიანული რელიგიის გარდა კიდევ რომელ რელიგიებში დომინირებს აზრი იმის თაობაზე, რომ ყველაფერი ღმერთის მიერაა შექმნილი? ყველაფრის ღმერთის მიერ შექმნის მოძღვრება შეადარეთ მსოფლიოს ატომებისაგან შედგენილობის მოძღვრებას.***



***იბნ სინა (ავიცენა) 980-1037 წ.წ. მიუხედავად იმისა, რომ ავტორია ნაშრომებისა "მედიცინის კანონი", "ცოდნის წიგნი" ("დანიშ ნამე") და ა.შ., მისი აზრით ღმერთის ნებისყოფა ცოდნის საფუძველს წარმოადგენს. ღმერთის ნებისყოფა ჭეშმარიტების შემეცნებაა.***



**ნიზამი განჯევი**

შუა საუკუნეებში, ბუნების შესახებ წარმოდგენებში დამახასიათებელი მხარეებიდან ერთ-ერთი უძველესი ფილოსოფიიდან შემოსული ერთიანობაა, რომლის იდეები ბუნებას კი არ ეკუთვნის, არამედ მისი შექმნის პროცესებს ეხება. უძველეს ბერძნულ ფილოსოფიაში მსოფლიო ოთხი ელემენტისაგან შედგება: წყალი, ცეცხლი, მიწა და ჰაერი, რომელ აზრსაც იზიარებდა გენიალური ნიზამი განჯევი. მაგრამ ნიზამი, უძველესი ბერძენი ფილოსოფოსებისაგან განსხვავებით, მსოფლიოს საფუძვლად მიჩნეულ ოთხივე ელემენტს ღმერთის მიერ შექმნილად აღიარებდა.

ამასთან ერთად, იმ პერიოდში ათეისტური მოსაზრების მქონე, ღმერთის არსებობის უარმყოფელი პირებიც იყვნენ. მათი რელიგია და მათი წმინდა წიგნები კაცობრიობის მიერ არ იყო მიღებული.

**რა არის ამ გენიოსების მიერ ღმერთის არსებობის უარყოფის მიზეზი?**

გენიალური მეცნიერების უმრავლესობას ბუნება უმთავრესად მიაჩნდათ და ადამიანის ნებისყოფისა სწამდათ. მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ გენიოსებიდან არცერთი – ე. მიანიჩი, ი. ნასიმი, ფ. ნაიმი და ჯ. ბრუნო არ იყვნენ ათეისტები და ღმერთს არ უარყოფდნენ. ისინი პანთეისტური ნატურფილოსოფიის პოზიციიდან გამოდიოდნენ და მიაჩნდათ, რომ ღმერთი ბუნების გარეთ და მაღლა კი არა, შიგნითაა – ბუნებაში არსებულ უსაზღვრო საგნებსა და პროცესებში. ისინი აღნიშნავდნენ, რომ ადამიანი ბუნების, იქ მყოფი საგნების, პროცესების, მოვლენების შემეცნებით მასში არსებულ ღმერთს აღიქვამდნენ.

აბუ რეიჰან ალ ბირუნის (973-1048) მიხედვით მატერია და ბუნება ღმერთმა შექმნა. იგი მზის ირგვლივ დედამიწის ბრუნვას აღნიშნავდა. სულიერი სამყაროს შექმნაზე ძირითადად წყალს, მერე კი დანარჩენებს აღიარებდა. ბირუნი წერდა, რომ ატომი არის მატერიის ნაწილი, რომელიც შექმნა ღმერთმა.

აღმოსავლელი მეცნიერი იბნ რუშდი ღმერთს აღიარებდა როგორც პირველად გონს. იგი ფიქრობდა, რომ ღმერთი ადამიანისა და ბუნებისაგან შორს დგას და არ აღიქმება. XIV საუკუნეში ასპარეზზე გამოვიდა ფილოსოფიურ-რელიგიური მოძრაობა ჰურუფიზმი. მისი შემქმნელი იყო ნაიმი (1339-1394). ჰურუფიზმის მიხედვით ადამიანმა საკუთარ არსებაზე ღვთიური ნათელის აღქმისთვის გონებრივი, ზნეობრივი ევოლუცია უნდა გაიაროს, მუდამ უნდა იზრუნოს გულის განწმენდაზე. მისი აზრით ადამიანი არის წმინდა, სრულყოფილ ადამიანს ღმერთის დონემდე ამაღლებაც კი შეუძლია. ზუსტად ამგვარი მოსაზრებების გამო ნაიმი თავისი დროის ყველაზე სრულყოფილ ადამიანად იყო მიჩნეული. მაგრამ მას არ ჰქონდა ძალა, რომ საზოგადოებაში აღმოეფხვრა უსამართლობა, ბოროტება და ტანჯვა. სიტყვა და ასო განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ჰურუფიზმში. ღმერთის პირველი ბრძანება სიტყვებით იყო გამოხატული.

სრულყოფილი ადამიანის სახეზე კი ღმერთის ნაკვთებია გამოკვეთილი. ჰურუფიზმის ნიშნების მატარებლები ადამიანს აღმერთებდნენ.

**გაიხსენეთ შესწავლილი მასალა ისტორიიდან ჰურუფიზმის მოძღვრების შესახებ. განმარტეთ იმ ეპოქაში ჰურუფიზმის მოძღვრების შექმნის აუცილებლობა.**



**ნიკოლაი კოპერნიკი**

შუა საუკუნეებში ამბობდნენ, რომ წმინდა წერილები ღმერთის მიერ წარმოთქმული სიტყვებია; ღმერთი საკუთარი თავისა და საკუთარი წარმოქმნის შესახებ ჭეშმარიტებებს ზეშთაგონების სახით მოციქულების მეშვეობით ამცნობს ადამიანებს. ასეთ ადამიანებს თეისტებს უწოდებდნენ.

მთელ ამ მოძღვრებაში ბუნების შეხედულებებზე, დიდი გადატრიალება მოახდინა პოლონელი ნიკოლაი კოპერნიკის მიერ აღმოჩენილმა ჰელიოცენტრულმა სისტემამ, რამაც რელიგიურ მსოფლმხედველობას გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა.

მავანნი მსოფლიოს შემეცნებისა და რელიგიური და მეცნიერული საფუძვლების დამტკიცებას ცდილობენ, მაგრამ კიდევ რჩება ამ მოძღვრებებში სხვადასხვა წინააღმდეგობები. მიუხედავად იმისა, რომ კაცობრიობა ვითარდება, ამ მოსაზრებების გარდაუვალობა სახეზეა. ამგვარი დამოკიდებულებებითა და მოძღვრებებით არის დაკავებული ფილოსოფიური მეცნიერება.

**1. მატერიალისტური მსოფლმხედველობის შესახებ მოძღვრების საფუძველზე შეადგინეთ მასალები და წარმოადგინეთ.**
**2. შეადარეთ მატერიალიზმი იდეალიზმს.**
**3. რომელია ათეისტური და მატერიალისტური მსოფლმხედველობის მხარეები? განმარტეთ.**
**4. რატომ მიაყენა გამანადგურებელი დარტყმა რელიგიურ მსოფლმხედვლობას კოპერნიკის ჰელიოცენტრულმა მოძღვრებამ?**
**5. განმარტეთ სამყაროს შემეცნება ანდა მსოფლმხედველობათა შორის ურთიერთობა.**
**6. წაიკითხეთ ნიზამი განჯავის პოემა "ისკენდერნამე". გააანალიზეთ მოსაზრებები, რომ სამყარო ოთხი ელემენტისაგან შედგება.**

# დამატებები

## კასპიის ზღვის დაბინძურებული ზონები




სამრეწველო ნარჩენებით დაბინძურებული ზონები

აგროქიმიური ნარჩენებით დაბინძურებული ზონები

შერეული ტიპის დაბინძურებული ზონები

რეაკრიაციული ტიპის დაბინძურებული ზონები

ტამპინგები (ტექნიკური ნარჩენების ჩამარხვის ადგილები)

## კასპიის ზღვის ეკოლოგიური მდგომარეობა




| წყლის დაბინძურების დონე | | ზღვის ეკოსისტემის მდგომარეობა | |
|---|---|---|---|
| 1 | პირობით სუფთა | ╲╲╲ | ეკოლოგიური მდგომარეობა არ არის დარღვეული |
| 2 | ნაკლებად დაბინძურებული | ═══ | სადავო, ეკოლოგიური მდგომარეობა სუსტადაა დარღვეული |
| 3 | დაბინძურებული | ‖‖ | კრიტიკული მდგომარეობაა, ეკოლოგიური მდგომარეობა დარღვეულია |
| 4 | ძლიერ დაბინძურებული | ⊙ | ზღვის კომპლექსური მონიტორინგის პუნქტები |

# HƏYAT BİLGİSİ 9

Ümumtəhsil məktəblərinin 9-cu sinfi üçün
Həyat bilgisi fənni üzrə dərslik
(Gürcü dilində)


**Tərtibçi heyət:**

| | |
|---|---|
| Müəlliflər: | **Məmmədova Nüşabə Əsəd qızı** |
| | **Mahmudova Könül Faiq qızı** |
| | **Bəhrəmova Sevil Şivəxan qızı** |
| Koordinator: | **Roland Jalaqaniya** |
| Tərcümə edən: | **Zərifə Hacıyeva** |
| Buraxılışa məsul: | **Sevil İsmayılova** |
| Dizayner: | **Kərim Məhdəvi** |
| Rəssam: | **Mərziyə Tağıyeva** |
| Səhifələyici və texniki redaktor: | **Mixail Çodrişvili** |
| Baş redaktor: | **Gültəkin Cəfərova** |
| Texniki direktor: | **Xəqani Fərzalıyev** |
| Nəşriyyat direktoru: | **Kəmalə Qarayeva** |

Azərbaycan Respublikası Təhsil Nazirliyinin
03.06.2016-cı il tarixli 369 nömrəli əmri ilə
təsdiq edilmişdir.



**© Azərbaycan Respublikası Təhsil Nazirliyi – 2017**



Kağız formatı 70x100 1/16. Fiziki çap vərəqi 8,5. Səhifə sayı 136.
Sifariş 15292. Tiraj 200. Pulsuz.

“Şərq-Qərb” ASC-nin mətbəəsində çap olunmuşdur.
AZ1123, Bakı, Aşıq Ələsgər küçəsi, 17.

Pulsuz